

სამოქალაქო პროცესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

დამატებითი გადაწყვეტილება

ბანრინება

დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი

№ას-230-215-2014

29 ნოემბერი, 2014 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: მემკვიდრედ ცნობა, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. დ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ს. გ-ისა და ა. კ-ის მიმართ მემკვიდრედ ცნობისა და ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ს. გ-მ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო სასამართლოს შუამდგომლობით მომართა კასატორმა და საკასაციო საჩივარზე განაცხადა უარი, შესაბამისად, მოითხოვა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 22 ივლისის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება ს. გ-ის საკასაციო საჩივრის გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებაზე, სამოქალაქო საქმეზე – ნ. დ-

ის სარჩელის გამო ს. გ-ისა და ა. კ-ის მიმართ მემკვიდრედ ცნობისა და ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ს. გ-ის წარმომადგენელმა ბ. ხ-მ და განმარტა, რომ მიუხედავად საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განცხადებით სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების მოთხოვნისა, ს. გ-ს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ დაბრუნებია მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, აღნიშნულის გათვალისწინებით კი, ბ. ხ-მ მოითხოვა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ს. გ-ის წარმომადგენელ ბ. ხ-ის განცხადება შინაარსობრივად წარმოადგენს სასამართლო ხარჯების ნაწილში დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნას, ამასთანავე, განცხადება საფუძვლიანია და სასამართლო ხარჯების ნაწილში მიღებულ უნდა იქნას დამატებითი განჩინება შემდეგი გარემოებების გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ს. გ-მ საკასაციო საჩივარს დაურთო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 625 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 მარტის განჩინებით ს. გ-ის საკასაციო საჩივარი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად მიღებულ იქნა წარმოებაში;

საკასაციო სასამართლოს წერილობითი შუამდგომლობით მომართა ს. გ-ის წარმომადგენელმა ბ. ხ-მ და საკასაციო საჩივარი გაიხმო, შესაბამისად, მოითხოვა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის კასატორისათვის დაბრუნება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 22 ივლისის განჩინებით კასატორის შუამდგომლობა, სამართლებრივად, საკასაციო საჩივარზე უარის თქმად იქნა მიჩნეული და დაკმაყოფილდა, თუმცა სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლოს ხარჯების საკითხი;

სასამართლოს განცხადებით მომართა კასატორმა და მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება მოითხოვა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტა-

ნოს დამატებითი გადანყვეტილება, თუ: ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადანყვეტილება არ გამოტანილა; ბ) სასამართლოს, რომელმაც გადანყვეტილა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გ) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი. ამავე ნორმის 31 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეუნიქტით გათვალისწინებული საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადანყვეტას.

განსახილველ შემთხვევაში, რადგანაც დამატებითი განჩინების გამოტანის საფუძველი სწორედ სასამართლო ხარჯების განსაზღვრის საკითხია, პალატამ მხარეთა სასამართლო სხდომაზე მონაწილე მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო შეწყდა საქმის წარმოება, ხოლო კასატორს არ დაბრუნებია მის მიერ ამ ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების გამო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, პალატა მიიჩნევს, რომ ს.გ-ის წარმომადგენელ ბ.ხ-ის შუამდგომლობა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი, 31 ნაწილებით, 49-ე მუხლით და

დაადგინა:

1. ს. გ-ის წარმომადგენელ ბ ხ-ის განცხადება დამატებითი განჩინების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. ს. გ-ს (პ/№.....) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო საზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2014 წლის 19 თებერვალს №1 საგადახდო დავალებით გადახდილი 625 ლარი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დამატებითი გადაწყვეტილება

განჩინება

№ას-174-167-2013

17 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ა-ის სარჩელი მოპასუხე შპს „ე-ის“ მიმართ, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

1. მოპასუხე ორგანიზაციას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 9600 ლარის გადახდა, საშემოსავლო გადასახადის დარიცხვის გარეშე, შპს „ე-ის“ დირექტორის თანამდებობაზე მუშაობისას გადაუხდელი თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების მიზნით;

2. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 800 ლარის გადახდა, საშემოსავლო გადასახადის დარიცხვის გარეშე შპს „ე-ის“ იურისტის თანამდებობაზე მუშაობისას გადაუხდელი თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების მიზნით;

3. შპს „ე-ას“ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 312 ლარის გა-

დახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 9 ოქტომბრის დამატებითი გადაწყვეტილებით მ. ა-ის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, შპს „ე-ას“ მის სასარგებლოდ დაეკისრა 2010 წლის 20 აგვისტოდან ყოველდღიურად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მესამე პუნქტით დაკისრებული 800 ლარის ანაზღაურებად, 0.56 ლარის გადახდა, საშემოსავლო გადასახადის დარიცხვის გარეშე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს როგორც ძირითად, ისე დამატებით გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს „ე-ამ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 იანვრის განჩინებით შპს „ე-ის“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, დადგენილ ვადაში აპელანტის მიერ ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „ე-ამ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

კერძო საჩივრის საფუძველი:

აპელანტმა დანიშნულ ვადაში შეავსო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი, კერძოდ, მან 2012 წლის 21 დეკემბერს გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 448 ლარის ოდენობით, რაც დასტურდება კერძო საჩივარზე თანდართული საგადახდო დავალებით. ამდენად, შესაბამის ანგარიშზე ბაჟის გადახდა მოხდა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ არ მომხდარა ხსენებული ქვითრის სასამართლოსათვის წარდგენა. მიუხედავად ამისა, რეალურად ხარვეზი გამოსწორებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან დასტურდება, რომ სახელმწიფო ბაჟი დადგენილ ვადაშია გადახდილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის განჩინებით შპს „ე-ის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 იანვრის განჩინება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საქმეზე გამოტანილ უნდა იქნეს დამა-

ტებითი გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით გამოიტანოს საქმეზე დამატებითი გადაწყვეტილება, თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს მთლიანად დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივარზე თანდართული საგადახდო დავალებით და სალაროს შემოსავლის ორდერით დასტურდება, რომ შპს „ე-ამ“ სააპელაციო საჩივარზე გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი – 448 ლარი, რომელიც მას მთლიანად უნდა დაუბრუნდეს, ვინაიდან მისი სააპელაციო საჩივარი დარჩა გაუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. საქმეზე №ას-174-167-2013, შპს „ე-ის“ კერძო საჩივრისა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 იანვრის განჩინებაზე, რომელზეც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2013 წლის 10 მაისს გამოტანილია განჩინება, მიღებულ იქნეს დამატებითი გადაწყვეტილება;

2. შპს „ე-ას“ დაუბრუნდეს სააპელაციო საჩივარზე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 448 ლარი (გადახდის თარიღი – 2012 წლის 21 დეკემბერი, საგადახდო დავალება №1);

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასამართლო ხარჯების გადახდისაგან
ბათავისუფლების საფუძვლები**

ბანჩინება

№ას-933-895-2014

1 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. თ-მ თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „კ. ს. TV-სა“ და გ. კ-ის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა მოპასუხეებისათვის ზიანის საკომპენსაციოდ 100 000 ლარის და 10 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების, ასევე მორალური ზიანის – 30 000 ლარის ანაზღაურებისა და ბოდიშის მოხდის დავალდებულების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით თ. თ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. სააპელაციო საჩივარს ერთვის განქორწინების მოწმობა, რომლის თანახმადაც თ. თ-ს განქორწინების შემდეგ მიენიჭა გვარი მ-ა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 ივნისის განჩინებით თ. მ-ას განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 5000 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა დაევალა.

განჩინების პასუხად აპელანტმა მიუთითა, რომ მიმდინარეობს მისი სოციალურად დაუცველი პირების მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის პროცესი და ხარვეზის შევსების ვადის 10 დღით გაგრძელება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ივლისის განჩინებით ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადა 10 დღით გაგრძელდა.

იმავე სასამართლოს 2014 წლის 15 ივლისის განჩინებით, აპელანტის მოთხოვნით, ხარვეზის შევსების ვადა 7 დღით გაგ-

რძეღდა.

განჩინების პასუხად თ. მ-ამ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა წარადგინა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ივლისის განჩინებით თ. მ-ას სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია და შემწეობის მიღება. თ. მ-ს ოჯახის სარეიტინგო ქულაა 80450.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოსარჩელემ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, თ. მ-ას მიერ წარდგენილი მტკიცებულებები საკმარის საფუძველს ქმნიდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებისათვის მაინც. მოსარჩელე განიცდის ფინანსურ სირთულეებს, მცირეწლოვან შვილთან ერთად სარდაფში ცხოვრობს, განქორწინდა და უმუშევარია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ თ. მ-ას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 ივნისის განჩინებით თ. მ-ას განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 5000 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა დაევალა. ხარვეზის შევსების ვადა ორჯერ გაგრძელდა. თ. მ-ამ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა წარადგინა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ეს მოწმობა ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველს არ წარმოადგენს, რადგანაც აპელანტის სარეიტინგო ქულა 80450 იყო, ანუ შემწეობას არ იღებდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე-48-ე მუხლების საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია, მიიღოს დასაბუთებული

გადანყვეტილება სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების, ოდენობის შემცირების ან გადავადების თაობაზე, რაც მხარის მძიმე ფინანსური მდგომარეობის დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს. სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების ან კანონით გათვალისწინებული სხვაგვარი შეღავათის განწვევის საფუძველი არის მხოლოდ მხარის მძიმე ქონებრივი მდგომარეობა, შესაბამისი მტკიცებულებები კი, თავად მხარემ უნდა წარადგინოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ მხარე საარსებო შემწეობას იღებს, იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლისა და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის საფუძველზე ავტომატურად თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია კი, შემწეობის მიღების გარეშე, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, შესაძლებელია, სასამართლოს მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, გადავადების ამ შემცირების საფუძველი გახდეს.

მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილია თ. მ-ას სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მონაწილეობა, ასევე შემოსავლების სამსახურის ცნობა, რომ თ. მ-ას 2014 წელს მიღებული დასაბეგრი შემოსავალი არ უფიქსირდება და საჯარო რეესტრის ცნობა, რომ მის სახელზე თბილისში უძრავი ქონება არ არის რეგისტრირებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებები საკმარის საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებაზე ან მის გონივრულ ოდენობამდე შემცირებაზე იმსჯელოს, ვინაიდან თ. მ-ას სააპელაციო სასამართლოსათვის დადგენილი მარტივი სიმალური ოდენობის – 5000 ლარის გადახდა ეკისრება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. მ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ივლისის განჩინება და

საქმე თ. მ-ას სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა; საპროცესო ვადის გამოთვლა

განჩინება

№ას-1161-1106-2014

30 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა
შემადგენლობა: კ. კუბლაშვილი (თავმჯდომარე)**

ზ. მეიშვილი

მ. ჩინჩალაძე

ვ. როინიშვილი

ლ. მურუსიძე

მ. ოშხარელი

ზ. ძლიერიშვილი (მომხსენებელი)

ნ. ბაქაძური

თ. თოდრია

დავის საგანი: სესხის, სარგებლისა და პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ა-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. მ-ის მიმართ სესხის, სარგებლისა და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხეს ასესხა 50000 აშშ დოლარი, რომელიც გ.მ-ს არ დაუბრუნებია. შესაბამისად, მოპასუხეს უნდა დაეკისროს, როგორც ძირითადი თანხის, ისე სარგებლის – 12500 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს – 159000 აშშ დოლარის გადახდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება მეტად კაბალური პირობების შემცველი იყო, ხოლო მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლო კი შეუსაბამოდ მაღალი ოდენობისაა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

კოლეგიის 2014 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხის – 50000 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს – 15900 აშშ დოლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ ნაწილობრივ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის განჩინებით ბ. ა-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებულ გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი, ხოლო 61-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების შესაბამისად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე. საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

სააპელაციო პალატამ ასევე იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლით, რომლის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 6 ივნისის მთავარ სხდომას ესწრებოდა მოპასუხე ბ. ა-ის წარმომადგენელი დ. ა-ე. მოპასუხე 2014 წლის 16 ივნისის სხდომის თაობაზე ხელწერილით იქნა გაფრთხილებული.

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2014 წლის 16 ივლისიდან (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს) და ამოიწურა 2014 წლის 29 ივლისს. სააპელაციო საჩივარი კი წარდგენილ იქნა 2014 წლის 30 ივლისს, კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ბ. ა-ის წარმომადგენელმა დ. ა-მ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო პალატის მსჯელობა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლასთან დაკავშირებით წინააღმდეგობრივი და არასწორია.

კერძო საჩივრის ავტორის პოზიცია ეფუძნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილს. პირველ შემთხვევაში სასამართლო დაეყრდნო აღნიშნულ ნორმას და მიუთითა, რომ 30-ე დღე არის 2014 წლის 16 ივლისი. ესე იგი, ვადის ათვლა დაწყებულია გადაწყვეტილების გამოცხადების მომდევნო დღიდან 2014 წლის 17 ივნისიდან. კონკრეტულ შემთხვევაში, ვინაიდან 2014 წლის 16 ივლისი არის 30-ე დღე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო გასაჩივრების 14-დღიან ვადას ითვლის იმავე დღიდან, რითაც ეწინააღმდეგება მე-60

მუხლის მეორე ნაწილს.

აპელანტმა მხარემ კანონი განმარტა ისე, როგორც ეს კანონში იყო მითითებული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლი ვადის დენის დაწყებისათვის განსაზღვრავს 30-ე დღეს და, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილი მოითხოვს, რომ ვადის ათვლა უნდა მოხდეს თარიღის დადგომის მომდევნო დღიდან, შესაბამისად, აპელანტმა მხარემ 14-დღიანი ვადის დენის დასაწყისად მიიჩნია 2014 წლის 17 ივლისი და ამ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის წარდგენის ბოლო დღე არის 2014 წლის 30 ივლისი, რა დროსაც წარდგენილ იქნა სააპელაციო საჩივარი. აღნიშნული ცხადად ადასტურებს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების დაუსაბუთებლობას.

სამოტივაციო ნაწილი:

დიდმა პალატამ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ ბ. ა-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული ნესების დაცვით.

იმავე კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ხოლო 409-ე, 412-ე მუხლების მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას აქვს ადგილი.

დიდი პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებულებას, რომ მას გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადა არ დაურღვევია.

გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას სააპელაციო სასამართლო ახდენს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ სააპელაციო საჩივრის წარმდგენი მხარისათვის ცნობილი იყო 2014 წლის 16 ივნისის სასამართლო სხდომის შესახებ, როდესაც გამოცხადდა გადაწყვეტილება და შესაბამისად მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა დაიწყო 2014 წლის 16 ივლისიდან (გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს) და ამოიწურა 2014 წლის 29 ივლისს. საქმის მასალებით კი დადგენილია, რომ სააპელაციო საჩივარი წარდგენილი იქნა 2014 წლის 30 ივლისს. აღნიშნულის სამართლებრივ დასაბუთე-

ბას სააპელაციო სასამართლო ახდენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60.2 მუხლის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, 61.3 მუხლისა და 259¹-ე მუხლის საფუძველზე.

კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ არ ხდის იმ ფაქტს, რომ კანონით დადგენილ ვადაში სასამართლოში არ გამოცხადებულა გადაწყვეტილების ჩასაბარებლად. კერძო საჩივარი იმ დასაბუთებას ემყარება, რომ გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება არა გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე, არამედ მომდევნო დღიდან, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი ვადის დაცვითაა შეტანილი.

დიდი პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ აპელანტი მხარისათვის ცნობილი იყო 2014 წლის 16 ივნისის სასამართლო სხდომის თაობაზე, ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან მიმართებით, რომ მხარეთათვის ცნობილი იყო გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრის წარდგენის თარიღთან დაკავშირებით, თუმცა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადის დენის დაწყებასთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცემის მომენტიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 259¹-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან,

რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადის დენის ათვლა, 259¹-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, დაიწყო 2014 წლის 16 ივლისიდან ანუ 30-ე დღიდან, რაც ეწინააღმდეგება იმავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესს, რომლის თანახმადაც, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

დიდი პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე თანახმად, გასაჩივრების მსურველ მხარეს გააჩნია არა უფლება, არამედ ვალდებულება ჩაიბაროს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა აისახება მხოლოდ უშუალოდ მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლის შინაარსი არ შეიძლება გაგებულ იქნეს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გარეშე. განსახილველი ნორმა აწესრიგებს გასაჩივრების უფლების წარმოშობის წინაპირობებს, ხოლო გასაჩივრების ვადის დენის დაწყებას კი აწესრიგებს იმავე კოდექსის 60-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი.

აპელანტმა მხარემ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დენის დასაწყისად სწორად მიიჩნია 2014 წლის 17 ივლისი და ამ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის წარდგენის ბოლო დღე არის 2014 წლის 30 ივლისი, როცა წარდგენილ იქნა კიდევ სააპელაციო საჩივარი, რაც დასტურდება საქმის მასალებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასამართლოს მიერ პროცედურული წესის, განსაკუთრებით კი გასაჩივრების უფლების გამოყენების ვადების განსაკუთრებით მკაცრმა ინტერპრეტაციამ შესაძლოა ხელყოს სასამართლოსადმი წვდომის უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მართალია „სასამართლო უფლება“, განსაკუთრებით სასამართლოსადმი წვდომის უფლება არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება ნაგულისხმევ შეზღუდვებს, თუმცა ამ შეზღუდვებმა არ უნდა შეზღუდონ მოსარჩელის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა იმ სახით და იმ დონემდე, რომ მან გავლენა იქონიოს სასამართლო უფლების არსზე. შეზღუდვები აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფს მხოლოდ მაშინ, თუ აქვს დასახული ლეგი-

ტიმური მიზანი და თუ არის დაცული პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებასა და დასახულ მიზანს შორის. (*Liakopoulou v. Greece*, 20627/04, §17, 2006, ECHR).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეფექტური სასამართლო დაცვის უფლება გულისხმობს, სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეების შესაძლებლობას გამოიყენონ გასაჩივრების უფლება იმ მომენტიდან, როცა მათ შეუძლიათ ეფექტურად შეაფასონ სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეიძლება დაარღვიოს მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები. საქმეში „გიორგი ნიკოლაევიჩ მიხაილოვი რუსეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „სასამართლომ ვადის შემზღუდველი პროცედურული ნორმა ისეთნაირად განმარტა, რომ ხელი შეუშალა მომჩივნის საჩივრის გამოკვლევას, რის შედეგადაც ამ უკანასკნელის სასამართლოს ეფექტური დაცვის უფლება დაირღვა.“ (*Georgiy Nikolayevich Mikhayliv v. Russia*, 4543/04, §57, 2010, ECHR).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „მირაგალ ესკოლანო და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ როდესაც საკითხი ეხება სამართლებრივი სიცხადის პრინციპს (*Legal certainty*), ეს არ არის უბრალოდ სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაციის პრობლემა, არამედ ადგილი ჰქონდა პროცედურული მოთხოვნის არაგონივრულ კონსტრუქციას, რამაც გამოიწვია ეფექტური სასამართლო დაცვის უფლების დარღვევა. მხარეებს უნდა შეეძლოთ გასაჩივრების უფლების გამოყენება იმ მომენტიდან, როცა მათ ძალუძთ ეფექტურად შეაფასონ ის ტვირთი, რომელსაც აკისრებთ სასამართლო გადაწყვეტილება. ეროვნული სასამართლოების მიერ პროცედურული წესის განსაკუთრებით მკაცრმა ინტერპრეტაციამ არასწორად ჩამოართვა მომჩივნებს თავიანთი საჩივრების განხილვისათვის სასამართლოსადმი წვდომის უფლება (*Mirigall Escolano and Others v. Spain*, 38366/97, §33, 2000, ECHR).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დიდი პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლი როგორც სპეციალური ნორმა, რომელიც გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლის მომენტად მისი გამოცხადებიდან 30-ე დღეს განსაზღვრავს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-ე მუხლი კი არის ზოგადი ნორმა, რომელიც მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც იმავე კოდექსის სპეციალური ნორმა განსხვავებულ ქცევის წესს არ ადგენს.

დიდი პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლის განმარტება უნდა მოხდეს ამავე კოდექსის მე-60 მუხლის დანაწესის გათვალისწინებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლი აწესრიგებს ამავე კოდექსის სხვადასხვა ინსტიტუტებით გათვალისწინებული საპროცესო ვადის დენის დასაწყისის მომენტს და, შესაბამისად, ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლით დადგენილ ვადებზეც.

დიდი პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლით განსაზღვრულ გასაჩივრების წესს საფუძვლად უდევს გადაწყვეტილების ჩაბარების ინსტიტუტი, კერძოდ, სასამართლო შეტყობინების (უწყების) ჩაბარების მსგავსად, გასაჩივრების უფლების მქონე მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებაში იგულისხმება როგორც უშუალოდ ამ მხარისათვის (ან მისი წარმომადგენლისათვის) გადაწყვეტილების ჩაბარება, ასევე ამ გადაწყვეტილების ჩაბარების პრეზუმფცია, რომელიც მიუთითებს, რომ გასაჩივრების უფლების მქონე მხარემ ჩაიბარა გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹-ე მუხლის დათქმა იმის შესახებ, რომ „წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს,“ მიგვიითითებს პრეზუმფციაზე, რომლის თანახმად კანონი ადგენს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს დაინტერესებული მხარისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებისათვის. აღნიშნული ფაქტი უკავშირდება საპროცესო მოქმედების შესრულების ზუსტ კალენდარულ თარიღს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილი), რომლის ათვისის საპროცესო წესი მოცემულია ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილით.

შესაბამისად, დიდი პალატა მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების ინსტიტუტი მოიცავს, როგორც უშუალოდ დაინტერესებული მხარისათვის (ან მისი წარმომადგენლისათვის) გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებას, ასევე ამ ჩაბარების ფაქტის არსებობის პრეზუმფციასაც, რაზეც ვრცელდება საპროცესო ვადის გამოთვლის ერთიანი საპროცესო წესი (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლი).

დიდი პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს საპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო

სო ნორმების დარღვევითაა დადგენილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

დიდმა პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით, 391'-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბ. ა-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ბ. ა-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო უწყების გაგზავნა

განჩინება

№ას-746-714-2014

2 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: კრების ოქმის ბათილად ცნობა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. კ-ამ ბათუმის საქალაქო სასამართლოში იბა „ბ-ი 7-ის“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა 17.06.2013 წლის №17 და 11.07.2013 წლის №19 კრების ოქმების ბათილად ცნობის, ასევე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი იბა „ხ-ი 7-ის“ 17.06.2013 წლის №17 და 11.07.2013 წლის №19 კრების ოქმები, იბა „ხ-ი 7-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ 21800 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა დაეკისრა.

აღნიშნული გადაწყვეტილება იბა „ხ-ი 7-ის“ თავმჯდომარე ს. დ-მ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 25 აპრილის განჩინებით „ხ-ი 7-ს“ დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში დასაბუთებული სააპელაციო საჩივრისა და სახელმწიფო ბაჟის – 872 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა.

იმავე სასამართლოს 2014 წლის 20 მაისის განჩინებით იბა „ხ-ი 7-ის“ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ხარვეზის განჩინება, როგორც თავად აპელანტს, ისე მის წარმომადგენელს სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა. ორივე გზავნილი სასამართლოს დაუბრუნდა მითითებით, რომ ადრესატი ამ მისამართზე არ ცხოვრობს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტმა მისამართი შეიცვალა, რის შესახებაც სასამართლოს არ აცნობა, შესაბამისად, მიიჩნია, რომ ხარვეზის განჩინება აპელანტს 2014 წლის 7 მაისს ჩაბარდა, ხოლო 10-დღიანი საპროცესო ვადა 19 მაისს ამოიწურა, აპელანტმა კი, ხარვეზი ამ ვადაში არ შეავსო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ხ-ი 7-ის“ თავმჯდომარე ს. დ-მ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, მართალია, არც თავად და არც ამხანაგობის წარმომადგენელი რ. ც-ე ქ. ბათუმში, რ-ის ქ. №13-ში არ ცხოვრობენ, მაგრამ ამ მისამართზე იბა „ხ-ი 7-ის“ ოფისი მდებარეობს. შპს „სკს-ს“ წერილით დასტურდება, რომ მისამართზე მისულმა კურიერმა არ მოიკითხა იბა „ხ-ი 7“, არამედ ჰკითხა მაცხოვრებლებს, იცნობდნენ თუ არა ს. დ-სა და რ. ც-ს, რომლებიც, როგორც აღინიშნა, ამ მისამართზე არ ცხოვრობენ. სწორედ ამ მიზეზით, გზავნილი ვერ ჩაბარდა და სააპელაციო სასამართლოს საჩივარი განუხილველად არ უნდა დაეტოვებინა. სააპელაციო საჩივარში ელექტრონული ფოსტის მისამართია მითითებული და სასამართლოს შეეძლო, მისი მეშვეობით გაეგზავნა განჩინება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ იბა „ხ-ი 7-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო 73-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, სასამართლო უწყება იგზავნება ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით, ფოსტით, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება და არ არის ვალდებული, დაიცვას თანამიმდევრობა. სასამართლომ დასაბარებელ პირს უწყება შეიძლება ჩააბაროს ასევე სასამართლოს შენობაში. თუ პირველად გაგზავნისას უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, იგი დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის განჩინება ერთდროულად გაეგზავნა ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ხ-ი 7-ის“ თავმჯდომარე ს. დ-სა და მის წარმომადგენელ რ. ც-ს მათ მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე, ქ. ბათუმი, რ-ის ქ. №13. გზავნილი ადრესატებს არ ჩაბარდა. რ. ც-ის გზავნილის უკუგზავნილზე აღნიშნულია, რომ „ამ მისამართზე ცხოვრობს ლ. და შ. ც-ები. ასეთ პირს არ იცნობენ“, ხოლო ამხანაგობა „ხ-ი 7-ის“ თავმჯდომარე ს. დ-ის უკუგზავნილზე – „რ-ის 13 არის კორპუსი. ეს ორგანიზაცია და პიროვნება არავინ არ იცის“.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს კერძო სა-

ჩივარზე დართულ შპს „ს-ს-ის“ წერილზე, რომლის მეორე აბზაცის მიხედვით, „ს. დ-ის სახელზე გაგზავნილი გზავნილი შევიდა 2014 წლის 7 მაისს. ადრესატის მისამართად მითითებული იყო ქ. ბათუმი, რ-ის ქ. №13. აღნიშნული გზავნილი კურიერის მიერ გატანილ იქნა შესაბამის მისამართზე, რომელმაც მაცხოვრებელ მოსახლეობასთან მოიკითხა ადრესატის შესახებ, მაგრამ მას განუცხადეს, რომ ს. დ-ე ამ მისამართზე არ ცხოვრობს. კურიერს ამავე მისამართზე არსებულ ორგანიზაციებში ამხანაგობა „ხ-ი 7“, შპს „კ. პ-ი 4“, შპს „ც. ქ-ი“ ადრესატი არ მოუკითხავს, ვინაიდან ჩათვალა, რომ ს. დ-ე ამ მისამართზე არ ცხოვრობდა“.

კერძო საჩივრის ავტორები განმარტავენ, რომ არც ს. დ-ე და არც რ. ც-ე ამ მისამართზე არ ცხოვრობენ, მაგრამ იქ მდებარეობს „ხ-ი 7-ის“ ოფისი. სასამართლოდან გზავნილი გაეგზავნა ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ხ-ი 7-ის“ თავმჯდომარე ს. დ-ს, მაგრამ, მიუხედავად უკუგზავნილზე მითითებისა, როგორც შპს „ს-ს-ს“ წერილი ადასტურებს, კურიერს „ხ-ი 7“ ამ მისამართზე არ მოუძიებია, ანუ თავად ფოსტა ადასტურებს მისი თანამშრომლის მიერ სასამართლოსათვის დაბრუნებულ დოკუმენტზე არასწორი მონაცემების მითითებას. ამ გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხარვეზის განჩინება იბა „ხ-ი 7-ის“ თავმჯდომარე ს. დ-ისათვის ჩაბარებულად ვერ იქნება მიჩნეული, შესაბამისად, აპელანტს არც ხარვეზის შევსების ვადა გაუშვია.

კერძო საჩივრის ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული იყო ელექტრონული ფოსტის მისამართი, მაგრამ სასამართლომ განჩინება მისი მეშვეობით არ გაგზავნა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება და არ არის ვალდებული, დაიცვას თანამიმდევრობა, შესაბამისად მხარის ეს პრეტენზია უსაფუძვლოა.

ყოველივე ზემომითითებულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იბა „ხ-ი 7-ის“ თავმჯდომარის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ხ-ი 7-ის“ თავმჯდომარე ს. დ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 მაისის განჩინება და საქმე ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ხ-ი 7-ის“ თავმჯდომარე ს. დ-ის სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის გამოსმობა

განჩინება

№ას-640-607-2014

4 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაქური**

დავის საგანი: საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტა, თანხის დაკისრება და ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ბ-მ და თ. მ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხე შპს „ჯ. 2012-ის“ მიმართ, მოითხოვეს ქ.ბათუმში, ქ-ის ქ. №10-12-ში, სასტუმრო „მ-ის“ პირველ სართულზე მდებარე 120 კვ.მ-ზე 2012 წლის 12 აპრილს ლ. ბ-ს, დ. ბ-ს, თ. მ-სა და შპს „ჯ. 2012-ს“ შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტა და იჯარით გაცემული ფართის თავისუფალ მდგომარეობაში მოსარჩელებსათვის გადაცემა. მოსარჩელებმა ასევე მოითხოვეს 2013 წლის მაისის, ივნისისა და ივლისის თვის გადაუხდელი საიჯარო ქირის სახით 36000 აშშ დოლარის დაკისრება და საიჯარო ფართით სარგებლობისათვის ყოველთვიურად 12000 აშშ

დოლარის დაკისრება 2013 წლის ივლისის თვიდან ფართის გა-
თავისუფლებამდე.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 10 დეკემბრის
გადაწყვეტილებით ა. ბ-ისა და თ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შეწყდა 2012 წლის 12 აპრილს ლ.
ბ-ს, დ. ბ-ს, თ. მ-სა და შპს „ჯ. 2012-ს“ შორის გაფორმებული
იჯარის ხელშეკრულება ქ.ბათუმში, ჭ-ის ქ. №10-12-ში, სასტუმ-
რო „მ-ის“ პირველ სართულზე მდებარე 120 კვ.მ-ზე (ფართი №2)
რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სა-
რეგისტრაციო სამსახურში (უძრავი ქონების ს.კ:) და ფართი
თავისუფალ მდგომარეობაში ჩაბარდა მოსარჩელებს (მესაკუ-
თრეებს) ა. ბ-სა და თ. მ-ს. შპს „ჯ. 2012-ს“ მოსარჩელების
სასარგებლოდ დაეკისრა სოლიდარულად საიჯარო ქირის გადა-
უხდელი თანხის (2013 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით) – 1166,67
ლარის გადახდა. აგრეთვე მოპასუხეს თ. მ-ისა და ა. ბ-ის სასარ-
გებლოდ სოლიდარულად დაეკისრა 2013 წლის 10 დეკემბრი-
დან იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე დაკავებული ფარ-
თის გათავისუფლებამდე ყოველთვიურად 12000 ლარის გადახ-
და.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივ-
რა შპს „ჯ. 2012-მა“ და მოითხოვა მისი გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2014 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ჯ.
2012“-ის სააპელაციო საჩივარზე – ბათუმის საქალაქო სასამარ-
თლოს 2013 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმების
შესახებ თანხის დაკისრების ნაწილში სააპელაციო წარმოება
შეწყდა. შპს „ჯ. 2012“-ის დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი
დაკმაყოფილდა და გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს
2013 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომ-
ლითაც შეწყდა 2012 წლის 12 აპრილს ლ. ბ-ს, დ. ბ-ს, თ. მ-სა და
შპს „ჯ. 2012“-ს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება
ქ.ბათუმში, ჭ-ის ქ. №10-12-ში, სასტუმრო „მ-ის“ პირველ სარ-
თულზე მდებარე 120 კვ.მ-ზე (ფართი №2) რეგისტრირებული
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამ-
სახურში (უძრავი ქონების ს.კ:) და ფართი თავისუფალ
მდგომარეობაში ჩაბარდა მოსარჩელებს (მესაკუთრეებს) ა. ბ-
სა და თ. მ-ს. შპს „ჯ. 2012“-ს დაევალა ფართი თავისუფალ მდგო-
მარეობაში ჩააბაროს მოსარჩელებს (მესაკუთრეებს) ა. ბ-ს და
თ. მ-ს. ა. ბ-ის და თ. მ-ის წარმომადგენლების შუამდგომლობა
ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 10 დეკემბრის გა-

დანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე, დაუშვებლობის გამო, დარჩა განუხილველი.

აღნიშნული გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ბ-მ, თ. მ-მა და მოითხოვეს მისი გაუქმება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 1 ივლისის განჩინებით ა. ბ-ისა და თ. მ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

2014 წლის 20 ნოემბერს ა. ბ-ისა და თ. მ-ის წარმომადგენლებმა მ. ა-მა და თ. ი-მ შუამდგომლობით მომართეს საკასაციო პალატას და მოითხოვეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის შესაბამისად სარჩელის გამოხმობა. აგრეთვე, კასატორებმა წარმოადგინეს მოწინააღმდეგე მხარე შპს „ჯ. 2012-ის“ დირექტორ ბ. უ-ის ნოტარიულად დამოწმებული განცხადება, სადაც იგი თანახმა არის სარჩელის გამოხმობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ბ-ისა და თ. მ-ის წარმომადგენლების – მ. ა-ისა და თ. ი-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს, ამავე კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად კი, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოხმობის შესახებ, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის

განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე. ამავე კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოსმობის შესახებ.

ზემოხსენებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ კასატორი უფლებამოსილია, მონინალმდევე მხარის თანხმობით გამოიხმოს სარჩელი, რის შედეგადაც იგი დარჩება განუხილველად.

განსახილველ შემთხვევაში კასატორებმა ა. ბ-მ და თ. მ-მა თავისი სარჩელი გამოიხმეს, რასაც დაეთანხმა მონინალმდევე მხარე შპს „ჯ. 2012-ის“ დირექტორი ბ. უ-ი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოსმობის შესახებ, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ა. ბ-ისა და თ. მ-ის წარმომადგენლების – მ. ა-ისა და თ. ი-ის შუამდგომლობა სარჩელის გამოსმობის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს და კასატორებს უნდა დაუბრუნდეთ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 6000 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹, 284-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ა. ბ-ისა და თ. მ-ის წარმომადგენლების – მ. ა-ისა და თ. ი-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

2. მოცემულ საქმეზე გაუქმდეს ქვემდგომი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

3. ა. ბ-ისა და თ. მ-ის სარჩელი მოპასუხე შპს „ჯ. 2012-ის“ მიმართ საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის, თანხის დაკისრებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე დარჩეს განუხილ-

ველად.

4. კასატორებს – ა. ბ-სა (პირადი: №....) და თ. მ-ს (პირადი: №....) დაეპრუნდეთ მ. მ-ის მიერ 2014 წლის 27 ივნისს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 6000 ლარის ოდენობით შემდეგი ანგარიშიდან: ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი თლEშE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გააჩივრდება.

არასათანადო მოპასუხის შიშვლა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-283-265-2014

9 სექტემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე**

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 6 ივნისს სს „ქ. ფ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. მ-ის, შპს „რ. ი. ჯ-ის“, შპს „რ. ფ-ისა“ და მ. ა-ის მიმართ და მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი 2011 წლის 27 დეკემბერს სს „ქ. ფ-სა“ და შპს „რ. ი. ჯ-ს“, შპს „რ. ი. ჯ-სა“ და შპს „რ. ფ-ს“ შორის დადებული ნაყარი წიდისა და ნაცრის ნასყიდობის ხელშეკრულებები, აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა და აღნიშნული გარიგებით გასხვისებული ქონება დაუბრუნდეს სს „ქ. ფ-ს“, ხოლო მოპასუხეებს – ი. მ-ს და მ. ა-ს სს „ქ. ფ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ზიანის – 25617800 ლარის ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით:

2011 წლის 27 დეკემბერს დადებული ხელშეკრულებებით სს „ქ. ფ-ის“ რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებიდან ექვს დღეში,

სს „ქ. ფ-ის“ უძრავ-მოძრავი ქონება გადაეცა 28 დღით ადრე რეგისტრირებულ შპს „რ. ფ-ს“, ამავე დღეს საწარმოს კუთვნილი წიდა და ნაცარი არარეალურ ფასად – 3916418 ლარად გადაეცა შპს „რ. ი. ჯ-ს“, თანხის გადახდის ვადად განისაზღვრა საკუთრების უფლების გადაცემიდან მე-7 წლის ბოლო დღე, შპს „რ. ი. ჯ-მა“ კი, იმავე დღეს იგივე ქონება 256 178 000 ლარად გაასხვისა შპს „რ. ფ-ე“.

სს „ქ. ფ-ის“ დირექტორი ი. მ-ი და რეაბილიტაციის მმართველი მ. ა-ი მოქმედებდნენ შპს „რ. ფ-თან“ წინასწარი შეთანხმებით, სს „ქ. ფ-ის“ ეკონომიკური ინტერესების საწინააღმდეგოდ, დადეს საწარმოსათვის არახელსაყრელი, მოჩვენებითი და ზიანის მომტანი გარიგება, რის გამოც ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

მოპასუხეებმა – მ. ა-მა, ი. მ-მა, შპს „რ. ფ-მა“ და შპს „რ. ი. ჯ-მა“ სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2011 წლის 27 დეკემბრის სს „ქ. ფ-სა“ და შპს „რ. ი. ჯ-ს“ შორის დადებული ნაყარი წიდისა და ნაცრის ნასყიდობის ხელშეკრულება, ასევე 2011 წლის 27 დეკემბერს შპს „რ. ი. ჯ-სა“ და შპს „რ. ფ-ს“ შორის დადებული ნაყარი წიდისა და ნაცრის ნასყიდობის ხელშეკრულება, დადგინდა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და აღნიშნული ხელშეკრულებებით გასხვისებული ქონების სს „ქ. ფ-ისთვის“ საკუთრებაში დაბრუნება. სს „ქ. ფ-ის“ სარჩელი ი. მ-ის და მ. ა-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მოპასუხეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ განხილვის საგანია 2011 წლის 27 დეკემბერს სს „ქ. ფ-სა“ და შპს „რ. ი. ჯ-ს“ შორის დადებული ნაყარი წიდის და ნაცრის ნასყიდობის ხელშეკრულების, 2011 წლის 27 დეკემბერს შპს „რ. ი. ჯ-სა“ და შპს „რ. ფ-ს“ შორის დადებული ნაყარი წიდის და ნაცრის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ნაწილში პირველი ინსტანციის სასამარ-

თლოს გადაწყვეტილების მართლზომიერების შემოწმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს „რ. ფ-მა“, შპს „რ. ი. ჯ-მა“, მ. ა-მა, ი. მ-მა და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა, გადაწყვეტილების წინმსწრები, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 23 ოქტომბრის მოსამზადებელ სხდომაზე მიღებული საოქმო განჩინებების, ამავე სასამართლოს 2013 წლის 27 ნოემბრისა და 4 დეკემბრის მთავარ სხდომებზე მიღებული საოქმო განჩინებების გაუქმება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავოა მოვალე საწარმოს – სს „ქ. ფ-ის“ დირექტორის მიერ სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების საკითხი.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით, სააქციო საზოგადოების სახელით სარჩელი აღიძრა სამენარმეო რეესტრში რეგისტრირებული ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის – სს „ქ. ფ-ის“ დირექტორ ნ. ჯ-ის მიერ რამდენიმე მოპასუხის, მათ შორის, რეაბილიტაციის მმართველისა და საწარმოს ყოფილი დირექტორის წინააღმდეგ, მათ მიერ დადებული მოვალე საწარმოსათვის საზიანო გარიგების ბათილად ცნობისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვას ითვალისწინებს მხოლოდ გაკოტრების მმართველის დანიშვნის შემთხვევაში. კერძოდ, გაკოტრების პროცესში საწარმოს მართვასა და წარმომადგენლობას ახორციელებს გაკოტრების მმართველი, რომელიც აღჭურვილია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი სამენარმეო საქმიანობის სუბიექტთა მართვაზე, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებისათვის მინიჭებული ყველა უფლებამოსილებით. გაკოტრების პროცესში მოვალის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები უჩერდება

(„გადახდისუუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი). გაკოტრების პროცესისგან გასხვავებით, რომელშიც მოვალე საწარმოს წარმომადგენლობითი ორგანოები ყველა უფლებებს კარგავენ, რეაბილიტაციის პროცესში ასეთი რამ არ ხდება, ვინაიდან რეაბილიტაციის წარმოების შემთხვევაში საქმე მოქმედ საწარმოს ეხება. „გადახდისუუნარობის შესახებ საქართველოს კანონის“ 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, რეაბილიტაციის პროცესში რეაბილიტაციის მმართველისა და საწარმოს დირექტორის უფლებამოსილებათა წრეს განსაზღვრავს კრედიტორთა კრება. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული ნორმა არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ კრედიტორებს შესაძლებლობა აქვთ სრულად შეზღუდონ რეაბილიტაციის პროცესში მოვალე საწარმოს დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება რეაბილიტაციის მმართველის სასარგებლოდ, მით უფრო, როდესაც საკითხი ეხება მოვალე იურიდიული პირის ინტერესების დაცვის სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებას და როდესაც სარჩელზე ერთ-ერთ მოპასუხეს სწორედ რეაბილიტაციის მმართველი წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, დასაბუთებულია საქმის განმხილველი სასამართლოს შემდეგი დასკვნა: წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განსაზღვრის გონივრულ წესად მიჩნეულ უნდა იქნეს ის შემთხვევა, როდესაც მოვალე საწარმოს წარმომადგენლობითი ორგანოები რეაბილიტაციის პროცესის დაწყების შემდგომაც ახორციელებენ უფლებამოსილებებს, რადგანაც რეაბილიტაციის მიზანი სწორედ ისაა, რომ საწარმოს არსებობა გაგრძელდეს რეაბილიტაციის დამთავრების შემდეგაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველი, რაც გულისხმობს საქმის წარმოებაზე უფლებამოსილების არმქონე პირის მიერ სარჩელის წარდგენას. დირექტორი ვერ მიიჩნევა მოვალე საწარმოს სახელით, ამ უკანასკნელის ინტერესების დაცვის მიზნით, სხვადასხვა მოპასუხის, მათ შორის, ყოფილი დირექტორისა და რეაბილიტაციის მმართველის წინააღმდეგ სარჩელის წარდგენაზე არაუფლებამოსილ პირად. ამავე გარემოების გათვალისწინებით, მოპასუხედ დასახელებული პირის, რეაბილიტაციის მმართველ მ. ა-ის უარი სარჩელზე არ შეიძლება, გახდეს საქმეზე წარმოების შეწყვეტის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სს „ქ. ფ-ის“ 2013 წლის 12 ივლისის კრედიტორთა კრება, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სს „ქ. ფ-ის“ დირექტორისთვის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების შეზღუდვასთან დაკავშირებით, შედგა მას შემდეგ, რაც სს „ქ. ფ-ის“ დირექტორ ნ. ჯ-ის მიერ სასამართლოში აღიძრა განსახილველი დავა (06.06.2013წ.). ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობს სარჩელის განუხილველად დატოვების და ზემოაღნიშნული საფუძვლებით საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული 2013 წლის 23 ოქტომბრის საოქმო განჩინებების გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი, მე-2, მე-4 პუნქტებით და მიიჩნია, რომ დავის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სპეციალური განსჯადობისათვის მიკუთვნების დასადგენად განმსაზღვრელია, დაკავშირებულია თუ არა იგი მოვალის ქონებასთან. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი ამ კანონის მიზნებისათვის განმარტავს სამეურვეო ქონების ცნებას, კერძოდ, მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამეურვეო ქონება არის ქონება, რომელიც მოვალეს ეკუთვნის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის მომენტიდან, ასევე ამ მომენტიდან შექმნილი ან/და წარმოებული (შექმნილი) ქონება, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, იმ ნივთებისა და მოთხოვნების გამოკლებით, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარება.

განსახილველ შემთხვევაში, რამდენადაც სასამართლომ დაადგინა, რომ წინამდებარე დავა აღძრულია რეაბილიტაციის პროცესის დაწყების (28.11.2011წ.) შემდგომ, 2011 წლის 27 დეკემბერს დადებული ნაყარი წიდისა და ნაცრის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ განსახილველი დავა დაკავშირებულია მოვალის ქონებასთან და, შესაბამისად, იგი ექვემდებარება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულ განსაკუთრებული განსჯადობის წესს. ის გარემოება, რომ რეაბილიტაციის პროცესის დაწყების შემ-

დგომ მოვალის ქონების განკარგვის შესახებ გარიგებით ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის საკითხზე, მოცემულ დავას ვერ აქცევს არბიტრაჟის განსჯად საქმედ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული 2013 წლის 23 ოქტომბრის და 27 ნოემბრის საოქმო განჩინებების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლომ შეამოწმა სააპელაციო საჩივრების დასაბუთებულობა გასაჩივრებული საოქმო განჩინებების კანონიერება და საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობს არც მითითებული საოქმო განჩინებების გაუქმების საფუძველი, რამდენადაც პირველი ინსტანციის სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინებები, ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით, დასაბუთებულია, კანონიერია და სააპელაციო საჩივრებში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ განჩინების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველებს.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ:

მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სს „ქ. ფ-ი“ რეგისტრირებულია სამენარმეო რეესტრში საიდენტიფიკაციო კოდით №....., რეგისტრირებული 2005 წლის 25 ნოემბერს, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან: რეაბილიტაციის მმართველი – მ. ა-ი და დირექტორი ნ. ჯ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით მიღებულ იქნა წარმოებაში სს „ქ. ფ-ის“ დირექტორ ი. მ-ის განცხადება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ. სასამართლოს 2011 წლის 6 დეკემბრის განჩინებით, მომრიგებელი საბჭოს 2011 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, სს „ქ. ფ-ის“ მიმართ დაიწყო რეაბილიტაციის პროცესი, ხოლო სასამართლოს 2011 წლის 9 დეკემბრის განჩინებით დამტკიცდა სს „ქ. ფ-ის“ კრედიტორთა კრების გადაწყვეტილება რეაბილიტაციის მმართველად მ. ა-ის დანიშვნის შესახებ. მომრიგებელი საბჭოს მიერ განხილული და მოწონებული რეაბილიტაცი-

ის გეგმა დამტკიცდა უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ.

მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს „რ. ფ-ი“ რეგისტრირებულია სამენარმეო რეესტრში 2011 წლის 29 ნოემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი –, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან დირექტორები – თ. რ. ბ-ი და მ. ფ. უ. ს-ი.

მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს „რ. ი. ჯ-ი“ რეგისტრირებულია სამენარმეო რეესტრში 2011 წლის 14 ივლისს, საიდენტიფიკაციო კოდი – წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის ი. ა-ი.

2011 წლის 27 დეკემბერს სს „ქ. ფ-ს“ (წარმომადგენლები: ი. მ-ი და მ. ა-ი) და შპს „რ. ი. ჯ-ს“ (წარმომადგენელი – ი. ა-ი) შორის დაიდო ნაყარი წიდისა და ნაცრის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სს „ქ. ფ-ის“ საკუთრებაში არსებული ნაყარი წიდისა და ნაცრის სრული ოდენობა 3 916 418 ლარად საკუთრებაში გადაეცა შპს „რ. ი. ჯ-ს“. მხარეები შეთანხმდნენ, რომ შპს „რ. ი. ჯ-ი“ ნასყიდობის ფასს გადაიხდიდა საკუთრების უფლების გადაცემიდან მომდევნო 7 წლის თავზე, ანუ მე-7 წლის ბოლო დღეს. ამავე დღეს, 2011 წლის 27 დეკემბერს, შპს „რ. ი. ჯ-მა“ სს „ქ. ფ-ისგან“ 3916418 ლარად შეძენილი ნაყარი წიდა და ნაცარი 256 178 000 ლარად გაასხვისა შპს „რ. ფ-ზე“. შპს „რ. ი. ჯ-ს“ და შპს „რ. ფ-ს“ შორის დადებული ნაყარი წიდისა და ნაცრის ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, შპს „რ. ფ-ს“ 256 178 000 ლარი უნდა გადაეხადა არა უგვიანეს 2012 წლის 1 ოქტომბრისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადასახდელ თანხას დაერიცხებოდა სარგებელი წლიური 20%-ის ოდენობით დავალიანების სრულ დაფარვამდე.

2011 წლის 27 დეკემბერს სს „ქ. ფ-ს“ (წარმომადგენლები – ი. მ-ი და მ. ა-ი) და შპს „რ. ფ-ს“ (წარმომადგენელი – ა. ჩ-ი) შორის დაიდო აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე შპს „რ. ფ-ს“ 77 846 000 ლარად გადაეცა სს „ქ. ფ-ის“ კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონება და არამატერიალური სიკეთე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართების მიხედვით, გარდა ნაყარი წიდისა და ნაცრისა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ შპს „რ. ფ-ი“ ნასყიდობის ფასს სრულად გადაიხდიდა საკუთრების უფლების გადაცემიდან მომდევნო 7 წლის თავზე, ანუ მე-7 წლის ბოლო დღეს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი

მუხლის მიხედვით, ამ კანონის მიზანია მოვალისა და კრედიტორის (კრედიტორების) ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, შესაძლებლობის შემთხვევაში მოვალის ფინანსური სიძნელების გადაჭრა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ან ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ამდენად, პალატის მითითებით, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი, მოვალისა და კრედიტორების ინტერესების დაცვას ერთმანეთის გვერდით, თანაბარზფლებიანად ასახელებს. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული კანონის პირველი მუხლის სამართლებრივი ანალიზი იმაზეც მიუთითებს, რომ უწინარესად უნდა გადამოწმდეს, შესაძლებელია თუ არა მოვალის ფინანსური პრობლემების სხვაგვარად გადაჭრა, ვიდრე მისი ქონების ლიკვიდაციით. ამის შედეგად რეაბილიტაციას გარკვეული უპირატესობა ენიჭება. პალატამ დაასკვნა, რომ კანონის მიზანია სიცოცხლისუნარიანი სანარმოს გადარჩენა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი ორ განსხვავებულ წარმოებას იცნობს, რომელიც ეფუძნება წარმოებაში მიღებულ ვალაუვალობის განცხადებას, კერძოდ, გაკოტრების წარმოებას და რეაბილიტაციის წარმოებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით წარმოებაში მიიღო სს „ქ. ფ-ის“ დირექტორ ი. მ-ის განცხადება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ. სასამართლოს 2011 წლის 6 დეკემბრის განჩინებით, მომრიგებელი საბჭოს 2011 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, სს „ქ. ფ-ის“ მიმართ დაიწყო რეაბილიტაციის პროცესი, ხოლო სასამართლოს 2011 წლის 9 დეკემბრის განჩინებით, დამტკიცდა სს „ქ. ფ-ის“ კრედიტორთა კრების გადაწყვეტილება რეაბილიტაციის მმართველად მ. ა-ის დანიშვნის შესახებ. მომრიგებელი საბჭოს მიერ განხილული და მოწონებული რეაბილიტაციის გეგმა დამტკიცებულ იქნა უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონი ცალსახად და არაორაზროვნად განმარტავს რეაბილიტაციის წარმოების მიზანს, რასაც წარმოადგენს კრედიტორთა მოთხოვნების ეტაპობრივი სრული დაკმაყოფილება უმთავრესად, მოვალე სანარ-

მოს, როგორც ეკონომიკურად მოქმედი ერთეულის შენარჩუნებით, რაც მიიღწევა მოვალის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მართვის სისტემის სრულყოფის, მოვალის კომერციული საქმიანობის წარმატებულობისა და მომგებიანობის გაზრდის, აგრეთვე, სამეურვეო ქონების შესაძლო ოპტიმიზაციის გზით. კანონის მიზანია, რეაბილიტაციის პროცესი წარიმართოს იმდაგვარად, რომ მოვალე საწარმოს ქონების ოპტიმიზაციის შედეგად დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და შენარჩუნდეს სიცოცხლისუნარიანი საწარმო.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 27 დეკემბერს სს „ქ. ფ-ს“ და შპს „რ. ი. ჯ-ს“ შორის დაიდო ნაყარი წილისა და ნაცრის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე, სს „ქ. ფ-ის“ საკუთრებაში არსებული ნაყარი წილისა და ნაცრის სრული ოდენობა 3 916 418 ლარად საკუთრებაში გადაეცა შპს „რ. ი. ჯ-ს“. მხარეები შეთანხმდნენ, რომ შპს „რ. ი. ჯ-ი“ ნასყიდობის ფასს გადაიხდიდა საკუთრების უფლების გადაცემიდან მომდევნო 7 წლის თავზე, ანუ მე-7 წლის ბოლო დღეს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, წინამდებარე სარჩელის ფარგლებში სადავოა რეაბილიტაციის პროცესის დაწყების შემდგომ მოვალე საწარმოს ნაყარი წილისა და ნაცრის გასხვისების მართლზომიერების საკითხი და 2011 წლის 27 დეკემბრის გარიგების შესაბამისობა რეაბილიტაციის მიზნებთან.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტი მოვალე საწარმოს სამეურვეო ქონების რეალიზაციას ითვალისწინებდა გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში და ისიც, აუქციონის გზით. რაც შეეხება რეაბილიტაციის პროცესს, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავდა პირდაპირ დათქმას რეაბილიტაციის პროცესის დაწყების შემდგომ მოვალე საწარმოს ქონების გასხვისების აკრძალვასთან დაკავშირებით, თუმცა, რეაბილიტაციის პროცესის მიზნებიდან გამომდინარე, მოვალე საწარმოს ინტერესის საწინააღმდეგო გარიგების დადების (ქონების განკარგვის) შეზღუდვა გამომდინარეობდა მითითებული კანონიდან.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის გადასაწყვეტად შეფასება უნდა მიეცეს იმ გარემოებას, სადავო გარიგების შედეგად მოვალესთან დარჩენილი აქტივების მოცულობა რამდენად უზრუნველყოფდა თა-

ვად რეაბილიტაციის პროცესის მიზანს – კრედიტორთა მოთხოვნების ეტაპობრივ სრულ დაკმაყოფილებას მოვალე საწარმოს, როგორც ეკონომიკურად მოქმედი ერთეულის შენარჩუნებით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა რეაბილიტაციის გეგმის 5.1.4 პუნქტზე და აღნიშნა, რომ, მართალია, იგი უფლებას აძლევს რეაბილიტაციის მმართველს, გაასხვისოს მოვალის ქონება, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ განხორციელებული ტრანზაქციების ღირებულება და მოვალესთან დარჩენილი აქტივების მოცულობა სრულად უნდა უზრუნველყოფდეს რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. რეაბილიტაციის გეგმის სრული შესრულება კი, გულისხმობს როგორც კრედიტორთა დაკმაყოფილებას, ასევე საწარმოს საქმიანობის შენარჩუნებას.

მიუხედავად იმისა, რომ თვით რეაბილიტაციის გეგმა ითვალისწინებდა სს „ქ. ფ-ის“ პროდუქციის მიმართ ბაზარზე არსებულ მოთხოვნილებას და საწარმოო პოტენციალის სწორი მენეჯმენტის პირობებში, კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან ერთად საწარმოს ფუნქციონირების შენარჩუნების უზრუნველყოფას, გეგმის დამტკიცებიდან ერთ თვეზე მცირე დროში მოხდა საწარმოს მთლიანი აქტივების გასხვისება.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის მასალებით, მათ შორის, მხარეთა ახსნა-განმარტებებით სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა, რომ მოვალე საწარმოს საქმიანობისათვის აუცილებელი ნედლეული, აქტივები, არამატერიალური სიკეთე აღარ გააჩნია. რეაბილიტაციის პროცესში ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე სს „ქ. ფ-ის“ აქტივები, მათ შორის, არამატერიალური სიკეთე, გადაეცა შპს „რ. ფ-ს“. მასვე სადავო გარიგებებით გადაეცა საწარმოს პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო და, შესაბამისად, მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მასალა – ნიდა და ნაცარი. ამ გარიგებების შედეგად რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფ საწარმოს დარჩა მხოლოდ მოთხოვნი მესამე პირის მიმართ თანხის ანაზღაურების თაობაზე შემდეგი პირობით: ხელშეკრულების მიხედვით, მყიდველმა ნასყიდობის ფასი უნდა გადაიხადოს საკუთრების უფლების გადაცემიდან მე-7 წლის ბოლო დღეს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მხოლოდ ეს გარემოებაც შეუძლებელს ხდიდა რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში და რიგითობით კრედიტორთა დაკმაყოფილებას. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ იგივე ქონება იმავე დღეს შპს „რ. ი. ჯ-მა“ მნიშვნელოვნად მეტ ფასად გაასხვისა.

სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, რომ 2011 წლის 27 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებები ეწინააღმდეგებოდა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ რეაბილიტაციის პროცესს და ამ პროცესის მიზნებიდან გამომდინარე, სამეურვეო ქონების რეალიზაციის წესს. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სადავო გარიგებები მართებულიად იქნა ცნობილი ბათილად.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის პრეტენზია საპროცესო ნორმების დარღვევით დავის განხილვის თაობაზე.

აპელანტები მიუთითებდნენ ასევე გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც შპს „რ. ფ-ს“, მ. ა-სა და ი. მ-ს, მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება. აპელანტების განმარტებით, მ. ა-ი და ი. მ-ი, რომლებიც სადავო გარიგების დადებისას წარმოადგენდნენ სს „ქ. ფ-ის“ ინტერესებს, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად მიიჩნია მოპასუხეებად ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრული სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ზემოაღნიშნული მსჯელობა და განმარტა, რომ სს „ქ. ფ-ის“ ყოფილი დირექტორი – ი. მ-ი და სანარმოს რეაბილიტაციის მმართველი – მ. ა-ი წარმოადგენენ მოპასუხე მხარეებს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში. სარჩელი აღძრულია მათი უფლებამოსილების ფარგლებში დადებული ხელშეკრულების, როგორც მართლსაწინააღმდეგო გარიგების ბათილად ცნობისა და გარიგების დადებისას მათი ქმედებების შეფასების საფუძველებით. სწორედ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში აღნიშნულ გარემოებებს ეფუძნებოა, სააპელაციო სასამართლომ დასაშვებად ცნო მ. ა-ისა და ი. მ-ის სააპელაციო საჩივრები თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების იმ ნაწილზეც, რომელიც ხელშეკრულების ბათილად ცნობას შეეხება. იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში დაკმაყოფილდა, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხეებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, მართებულიად დაეკისრათ სო-

ლიდარულად სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „რ. ი. ჯ-მა“. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა შემდეგი საფუძველებით:

მხარეთა შორის გაფორმებულ ნაყარ წიდასა და ნაცართან დაკავშირებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, არსებობს მხარეთა შეთანხმება, რომ დავა განიხილოს არბიტრაჟმა, შესაბამისად, მოცემული საქმე სასამართლოს განსჯადი არ იყო. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ კრედიტორთა გადანყვეტილებით, დირექტორის უფლებამოსილებები შეუზღუდავია და სს „ქ. ფ-ის“ ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ერთპიროვნულად რეაბილიტაციის მმართველს მიენიჭა. ამდენად, კრების გადაწყვეტილების საფუძველზე მხოლოდ დირექტორს არ ჰქონდა უფლება, დამოუკიდებლად შეეტანა სარჩელი და მისი, როგორც არაუფლებამოსილი პირის სარჩელი უნდა დარჩენილიყო განუხილველად. უფლებამოსილი პირის – რეაბილიტაციის მმართველის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო კი, საქმის წარმოება უნდა შეწყვეტილიყო.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ ისე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ შესაგებელსა და აპელაციაში ჩამოყალიბებული კანონიერი პრეტენზიები არ შეუფასებია. რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფ საწარმოს უფლება ჰქონდა, აღსრულების ბიუროს მიერ ორგანიზებული აუქციონის გარეშე გაეყიდა სამეურვეო ქონება.

კასატორის მითითებით, სააპელაციო პალატამ სამართლებრივად არ შეაფასა ის ფაქტი, რომ შპს „რ. ი. ჯ-ი“ და შპს „რ. ფ-ი“ კანონის საფუძველზე კეთილსინდისიერი შემძენები იყვნენ. სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა, რომ რეაბილიტაციის გეგმის ფარგლებში შესაძლებელია, პირდაპირი მიყიდვის წესით დაიდოს ნასყიდობის ხელშეკრულებები და გასხვისდეს სამეურვეო ქონება.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეაბილიტაციის მიზანს – კრედიტორების

ეტაპობრივად სრულ დაკმაყოფილებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასაშვებია სამეურვეო ქონების გაყიდვის უფლების მინიჭებაც და მისი მიღწევა სააღსრულებო ბიუროს მეშვეობით წარმოებული აუქციონის გზით შეუძლებელია.

კასატორის მოსაზრებით, არასწორია სასამართლოს მსჯელობა, რომ ზემოხსენებული კანონის 38-ე მუხლის მოქმედება ვრცელდება რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფ საწარმოებზეც. პალატამ არასწორად განმარტა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-6 პუნქტი, რომელიც 38-ე მუხლისაგან განსხვავებულ სამართლებრივ ასპექტებს არეგულირებს და არ მოიცავს რეაბილიტაციის მართვის პროცესში გაყიდვების აკრძალვას.

კასატორის განმარტებით, შპს „რ. ი. ჯ-მა“ ზუსტად იცოდა, რომ ამ აქტივების გამსხვიებელი იყო მესაკუთრე. გამსხვიებელს რეაბილიტაციის პროცესში ჰქონდა ამ ქონების გასხვიების უფლება (გასხვიების უფლება პირდაპირ დაშვებულია კანონით, ამასთანავე ითვალისწინებს სს „ქ. ფ-ის“ რეაბილიტაციის გეგმა და სს „ქ. ფ-ის“ მხრიდან ხელს აწერს რეაბილიტაციის მმართველი), ასევე, შემძენს აღნიშნული ნივთები საკუთრებაში უსასყიდლოდ არ მიუღია. კანონი ვერ დაავალბებს შემძენს, რეაბილიტაციაში მყოფი საწარმოს ფინანსური ანალიტიკოსი გახდეს, შეითავსოს აუდიტის ან ექსპერტის ფუნქციები და მხოლოდ ამის შემდეგ დადოს გარიგება. სასამართლომ უსაფუძვლოდ გამოაცხადა შპს „რ. ფ-ი“ არაკეთილსინდისიერ შემძენად.

კასატორის მითითებით, დაუსაბუთებელია პალატის მსჯელობა, რომ სადავო გარიგება არღვევს საწარმოს სიცოცხლისუნარიანობას მაშინ, როდესაც, სს „ქ. ფ-ის“ დირექტორის გარდა, ამის თაობაზე პრეტენზია არც რეაბილიტაციის მმართველს და არც კრედიტორებს არ გამოუთქვამთ, ამასთან სადავო გასხვიებით მიღებული თანხა წარმოადგენს სწორედ იმ კაპიტალს, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია საწარმოს რეაბილიტაციის გეგმის განხორციელება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი ასევე წარადგინა შპს „რ. ფ-მა“, კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა შემდეგი მოტივებით:

სადავო ხელშეკრულებები შეიცავს საარბიტრაჟო შეთანხმებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა წარმოადგენს არბიტრაჟის და არა სასამართლო ქვემდებარეს. ამდენად, სასამართლომ

დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სასამართლომ საერთოდ ვერ დაასაბუთა შპს „რ. ფ-ის“, როგორც 2011 წლის 27 დეკემბერს შპს „რ. ი. ფ-ს“ და შპს „რ. ფ-ს“ შორის დადებული ნაყარი წიდისა და ნაცრის ნასყიდობის ხელშეკრულების მხარის არაკეთილსინდისიერება. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ კასატორმა ხელშეკრულებით განსაზღვრული ქონება შეიძინა მისი მესაკუთრის – შპს „რ. ი. ფ-ისაგან“, რომელმაც, თავის მხრივ, სადავო ქონება სს „ქ. ფ-ისაგან“ შეიძინა.

კასატორის მოსაზრებით სააპელაციო სასამართლო მთლიანად გასცდა სარჩელის საფუძვლებს, ვინაიდან სარჩელში სადავო გარიგების ბათილად ცნობის საფუძვლებში საერთოდ არ არის მითითება, რომ სს „ქ. ფ-ის“ რეაბილიტაციის მმართველი სადავო გარიგების დადებისას გასცდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებს, დადო რეაბილიტაციის გეგმასთან შეუსაბამო გარიგება, სადავო გარიგება ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ საწარმოს რეაბილიტაციის არსს და რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი საწარმოს აქტივების გასხვისების წესსა და შეზღუდვებს. არც ერთი აღნიშნული საკითხი სარჩელის საფუძველი არ ყოფილა, არამედ გარიგების ბათილად ცნობის საფუძვლად მხარე უთითებდა მხოლოდ იმაზე, რომ გარიგების მხარეები მოქმედებდნენ განზრახ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე სს „ქ. ფ-ისათვის“ ზიანის მიყენების მიზნით, რისთვისაც მათ მოჩვენებითი, ამორალური გარიგება დადეს. ამასთან სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად მითითებული გარემოების – რეაბილიტაციის მიზნებთან მისი მმართველის მოქმედების შეუსაბამობის დადასტურების შემთხვევაშიც, აღნიშნული გარიგების ბათილობის წინაპირობა ვერ გახდებოდა.

კასატორის მითითებით, მოცემული დავა არ განეკუთვნება იმ კატეგორიის დავების რიცხვს, რომლებზეც მოქმედებს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონით დადგენილი განსაკუთრებული განსჯადობის წესები. სასამართლოს უნდა შეენწყვიტა საქმის წარმოება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 5¹ პუნქტის შესაბამისად.

გასაჩივრებული განჩინება ეფუძნება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგად მიზნებს და არ არის დასახელებული არც ერთი კონკრეტული ნორმა, რომელსაც სასამართლო დაეყრდნო.

კასატორის მოსაზრებით, საფუძველს მოკლებულია სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კანონით აკრძალულია რეაბილიტაციის პროცესში ქონების გაყიდვა. „გა-

დახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს არავითარ შეზღუდვას ან აკრძალვას რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი საწარმოს ქონების გასხვისების თვალსაზრისით და პირიქით, სწორედ ასეთი სახის შეზღუდვის ან აკრძალვის დამდგენი სამართლის ნორმის არსებობა იქნებოდა არალოგიკური და კანონის მიზნებთან შეუსაბამო. გარდა ამისა, სს „ქ. ფ-ის“ რეაბილიტაციის გეგმა, რომელიც ცნობილი იყო შპს „რ. ფ-ისთვის“, პირდაპირ ითვალისწინებდა სს „ქ. ფ-ის“ ქონების გასხვისებას და ამ უფლებამოსილების რეაბილიტაციის მმართველისთვის მინიჭებას.

კასატორის მითითებით ასევე არასწორია სასამართლოს მსჯელობა, რომ შპს „რ. ფ-ს“ არ გადაუხდია 2011 წლის 27 დეკემბერს სს „ქ. ფ-ისაგან“ შეძენილი აქტივების ნასყიდობის ფასი. მითითებული ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასის ანგარიშში კასატორმა დაფარა სს „ქ. ფ-ის“ დავალიანება და კრედიტორთა ნუსხიდან ამოირიცხა 18 მილიონ ლარზე მეტი მოცულობის მოთხოვნათა მფლობელი კრედიტორები. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს რეაბილიტაციის პროცესში მყოფი საწარმოს საწესდებო კაპიტალის გაზრდის წესს, იგი აქტივების გასხვისებას არ შეეხება. სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ სწორედ კრედიტორებმა მოიწონეს დადებული გარიგებები და, საკუთარი ინტერესების შესაბამისად, მიიჩნიეს, რომ ისინი სარგებლობენ სს „ქ. ფ-ის“ მართვასთან დაკავშირებული ძირითადი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებით.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი და არასწორად განმარტა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. მ-მაც, რომელმაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა შემდეგი საფუძვლებით:

სარჩელში საერთოდ არ იყო მითითებული პრეტენზია, რომ სს „ქ. ფ-ის“ ყოფილი დირექტორი სადავო აქტივების ნასყიდობის გარიგების დადებისას გასცდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებს ან დადებული გარიგება ეწინააღმდეგებოდა საწარმოს რეაბილიტაციის არსს, მის გეგმას და არღვევს რეაბილიტაციის პროცესში აქტივების გასხვისების თაობაზე არსებულ სა-

კანონმდებლო აკრძალვას. თავად მოსარჩელე მხარე ყოფილ დირექტორს არ განიხილავდა მოპასუხედ ნასყიდობის გარიგების ბათილად ცნობის ნაწილში. აღნიშნულისა და საქმის განხილვისას გაკეთებული განცხადებების მიუხედავად, სასამართლომ ყოფილი დირექტორი სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში მოპასუხედ მიიჩნია და სახელმწიფო ბაჟიც სხვა მოპასუხებებთან სოლიდარულად დააკისრა.

კასატორის მოსაზრებით სასამართლომ საქმე განიხილა პროცესუალური ნორმების დარღვევით, რაც მისი გაუქმების საფუძველია, კერძოდ, რეაბილიტაციის დაწყებამდე სამეურვეო ქონება სრულად დადგინდა, სასამართლოს მოცემული დავის განხილვისას არ უნდა ეხელმძღვანელა „გადახდისუწარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საპროცესო ნორმებით. მოცემული დავა არ განეკუთვნება იმ კატეგორიის დავების რიცხვს, რომლებზეც მოქმედებს „გადახდისუწარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონით დადგენილი განსაკუთრებული განსჯადობის წესები.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ თავისი ინიციატივით, რეაბილიტაციის პროცესში მოვალისა და კრედიტორების უფლებების დაცვის პრინციპზე ფორმალური მითითებით, ფაქტობრივად კი, ამ პრინციპის სრული უგულვებელიყოფით, ნაყარი წიდისა და ნაცრის გასხვისება კანონის და რეაბილიტაციის წესის დარღვევად მიიჩნია. სასამართლომ საერთოდ არ დაასაბუთა, რაში გამოიხატა თანაზომიერების პრინციპი, ან რა საფუძველით მიიჩნია, რომ ეს პრინციპი დაირღვა.

კასატორის მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებით ირღვევა მოპასუხეების – შპს „რ. ი. ჯ-ის“ და შპს „რ. ფ-ის“ როგორც გარიგების დამოუკიდებელი და კეთილსინდისიერი მხარეების კანონიერი უფლებები.

ამასთან, კასატორის მითითებით, სასამართლო ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა 2011 წლის 27 დეკემბრის სს „ქ. ფ-სა“ და შპს „რ. ი. ჯ-ს“ შორის დადებული ნაყარი წიდისა და ნაცრის ნასყიდობის გარიგებით განსაზღვრული საარბიტრაჟო შეთანხმება გარიგების თაობაზე წარმოშობილი და დავების საარბიტრაჟო წესით გადაწყვეტის თაობაზე და შეენწყვიტა საქმის წარმოება ამ ნაწილში.

როგორც სს „ქ. ფ-ის“ ყოფილი დირექტორი, კასატორი სრულად დაეთანხმა სხვა მოპასუხეების მიერ საქმის განხილვისას გამოხატულ პოზიციას და დასაბუთებას. 2011 წლის 27 დეკემბრის ნაყარი წიდისა და ნაცრის ნასყიდობის ხელშეკრულება და-

იდო ორ იურიდიულ პირს შორის, რომელთაგან გამყიდველს – სს „ქ. ფ-ს“ წარმოადგენდა რეაბილიტაციის მმართველი და ეს, ბუნებრივიცაა. რეაბილიტაციის მმართველი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიმდინარეობისას და სს „ქ. ფ-ის“ რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კრედიტორებმა დანიშნეს და მათვე განსაზღვრეს მისი უფლებამოსილებები ისევე, როგორც შეზღუდეს დირექტორის უფლებები მისთვის საწარმოს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი ფუნქციის ჩამოცილებით. კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ რეაბილიტაციის მმართველისა და დირექტორის უფლებამოსილებების განსაზღვრას სწორედ კრედიტორთა კომპეტენციას მიაკუთვნებდა და კრედიტორების გადაწყვეტილებაში ჩარევის უფლება არავის ჰქონდა. ი. მ-ისთვის, ცხადია, ცნობილი იყო მისი უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე და ამ შემთხვევაში, აბსოლუტურად არ ჰქონდა მნიშვნელობა, ამგვარი შეზღუდვა რეგისტრირებული იქნებოდა თუ არა საჯარო რეესტრში.

კასატორის განმარტებით, ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ი. მ-ის ხელმოწერა პრაქტიკულად ფორმალური ხასიათის იყო. მან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა რადგან მიიჩნია, რომ ხელშეკრულება გამოხატავდა გარიგების მხარეების ნამდვილ ნებას და არ ეწინააღმდეგებოდა კანონის არც ერთ ნორმას, ისევე, როგორც არ ეწინააღმდეგებოდა სს „ქ. ფ-ში“ მიმდინარე რეაბილიტაციის პროცესს და ამ პროცესში უფლებამოსილი პირების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამდენად, ხელშეკრულება მხარეთა ნებისა და კანონის შესაბამისი იყო, არ არღვევდა კანონით დადგენილ არც ერთ იმპერატიულ შეზღუდვას ან აკრძალვას და, შესაბამისად, მისი ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება უსაფუძვლო იყო.

კასატორის მითითებით, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სს „ქ. ფ-ის“ დირექტორის უფლებამოსილებების შეზღუდვაში იგულისხმება არა მხოლოდ ი. მ-ი, არამედ დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვა თანაბრად ვრცელდება როგორც ყოფილ, ისე ამჟამინდელ და მომავალ დირექტორებზე მანამ, ვიდრე კრედიტორები სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებენ, ან ვიდრე არ დასრულდება რეაბილიტაციის პროცესი. ამდენად, სს „ქ. ფ-ის“ ამჟამინდელი დირექტორის მხრიდან ხელშეკრულების ნამდვილობის ეჭვქვეშ დაყენება და სარჩელის შეტანა სცილდება სს „ქ. ფ-ის“ დირექტორის უფლებამოსილებათა ფარგლებს, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა.

სააპელაციო სასამართლომ განჩინება საკასაციო წესით გა-

ასაჩივრა მ. ა-მაც, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატა, საქალაქო სასამართლოს მსგავსად, გასცდა სარჩელის საფუძვლებს. მოსარჩელე მოითხოვდა სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობას, მაგრამ არა იმ საფუძვლით, რაც სასამართლომ მიუთითა გადაწყვეტილებაში. მნიშვნელოვანია, რომ თავად მოსარჩელეს სასამართლოში აღძრული სარჩელით სადავოდ არ გაუხდია რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილება ან ქონების გასხვისების შესახებ რეაბილიტაციის გეგმის დებულებები, მეტიც, სააპელაციო სასამართლოში დავის განხილვისას მიუთითა, რომ უცნაურია რეაბილიტაციის მმართველის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება, რადგან სარჩელით მის მიმართ დაყენებული მოთხოვნა პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა, აღნიშნულით დასტურდება, რომ თავად მოსარჩელე რეაბილიტაციის მმართველს არ განიხილავს მოპასუხედ ნასყიდობის გარიგების ბათილად ცნობის ნაწილში.

კასატორის მოსაზრებით მოცემული დავა არ შეიძლება, მიეკუთვნოს იმ კატეგორიის დავებს, რომლებიც განიხილება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების“ შესახებ კანონით დადგენილი სპეციალური განსჯადობის წესებით. ამ წესების გამოყენება შეეხება მხოლოდ იმ დავებს, რომლებიც გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოიშობა და აუცილებლად უნდა გადაწყდეს გადახდისუუნარობის საქმის არსებით გადაწყვეტამდე იმ მიზნით, რომ დადგინდეს სამეურვეო ქონება მანამ, სანამ მიღებული იქნება გადაწყვეტილება მოვალის გაკოტრების, რეაბილიტაციის ან მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის შეწყვეტის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა სადავო გარიგებების რეაბილიტაციის დაწყების შემდგომ დადების ფაქტი, ასევე გარიგების მხარეთა შორის არსებული საარბიტრაჟო შეთანხმება გარიგების თაობაზე წარმოშობილი დავის საარბიტრაჟო წესით გადაწყვეტის თაობაზე და შეენწყვიტა საქმის წარმოება, სულ მცირე, სს „ქ. ფ-სა“ და შპს „რ. ი. ჯ-ს“ შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ მინიმუმამდე დაიყვანა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მნიშვნელობა, შეზღუდა კრედიტორთა კრების და რეა-

ბილიტაციის მმართველის უფლებები, დაუქვემდებარა ისინი მოვალე საწარმოს დირექტორის ნებას, ბათილად აქცია საწარმოს დირექტორის სურვილის გარეშე დადებული გარიგებები და რეაბილიტაციის მმართველს დაუტოვა მხოლოდ პასუხისმგებლობა. რეაბილიტაციის მიზანი და საშუალება არის ის, რომ მხოლოდ კრედიტორები წარმართავენ მას, მოვალეს ეზღუდება მისივე ბრალით სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილი საწარმოს შემდგომი მართვა და განკარგვა, და მხოლოდ კრედიტორებს აქვთ უფლება, შეუნარჩუნონ, ან აბსოლუტურად შეუზღუდონ მოვალეს (დირექტორს) ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. თუ დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვა დაუშვებელია, მაშინ გადახდისუუნარობას და რეაბილიტაციას აზრი საერთოდ არ აქვს.

კასატორის მითითებით, კანონი არათუ არ კრძალავს, არამედ პირდაპირ უშვებს მოვალის ქონების რეალიზაციას. ასევე, აღსანიშნავია, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონი უპირატესი (სპეციალური) სამართლებრივი ძალის მქონე კანონია გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში და ადგენს კრედიტორთა განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს გადაწყვეტილებების მიღებისას, რა დროსაც კრედიტორები არ არიან შებოჭილნი მოვალის ქონებაზე განსაკუთრებული ზრუნვის ვალდებულებით, აქ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების ინტერესია უპირატესი.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ დავის გადანყვეტისას არ გამოიყენა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის ნორმები, რომლებიც რეაბილიტაციის განხორციელებას და ამ პროცესის მონაწილე სუბიექტების უფლებამოსილებებს განსაზღვრავს (43-53-ე მუხლების შესაბამისი დებულებები).

ამასთან, სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილ სს „ქ. ფ-ის“ კრედიტორთა კრების 12.07.2013 წლის გადაწყვეტილების მესამე პუნქტზე. სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის 38-ე მუხლის, 44-ე მუხლის მე-6 ნაწილისა და სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის დებულებები.

კასატორის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია და კანონის არასწორ განმარტებას ეფუძნება სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ რეაბილიტაციის მმართველის მიერ აქტივების ნასყიდობის გარიგების ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა არ წარმოადგენს დავაზე საქმის წარ-

მოების შეწყვეტის საფუძველს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა შპს „რ. ფ-ის“ შპს „რ. ი. ჯ-ის“, ი. მ-ისა და მ. ა-ის საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება და დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა სადავო საკითხს; სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ იგი არ იზიარებს კასატორების მითითებას, იმის თაობაზე, რომ მოცემული დავა სპეციალურ განსჯადობას არ მიეკუთვნება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლზე და განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმა ადგენს საერთო სასარჩელო წესით განსახილველ საქმეთა წრეს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში მონაწილე პირებსა და მესამე პირებს უფლება აქვთ, მიმართონ სასამართლოს დავის საერთო სასარჩელო წესით განსახილველად იმ მოთხოვნებზე, რომლებიც არ აისახება კრედიტორთა ნუსხაში, ამ კანონის მე-4 მუხლის მე-5, 5¹, 5² და 5³ პუნქტებით გათვალისწინებულ მოვალის ქონებასთან დაკავშირებულ დავებზე.

ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-5¹ პუნქტის მიხედვით, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ წარმოშობილ მოვალის ქონებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დავას განიხილავენ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული სასამართლოები. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს

კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ნორმა მხოლოდ მოვალის ქონების მოძიების პროცესში წარმოშობილ დავებს შეეხება, ვინაიდან მითითებული მუხლი ამგვარ დათქმას არ შეიცავს და სპეციალურ განსჯადობას უქვემდებარებს მოვალის ქონებასთან დაკავშირებულ ყველა დავას.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორების მითითებას იმ გარემოებაზე, რომ მოცემული საქმის საერთო სასამართლოებში განხილვისას დაირღვა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრული სპეციალური ვადა, თუმცა საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და 394-ე მუხლზე დაყრდნობით განმარტავს, რომ მხოლოდ საპროცესო ვადის დარღვევა არ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სარჩელი აღიძრა არაუფლებამოსილი პირის მიერ, ვინაიდან კრედიტორთა კრების გადაწყვეტილებით საწარმოს დირექტორის სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეზღუდული იყო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, რეაბილიტაციის პროცესში რეაბილიტაციის მმართველისა და საწარმოს დირექტორის უფლებამოსილებათა წრეს განსაზღვრავს კრედიტორთა კრება. კრედიტორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე რეაბილიტაციის მმართველსა და კრედიტორებს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც მიეთითება რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილების ფარგლები, მისი ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის საკითხები. პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია საბანკო გარანტიის ან/და პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენება. მოცემულ შემთხვევაში, კრედიტორთა კრების მიერ სს „ქ. ფ-ის“ დირექტორის უფლებამოსილებები შეზღუდული იქნა, თუმცა აღნიშნული შეზღუდვა სამეწარმეო რეესტრში არ დარეგისტრირებულა.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მართალია, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას კრედიტორები ზედამხედველობენ, მაგრამ ეს გარემოება არ გამოირიცხავს მოვალის უფლებას საერთო სასარჩელო წესით იდავოს რეაბილიტაციის მმართველის მიერ საზოგადოების საზიანოდ მოქმედების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, მოვალე წარმოდგენილი იქნება სწორედ დირექტორის მემ-

ვეობით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კრედიტორთა კრების გადაწყვეტილება შეიძლება შეეხებოდეს დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვას რეაბილიტაციის გეგმიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღების დროს, საწარმოს მიმდინარე საქმიანობასა და სახელშეკრულებო ურთიერთობებში, მაგრამ არა საზოგადოების სახელით სარჩელის აღძვრის უფლებამოსილების ჩამორთმევას, ისეთ შემთხვევაში, როდესაც კანონიდან და დავის საგნიდან გამომდინარე, მოსარჩელე შეიძლება იყოს მოვალე.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, როდესაც საქმე რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი საწარმოს დარღვეული ქონებრივი უფლებების აღდგენას ეხება, დაუშვებელია, რომ მხარეს შეუზღუდოთ სამართლიანი სასამართლოს უფლება.

რაც შეეხება გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივ დასაბუთებას სადავო ხელშეკრულებების ბათილად ცნობის საკითხზე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სს „ქ. ფ-ი“ რეგისტრირებულია სამენარმეო რეესტრში საიდენტიფიკაციო კოდით, რეგისტრაციის თარიღი: 25/11/2005; წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან რეაბილიტაციის მმართველი მ. ა-ი და დირექტორი ნ. ჯ-ი. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 03.10.2011 წლის განჩინებით სს „ქ. ფ-ის“ დირექტორ ი. მ-ის განცხადება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში. საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 6 დეკემბრის განჩინებით, მომრიგებელი საბჭოს 2011 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, სს „ქ ფ-ის“ მიმართ დაიწყო რეაბილიტაციის პროცესი, ხოლო საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 9 დეკემბრის განჩინებით დამტკიცდა სს „ქ. ფ-ის“ კრედიტორთა კრების გადაწყვეტილება რეაბილიტაციის მმართველად მ. ა-ის დანიშვნის შესახებ. მომრიგებელი საბჭოს მიერ განხილული და მოწონებული რეაბილიტაციის გეგმა დამტკიცებული იქნა უზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ. მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს „რ. ფ-ი“ რეგისტრირებულია სამენარმეო რეესტრში საიდენტიფიკაციო კოდით –, რეგისტრაციის თარიღი – 29/11/2011. წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან დირექტორები: თ. რ. ბ-კ და მ. ფ. უ. ს-ი;

2011 წლის 27 დეკემბერს სს „ქ. ფ-ს“ და შპს „რ. ი. ჯ-ს“ შორის დაიდო ნაყარი წიდისა და ნაცრის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 3 916 418 ლარით. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მყიდველი ნასყიდობის ფასს გადაიხდიდა საკუთრების უფლების გადაცემიდან მომდევნო 7 წლის თავზე, ანუ მე-7 წლის ბოლო დღეს. იმავე დღეს, შპს „რ. ი. ჯ-მა“ სს „ქ. ფ-ისაგან“ 3 916 418 ლარად შეძენილი ნაყარი წიდა და ნაცარი 256 178 000 ლარად გაასხვისა შპს „რ. ფ-ზე“. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მყიდველს ნასყიდობის ფასი უნდა გადაეხადა არაუგვიანეს 2012 წლის 1 ოქტომბრისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადასახდელ თანხას დაერიცხებოდა სარგებელი, წლიური 20%-ის ოდენობით, დავალიანების სრულ დაფარვამდე. იმავე დღეს, სს „ქ. ფ-ს“ და შპს „რ. ფ-ს“ შორის დაიდო აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე, შპს „რ. ფ-ს“ 77 846 000 ლარად გადაეცა სს „ქ. ფ-ის“ კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონება და არამატერიალური სიკეთე, გარდა ნაყარი წიდისა და ნაცრისა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ შპს „რ. ფ-ი“ ნასყიდობის ფასს სრულად გადაიხდიდა საკუთრების უფლების გადაცემიდან მომდევნო 7 წლის თავზე, ანუ მე-7 წლის ბოლო დღეს.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ შპს „რ. ი. ჯ-ი“ და შპს „რ. ფ-ი“ არ შეიძლება განხილულიყო სადავო ქონების კეთილ-სინდისიერ შემძენებად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორებმა ისარგებლეს აღნიშნული ნორმით გარანტირებული შედავეების უფლებით და დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგინეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. 105.2-ე მუხლის თანახმად კი, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო სასამართლომ, შეამოწმა რა სააპელაციო სასა-

მართლოს განჩინების დასაბუთებულობა, თვლის, რომ გაუგებარია, რომელ მტკიცებულებებზე ან საქმის გარემოებებზე დაყრდნობით დაადგინა სააპელაციო სასამართლომ სადავო ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხეები კეთილსინდისიერ შემძენებს არ წარმოადგენენ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ გარემოების შესამოწმებლად უნდა შეფასდეს შემძენისა და რეაბილიტაციის მმართველის მოქმედების კანონშესაბამისობა და მართლზომიერება, რის შესახებაც უფრო დანვრილებით საკასაციო სასამართლო ქვემოთ იმჯელებს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სარჩელის საფუძვლებს, იმ ნაწილში, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა და წინამდებარე საკასაციო საჩივრის განხილვის საგანია, კერძოდ, მოსარჩელე სს „ქ. ფ-სა“ და შპს „რ. ი. ჯ-ს“ შორის ნაყარი წილისა და ნაცრის ნასყიდობის ხელშეკრულების, ასევე, შემდგომში, შპს „რ. ი. ჯ-სა“ და შპს „რ. ფ-ს“ შორის იმავე ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას მოითხოვდა. მოსარჩელის მითითებით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულებები მოჩვენებით დადებული გარიგებები იყო. სააპელაციო სასამართლო, თავის მხრივ, მივიდა დასკვნამდე, რომ ხელშეკრულებები კანონსაწინააღმდეგო იყო.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებებს და მიზანშეწონილად თვლის, პირველ რიგში განმარტოს გარიგების მოჩვენებითობის განმსაზღვრელი ნიშნები.

სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება). სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული ნორმით განსაზღვრულია ნების ნაკლის მქონე გარიგების ორი სახე. ორივე შემთხვევაში, მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება არ ემთხვევა მათ შინაგან ნებას. მოჩვენებითი გარიგების შემთხვევაში, მხარეებს არ აქვთ დადებული გარიგების შესრულების განზრახვა და მათი მიზანი საერთოდ არაა რაიმე სამართლებრივი შედეგის დადგომა. თვალთმაქცური გარიგების დადებისას კი, მხარეებს, მართალია, ასევე არ სურთ, დადებული გარიგებით განსაზღვრული პირობების შესრულება, მაგრამ მათ სხვა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის ნება აქვთ, რომლის დასაფარავადაც გამოიყენება თვალთმაქ-

ცური გარიგება. მოჩვენებითი გარიგებისათვის დამახასიათებელია შესრულების არ არსებობა, ანუ გარიგების საფუძველზე განსაზღვრული მხარეთა ვალდებულებები მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა და არ სრულდება, კერძოდ, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, ნასყიდობის საგანი, ფაქტობრივად, შემძენს არ გადაეცემა, რჩება გამყიდველის მფლობელობაში იმგვარად, რომ შემძენი აღნიშნული ნივთის მესაკუთრედ თავს არც მოიაზრებს და მისი დაუფლების ნებას არ აცლებს. ასევე, ნასყიდობის ფასი არ გადაეცემა გამყიდველს, ამასთან, აღნიშნული ორი პირობა ერთობლივად უნდა არსებობდეს, ვინაიდან, მხოლოდ ნასყიდობის ფასის გადაუხდელობა ვალდებულების შესრულების მოთხოვნის საფუძველი შეიძლება იყოს და არა გარიგების ბათილობის. როდესაც სარჩელი აღძრულია ხელშეკრულების, როგორც მოჩვენებითი გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნით, მოსარჩელემ სწორედ ზემოაღნიშნულ გარემოებებზე უნდა მიუთითოს და დაადასტუროს სათანადო მტკიცებულებებით.

მოცემულ საქმეზე სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის განმარტებები, მაგრამ სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძველად დაუდო იმგვარი სამართლებრივი შეფასება, რასაც მოსარჩელე არ მიუთითებდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ხელშეკრულებები ეწინააღმდეგებოდა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მოთხოვნებს და როგორც უკანონო გარიგება, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლზე მითითებით, ბათილად ცნო, რითაც გასცდა სარჩელის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მიზნებთან დაკავშირებით, რომ რეაბილიტაციის მიზანი, პირველ რიგში, სანარმოს შენარჩუნება და მისი საქმიანობის გაგრძელებაა, მხოლოდ შემდეგ, კრედიტორთა დაკმაყოფილება.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში, ყურადღებას მიაქცევს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის პირველ მუხლს, რომლის მიხედვითაც, ამ კანონის მიზანია მოვალისა და კრედიტორის (კრედიტორების) ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, შესაძლებლობის შემთხვევაში მოვალის ფინანსური სიძნელების გადაჭრა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ან ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნორმის განმარტები-

დან გამომდინარე, კანონმდებელი უწინარეს ყოვლისა, კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილებას ისახავს მიზნად, მხოლოდ ამის შემდეგ, შესაძლებლობის არსებობის პირობებში, კრედიტორთა დაკმაყოფილების პარალელურად მოვალის ფინანსური სიძნელეების გადაჭრას. საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ, აღნიშნული მუხლი, მართალია მიუთითებს მოვალის და კრედიტორის ინტერესების დაცვაზე, მაგრამ უშუალოდ სამართლებრივი ინტერესების მომწესრიგებელი ნორმები უპირატეს მდგომარეობაში კრედიტორებს აყენებს და უფრო ფართო უფლებამოსილებით აღჭურავს მათ, რის შესახებაც უფრო დაწვრილებით საკასაციო სასამართლო ქვემოთ იმსჯელებს.

რაც შეეხება რეაბილიტაციის ინსტიტუტის განმარტებას, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტით, რომლის მიხედვითაც, რეაბილიტაცია არის საპროცესო, ხელმძღვანელობითი და მმართველობითი მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც ხორციელდება ამ კანონის შესაბამისად და მიზნად ისახავს კრედიტორთა მოთხოვნების კანონით დადგენილი წესითა და პირობებით ეტაპობრივ სრულ დაკმაყოფილებას უმთავრესად მოვალის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მართვის სისტემის სრულყოფის, მოვალის კომერციული საქმიანობის წარმატებულობისა და მომგებიანობის ზრდის, აგრეთვე სამეურვეო ქონების შესაძლო ოპტიმიზაციის გზით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მართალია, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავს პირდაპირ დათქმას რეაბილიტაციის პროცესის დაწყების შემდგომ მოვალე საწარმოს ქონების გასხვისების აკრძალვასთან დაკავშირებით, თუმცა რეაბილიტაციის პროცესის მიზნებიდან გამომდინარე, მოვალე საწარმოს ინტერესის საწინააღმდეგო გარიგების დადების (ქონების განკარგვის) შეზღუდვა გამომდინარეობს მითითებული კანონიდან. ზემოაღნიშნული ნორმის მიზანი ასევეა კრედიტორთა დაკმაყოფილება, მაგრამ უმთავრესად (თუმცა არა სავალდებულოდ) მოვალის ფინანსური სიძნელეების გადაჭრის გზით. „უმთავრესად“ იმიტომ, რომ ამგვარი მიზანი შესაძლოა რეაბილიტაციის პროცესში მიღწეული ვერ იქნეს. გარდა ამისა, რეაბილიტაცია ყოველთვის არ ნიშნავს, რომ საწარმო იმავე პროფილითა და მასშტაბებით გაგრძელებს საქმიანობას, როგორც გადახდისუუნარობამდე.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის პრე-

ტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ სააკველაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან კანონის 38-ე მუხლი, რომელიც ადგენს გაკოტრების რეჟიმში მყოფი საწარმოს განკარგვის წესს აუქციონის წესით, წარმოადგენს სპეციალურ ნორმას და იგი ანალოგიით რეაბილიტაციის საქმესთან მიმართებაში ვერ იქნება გამოყენებული. რაც შეეხება კანონის 44.6 მუხლს, მართალია, მითითებული ნორმა მოქცეულია რეაბილიტაციის თავში, თუმცა იგი ეხება არა ქონების გასხვისებას, არამედ საწარმოს კაპიტალის გაზრდას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი საწარმოს მიერ წარმოებული (შექმნილი) ან თუნდაც არსებული ქონების გასხვისება კანონით აკრძალული არ არის, თუმცა ამგვარი ქმედება უნდა დაემორჩილოს ზოგად პრინციპს – საფრთხე არ უნდა შეექმნას ერთის მხრივ მოვალის ინტერესებს, გადაჭრას ფინანსური სიძნელეები, ხოლო მეორეს მხრივ კრედიტორთა ინტერესებს, დაიკმაყოფილონ მოთხოვნა. რაც ერთხელ უკვე განიმარტა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 მარტის №ას-1070-1021-2013 გადაწყვეტილებაში.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელე – სს „ქ. ფ-ის“ მოსაზრებას, რომ მის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების საფუძვლები არ არსებობდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის“ მე-5 მუხლის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული გადახდისუუნარობის საქმის განხილვისას გამოიყენება ამავე კანონით დადგენილი სპეციალური საპროცესო ნორმები. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიმართ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონი არ შეიცავს შესაბამისი საკითხის მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმას. კანონის ანალოგია გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ამ კანონის მიზნებს. იმავე კანონის მე-7 მუხლის თანახმად კი, გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ განჩინების ფორმით მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე შეიძლება მხოლოდ კერძო საჩივრის შეტანა. კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს, რომელთა მიმართაც გამოტანილია განჩინება, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება. კერძო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო გან-

ჩინება, შესაბამისად, გადახდისუუნარობის დაწყების შესახებ სასამართლოს განჩინება შესაძლებელია გადახდისუუნარობის საქმის წარმოების სუბიექტებმა, აგრეთვე დაინტერესებულმა პირებმა გადახდისუუნარობის წარმოების პროცესში კერძო საჩივრით გაასაჩივრონ. მითითებული საკითხი დამოუკიდებელი სასარჩელო წარმოების გზით განხილვის საგანი ვერ იქნება. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლი, მართალია, ითვალისწინებს დავის საერთო სასარჩელო წესით განხილვის შესაძლებლობას, მაგრამ იმავე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რა შემთხვევაში დაიშვება დამოუკიდებელი სარჩელის აღძვრა, კერძოდ, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში მონაწილე პირებსა და მესამე პირებს უფლება აქვთ, მიმართონ სასამართლოს დავის საერთო სასარჩელო წესით განსახილველად იმ მოთხოვნებზე, რომლებიც არ აისახება კრედიტორთა ნუსხაში, ასევე ამ კანონის მე-4 მუხლის მე-5, 5¹, 5² და 5³ პუნქტებით გათვალისწინებულ მოვალის ქონებასთან დაკავშირებულ დავებზე, შესაბამისად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების საკითხი საერთო სასარჩელო წესით განსახილველ საკითხთა წრეს არ მიეკუთვნება. შესაბამისად, იგი საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი ვერ გახდება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ სს „ქ.ფ-ის“ რეაბილიტაციის გეგმა დამტკიცდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 დეკემბრის განჩინებით. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის თანახმად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ განჩინების ფორმით მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე შეიძლება მხოლოდ კერძო საჩივრის შეტანა, შესაბამისად, რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე განჩინების გასაჩივრება შესაძლებელია იმავე სასამართლოში კერძო საჩივრის შეტანის გზით. კანონიერ ძალაში შესული განჩინებით დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმის კანონიერების შეფასება კი მოცემული დავის ფარგლებში შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, რეაბილიტაციის პროცესს წარმართავს რეაბილიტაციის მმართველი. კრედიტორები რეაბილიტაციის მმართველს ნიშნავენ და რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მომზადების ვადას განსაზღვრავენ რეაბილიტაციის შესახებ სასამართლოს განჩინების გამოქვეყნები-

დან 3 დღის განმავლობაში. კრედიტორთა გადაწყვეტილებას განჩინებით ამტკიცებს სასამართლო, ხოლო მე-4 პუნქტის თანახმად კი, რეაბილიტაციის პროცესში რეაბილიტაციის მმართველისა და საწარმოს დირექტორის უფლებამოსილებათა წრეს განსაზღვრავს კრედიტორთა კრება. კრედიტორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე რეაბილიტაციის მმართველსა და კრედიტორებს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც მიეთითება რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილების ფარგლები, მისი ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის საკითხები, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რეაბილიტაციის მმართველის მოქმედების მართლზომიერების შესაფასებლად, უნდა გაირკვეს, დაცულია თუ არა რეაბილიტაციის გეგმის მოთხოვნები და კრედიტორთა კრების მიერ განსაზღვრული რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილებათა წრე. სწორედ აღნიშნული ორი დოკუმენტი განსაზღვრავს იმ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც რეაბილიტაციის მმართველი უნდა მოქმედებდეს.

საქმეში არსებული 2011 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულების 2.3.4. პუნქტის თანახმად, რეაბილიტაციის მმართველი უფლებამოსილია, გაასხვისოს, იჯარით გასცეს ან სხვაგვარად განკარგოს მოვალის ქონება დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

რეაბილიტაციის გეგმის 4.2.3 პუნქტის თანახმად, რომელიც მოცემულია კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ თავში, წინამდებარე რეაბილიტაციის გეგმის მომზადების პროცესში სს „ქ. ფ-ის“ კრედიტორებთან კონსულტაციის დროს, სს „ქ. ფ-ის“ კრედიტორების მიერ დაყენებული წინადადების შესაბამისად, წინამდებარე რეაბილიტაციის გეგმა ითვალისწინებს, რომ მოვალის რეაბილიტაციის პროცესში ნებისმიერ ეტაპზე შესაძლებელია სს „ქ. ფ-ის“ აქტივების სრული ან ნაწილობრივი რეალიზაცია, რომელიც კრედიტორთა მოთხოვნების უფრო მოკლე ვადებში დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა და რომლის განხორციელების შემთხვევაში დაცული უნდა იყოს პირობა, რომ განხორციელებული ტრანზაქციის ღირებულება და მოვალესთან დარჩენილი აქტივების მოცულობა სრულად უნდა უზრუნველყოფდეს რეაბილიტაციის გეგმის შესრულებისა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ რეაბილიტაციის გეგმის თანახმად, რეაბილიტაციის მმართველს შეეძლო, ნებისმიერ ეტაპზე სრულად ან ნაწილობრივ გაეცხვი-

სებინა სს „ქ. ფ-ის“ აქტივები, იმ სავალდებულო პირობით, რომ ტრანზაქციის ღირებულება უზრუნველყოფდა რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას.

რეაბილიტაციის გეგმის საფუძველზე, რეაბილიტაციის პროცესის ერთ-ერთ შესაძლო შედეგს წარმოადგენს საწარმოს აქტივების გასხვისება. ის გარემოება, რომ რეაბილიტაციის მიზნების მიღწევა შესაძლებელი იყო რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული სხვა საშუალებებით და რომ ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნებოდა აქტივების სრულად რეალიზაციის გარეშეც, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს სარწმუნო მტკიცებულებებით, მოცემულ შემთხვევაში კი, მოსარჩელე მხოლოდ სიტყვიერი განმარტებით შემოიფარგლა, რომ აქტივები დაბალ ფასად გასხვისდა და ხელშეკრულება სს „ქ. ფ-ისათვის“ წამგებიანი იყო.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მიზანია, პირველ რიგში კრედიტორთა დაკმაყოფილება და მხოლოდ შემდეგ, შესაძლებლობის პირობებში, საწარმოს შენარჩუნება (და არა პირიქით, როგორც სააპელაციო სასამართლომ განმარტა). ის გარემოება, რომ რეაბილიტაციის პროცესიც კი, კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება, კანონის მე-6 თავით დასტურდება. რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნასთან, რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებასა და მის განხორციელებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე სავალდებულოა კრედიტორთა თანხმობა (43-ე-47-ე მუხლები). კანონის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, რეაბილიტაციის მმართველი ანგარიშვალდებულია კრედიტორთა კრების წინაშე. 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირი, რომელსაც დაევალება რეაბილიტაციის გეგმის მომზადება, ვალდებულია კონსულტაციები აწარმოოს უზრუნველყოფილ კრედიტორებთან, სხვა კრედიტორებთან და მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან. იმავე მუხლის მე-4-5-ე პუნქტების საფუძველზე, რეაბილიტაციის გეგმის მიზანია კრედიტორთა ინტერესების თანაბრ პირობებში დაკმაყოფილება, შესაბამისი რიგითობის მიხედვით. 50-ე მუხლის თანახმად, დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებისათვის პასუხისმგებელია რეაბილიტაციის მმართველი. რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებას ზედამხედველობს კრედიტორთა კრება. 51-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, თუ კრედიტორები მიიჩნევენ, რომ რეაბილიტაციის გეგმის მთლიანად ან ნაწილობ-

რიე განხორციელება შეუძლებელია და მისი განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ გეგმაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში. 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, კრედიტორს (კრედიტორებს), რომელიც ფლობს კრედიტორთა ხმების საერთო რაოდენობის სულ მცირე 10%-ს, შეუძლია მიმართოს სასამართლოს დასაბუთებული განცხადებით რეაბილიტაციის გეგმის განხორციელების შეუძლებლობის შესახებ, რეაბილიტაციის გეგმის იმ პუნქტების მითითებით, რომლებიც დარღვეულია განცხადების წარდგენის მომენტისათვის და რაც ყველაზე საყურადღებოა, 53-ე მუხლის თანახმად, რეაბილიტაციის გეგმის შეწყვეტის მიუხედავად, მის შეწყვეტამდე განხორციელებული ნებისმიერი ქმედება და გარიგება ძალაში რჩება. ამ შემთხვევაში, კრედიტორებს გააჩნიათ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რეაბილიტაციის მმართველის მოქმედება უნდა გამომდინარეობდეს რეაბილიტაციის გეგმიდან და კრედიტორთა ინტერესებს უნდა შეესაბამებოდეს. მოვალის ინტერესები დაცულია, იმდენად, რამდენადაც ემთხვევა კრედიტორების ინტერესებს. მოცემულ შემთხვევაში, სს „ქ. ფ-ის“ კრედიტორები რეაბილიტაციის მმართველის მოქმედებას სადავოდ არ ხდინან, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია.

გარდა ამისა, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ რეაბილიტაციის პროცესში მოვალის მტკიცების საგანია რეაბილიტაციის მმართველის მოქმედებების ეკონომიკური არამიზანშეწონილობა. მოვალემ უნდა დაასაბუთოს, რომ არსებობდა უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილების ალტერნატიული, შედარებით ოპტიმალური გზა, რითაც მოვალის ქონების სრულად ან ნაწილობრივ შენარჩუნება იქნებოდა შესაძლებელი.

მოსარჩელე ზოგადად მიუთითებს, რომ მოპასუხეები შეთანხმებულად მოქმედებდნენ, რათა სს „ქ. ფ-ის“ აქტივები ხელში ჩაეგდოთ და დაედოთ საზოგადოებისათვის საზიანო გარიგება, შესაბამისი მტკიცებულებები კი საქმეში წარმოდგენილი არ არის. მოსარჩელე, აგრეთვე, მიუთითებს, რომ სს „ქ. ფ-ის“ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები მოქმედებდნენ შპს „რ. ფ-თან“ და შპს „რ. ი. ჯ-თან“ წინასწარი შეთანხმებით, მათ დადეს საწარმოსათვის არახელსაყრელი, მოჩვენებითი და ზიანის მომტანი გარიგება, რომელსაც საფუძვლად არ ედო ნამდვილი იურიდიული ინტერესი, ანუ მიზანი არ ყოფი-

ლა ქონების რეალურად გასხვისება. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ შემძენი ქონებას დაეუფლა, შესაბამისად, დაუსაბუთებელია მტკიცება, რომ ხელშეკრულების მიზანი ქონების გასხვისება არ ყოფილა. რაც შეეხება სს „ქ. ფ-ის“ წარმომადგენლების შპს „რ. ფ-თან“ და შპს „რ. ი. ჯ-თან“ წინასწარ შეთანხმებულ ქმედებას, ამ გარემოების თაობაზე საქმეში მხოლოდ მოსარჩელის სიტყვიერი განმარტება არსებობს, ამასთან, თავად მოსარჩელეც ვერ მიუთითებს, კონკრეტულად რა გარემოებებიდან გამომდინარეობს ამგვარი დასკვნა და მხოლოდ ზოგადი მითითებით შემოიფარგლება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ შემძენის არაკეთილსინდისიერებას საფუძვლად დაუდო შემდეგი ფაქტები: როგორც შპს „რ. ი. ჯ-ისათვის“, ისე შპს „რ. ფ-ისათვის“ ცნობილი იყო რომ სს „ქ. ფ-ის“ მიმართ მიმდინარეობდა რეაბილიტაციის პროცესი; შპს „რ. ი. ჯ-ი“, კრედიტორთა რეესტრის მიხედვით არის სს „ქ. ფ-ის“ კრედიტორი; სს „ქ. ფ-ის“ უძრავ-მოდრავი ქონება, გარდა წიდისა და ნაცრისა, 2011 წლის 27 დეკემბერს შეიძინა შპს „რ. ფ-მა“; წიდა და ნაცარი იმავე დღეს 3 916 418 ლარად შეიძინა შპს „რ. ი. ჯ-მა“, ხოლო ამ უკანასკნელმა შპს „რ. ფ-ზე“ 256 178 000 ლარად გაასხვისა 3 916 418 ლარად შეძენილი წიდა და ნაცარი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ისეთ პირობებში, როდესაც მოსარჩელე სადავოდ ხდის, რომ სადავო ქონება განზრახ გასხვისდა მიზერულ ფასად, მან ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება უნდა წარმოადგინოს, კერძოდ კი, ნასყიდობის საგნის საბაზრო ღირებულების შეფასების ამსახველი დოკუმენტი. მოსარჩელეს ასეთი მტკიცებულება არ წარმოუდგენია, იგი მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით შემოიფარგლა, რომ იგივე ქონება შემდგომში 256 178 000 ლარად გასხვისდა. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმის მასალებში წარმოდგენილ – წიდის ღირებულების შეფასებაზე (2011 წლისათვის). რომლის შესაბამისადაც, 9 063 386 ტონა წიდის ღირებულება – 6 000 000 ლარს, 5 601 763 ტონა წიდის ღირებულება კი – 3 708 391 ლარს შეადგენდა. აღნიშნული შეფასება თავის მხრივ 2005 წლის აუდიტორულ დასკვნას ეყრდნობოდა. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „ქ. ფ-მა“ ამ ნაწილში სარჩელი ვერ დაასაბუთა, ხოლო ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა საქმეში დაცულ აღნიშნულ დოკუმენტებს შეფასება არ მისცეს. ამასთან საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ ხელ-

შეკრულებაში ფასი პირდაპირ არ არის მითითებული, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშუალებებზე, ანუ, ნასყიდობის ფასი, როგორც ხელშეკრულების ერთ-ერთი ძირითადი პირობა, მხარეთა შეთანხმების საგანი და არავინაა შეზღუდული, ხელშეკრულებაში მისთვის მისაღები ფასი მიუთითოს, თუნდაც იგი ქონების საბაზრო ღირებულებას არ შეესაბამებოდეს.

ამასთან, სარჩელის მიხედვით, ერთ-ერთი გარემოება, რაც ხელშეკრულების ბათილობაზე მიუთითებდა, იყო გარიგების დადების დრო, კერძოდ, ის ფაქტი, რომ პირველი სადავო ხელშეკრულება რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებიდან მე-6 დღეს დაიდო, ხოლო შემდეგ, იმავე დღესვე, ნასყიდობის საგანი გასხვისდა შპს „რ. ფ-ზე“. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ცალკე ეს გარემოება ხელშეკრულების ბათილობაზე არ მიუთითებს, ვინაიდან კანონმდებლობით არსადაა განსაზღვრული ვადა, რომლის განმავლობაშიც რეაბილიტაციის მმართველს ან ნებისმიერ სხვა უფლებამოსილ პირს არ შეუძლია ნასყიდობის ხელშეკრულების დადება. აღნიშნული გარემოება არც გარიგების მოჩვენებითობას ადასტურებს.

შემდეგი საკითხი, რაზეც მოსარჩელე მიუთითებდა და სააპელაციო სასამართლომაც ვრცლად იმსჯელა გასაჩივრებულ განჩინებაში, იყო მხარეთა შეთანხმება ანაზღაურების ნებსა და ფორმაზე. კერძოდ, სადავო ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ შპს „რ. ი. ჯ-ი“ ნასყიდობის ფასს სრულად გადაიხდიდა საკუთრების უფლების გადაცემიდან მომდევნო 7 წლის თავზე, ანუ მე-7 წლის ბოლო დღეს. ხელშეკრულების 3.3. პუნქტით მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ მყიდველი უფლებამოსილია, მაგრამ არ არის ვალდებული, ნასყიდობის ფასი სრულად ან ნაწილ-ნაწილ გადაუხადოს გამყიდველს შვიდწლიანი ვადის გასვლამდეც.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 505-ე მუხლის თანახმად, განვადებით ნასყიდობისას გამყიდველი ვალდებულია გადასცეს ნივთი მყიდველს ფასის გადახდამდე. ნივთის ფასის გადახდა მყიდველის მიერ ხდება ნაწილ-ნაწილ დროის განსაზღვრულ შუალედებში. იმავე კოდექსის 507-ე მუხლზე დაყრდნობით კი, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის, წლიური პროცენტი, პერიოდულად გადასახდელი თანხის ოდენობა და გრაფიკი, ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება ნივთის გადაცემის მომენტიდან. ამ შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ ნივთის ფასი პროცენტების გარეშე, შესაბამისად, სა-

კასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსით დაშვებულია ნასყიდობის გაფორმება იმგვარად, რომ ფასის გადახდა მოხდეს არა ხელშეკრულების დადებისთანავე, არამედ შემდგომში, ეტაპობრივად და ამგვარი შეთანხმება, არც კანონს ეწინააღმდეგება, არც გარიგების მოწვევებითობის დამადასტურებელ გარემოებას შეიძლება წარმოადგენდეს.

ამდენად ფაქტია, რომ 2011 წლის 27 დეკემბერს დადებული გარიგების საფუძველზე, შპს „რ. ფ-ი“ გახდა სს „ქ. ფ-ის“ უძრავ-მოდრავი ქონების მესაკუთრე. 2011 წლის 27 დეკემბრის გარიგების კანონიერება, რომლითაც შპს „რ. ფ-მა“ შეიძინა სს „ქ. ფ-ის“ უძრავ-მოდრავი ქონება, გარდა წიდისა და ნაცრისა, შემონ-მებულია სამოქალაქო სამართალწარმოების წესით და კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით დადგინდა შპს „რ. ფ-ის“ კეთილსინდისიერება (იხ. სუსგ, №ას-1070-1021-2013, 20.03.14 წელი). ამავე კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით დადგენილია, რომ ნასყიდობის ფასის მოცულობიდან დაახლოებით 18 მილიონ ლარამდე ოდენობით დაკმაყოფილდნენ სს „ქ. ფ-ის“ კრედიტორები, გარკვეულ შემთხვევებში ხდებოდა მათთან ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში შპს „რ. ფ-ის“ მიერ თანხის გადახდა სააქციო საზოგადოების კრედიტორებისათვის. ამდენად, განსახილველ დავაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით, რომლებიც გაზიარებული იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ, არ არის საკმარისი იმ შეფასებისათვის, რომ შპს „რ. ფ-ი“ მივიჩნიოთ არაკეთილსინდისიერ შემძენად.

ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს ი. მ-ისა და მ. ა-ის მითითებას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში ისინი არ იყვნენ მოპასუხეები და ქვედა ინსტანციის სასამართლო გასცდა სარჩელის საფუძველებს.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე საწარმომ (ქონების გამსხვისებელმა) ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ასევე ზიანის ანაზღაურება ყოფილი დირექტორისა და რეაბილიტაციის მმართველისაგან მოითხოვა. მოპასუხეებად დაასახელა შემძენი საწარმო, ყოფილი დირექტორი და რეაბილიტაციის მმართველი. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში, ხოლო ზიანის ანაზღაურების ნაწილში უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე, იმავდროულად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მოპასუხეებს სოლიდარულად დააკისრა სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ. გადანყვეტილე-

ბა სააპელაციო წესით გაასაჩივრა ყველა მოპასუხემ. ი. მ-ისა და მ. ა-ის საკასაციო საჩივარი, გარდა ხელშეკრულებების მართლზომიერების თაობაზე მითითებისა, ემყარებოდა იმ გარემოებასაც, რომ სასამართლოს მათთვის ბაჟი სოლიდარულად არ უნდა დაეკისრებინა. ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში ი. მ-სა და მ. ა-ს მოპასუხედ მოსარჩელე არ განიხილავს. სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ გაითვალისწინა მოსარჩელის განმარტება და, აღნიშნულის საპირისპიროდ, დაასკვნა, რომ ვინაიდან ხელშეკრულების ბათილად ცნობის საკითხის განხილვა შეეხებოდა დირექტორისა და რეაბილიტაციის მმართველის მოქმედების მართლზომიერების შეფასებას, ისინი ასევე იყვნენ მოპასუხეები ამ ნაწილში და რადგანაც სარჩელი ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა, მათ ბაჟის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ სწორად დაეკისრათ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ეს მოსაზრება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და მე-4 მუხლების თანახმად სამოქალაქო სამართალწარმოება ემყარება დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს. მხარე, იღებს რა გადაწყვეტილებას სარჩელის აღძვრის გზით საქმის წარმოების დაწყების თაობაზე, თავად განსაზღვრავს, ვის მიმართ აღძრას სარჩელი და სასამართლო არ არის უფლებამოსილი ამ არჩევანში ჩაერიოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლიდან გამომდინარე, ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ სარჩელი აღძრულია არასათანადო მოპასუხის მიმართ, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, თავისი ინციპტივით ჩააბას საქმეში სათანადო მოპასუხე, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, თავად მხარე წყვეტს, ვის მიმართ უნდა დააყენოს მოთხოვნა და ასევე თავად მხარეა მის მიერ გაკეთებულ არჩევანზე რისკის მატარებელი, შესაბამისად, ისეთ პირობებში, როდესაც მოსარჩელე განმარტავს, რომ მის კონკრეტულ სასარჩელო მოთხოვნაზე მოპასუხე არ არის ყოფილი დირექტორი და რეაბილიტაციის მმართველი, სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ პირების მაინც მოპასუხედ მიჩნევა დისპოზიციურობის პრინციპის უხეშად დარღვევაა.

ასევე მცდარია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ვინაიდან ამ შემთხვევაში ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების საკითხის გადაწყვეტა

ყოფილი დირექტორისა და რეაბილიტაციის მმართველის მოქმედებების მართლზომიერების შეფასებას ემყარება, ისინი აუცილებლად მოპასუხეებად უნდა იყვნენ ჩაბმული საქმეში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხედ შეიძლება დასახელდეს პირი, რომლის მიმართაც, დავის საგნიდან გამომდინარე, მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება გააჩნია და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გარკვეული სამართლებრივი შედეგი დგება. სამენარმეო საზოგადოებას შეუძლია სადაო გახადოს მისი დირექტორის მიერ დადებული გარიგება, იმ საფუძველზე, რომ დირექტორის მოქმედება არამართლზომიერი იყო, მაგრამ ეს გარემოება არ ნიშნავს, რომ სანარმოს ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნა დირექტორის მიმართ გააჩნია. ამ ნაწილში მოპასუხე ხელშეკრულების კონტრაჰენცია, ვინაიდან, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სამართლებრივი შედეგი სწორედ მის მიმართ დგება, იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების დირექტორი არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა, საზოგადოებას მის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გააჩნია, რაც შეიძლება იმავე ან ცალკე სარჩელის საგანი იყოს, მაგრამ ეს გარემოება არ ნიშნავს, რომ დირექტორი ასევეა მოპასუხე ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელზე, თუმცა, ვინაიდან გადაწყვეტილება დირექტორის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს, მოთხოვნის შემთხვევაში, იგი შეიძლება მესამე პირად ჩაებას საქმეში. იგივე ვითარებაა რეაბილიტაციის მმართველის შემთხვევაშიც, როდესაც სარჩელი არ არის აღძრული გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში და დავა საერთო სასარჩელო წესით განიხილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს ი. მ-ისა და მ. ა-ის მტკიცებას, რომ ისინი არ არიან ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის ნაწილში მოპასუხეები და ქვედა ინსტანციის სასამართლოებს მათთვის სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება არ უნდა დაეკისრებინა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ყველა პირობა, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

ამავე კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამარ-

თლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სარჩელი დაუსაბუთებელია, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონი“ არ კრძალავს რეაბილიტაციის პროცესში სანარმოს აქტივების გასხვისებას, ხოლო რეაბილიტაციის მმართველის მოქმედება შეესაბამება რეაბილიტაციის გეგმასა და სს „ქ. ფ-ის“ კრედიტორების ინტერესებს, გარდა ამისა, რეაბილიტაციის გეგმის შესრულების საკითხზე დავის უფლება გააჩნიათ სანარმოს კრედიტორებს და არა მოვალეს. ი. მ-სა და მ. ა-თან დაკავშირებით, თავად მოსარჩელე განმარტავს, რომ ამ დავის საგანზე ისინი მოპასუხეები არ არიან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი კი, არასათანადო მოპასუხის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას ითვალისწინებს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სს „ქ. ფ-ის“ დირექტორის ნ. ჯ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც, ხოლო ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

საკასაციო სასამართლო წინამდებარე გადაწყვეტილებით სრულად აკმაყოფილებს რა შპს „რ. ფ-ის“, მ. ა-ის, ი. მ-ისა და შპს „რ. ი. ჯ-ის“ საკასაციო საჩივრებს, ხოლო სს „ქ. ფ-ის“ სარჩელს არ აკმაყოფილებს, მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს შპს „რ. ფ-ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე წარდგენილ საჩივარზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 15 150 ლარის, შპს „რ. ი. ჯ-ის“ სასარგებლოდ – სააპელაციო და საკასაციო საჩივრების გამო გადახდილი ბაჟის – 15 000 ლარის, მ. ა-ის სასარგებლოდ – ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრების გამო გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 11 000 ლარის, ხოლო ი. მ-ის სასარგებლოდ – ი. მ-ის მიერ ასევე სააპელაციო და საკასაციო საჩივრების გამო გადახდილი 6188 ლარის ანაზღაურება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამარ-

თლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამოჩვენებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად კი, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის მიხედვით, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ახალი გადაწყვეტილებით სს „ქ. ფ-ის“ სარჩელს არ აკმაყოფილებს, სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 9 ივლისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შპს „რ. ფ-ს“ (ს/კ) აეკრძალა მოძრავი ქონების – დომენისა და მარტენის წიდის, საწარმოო ნარჩენებისა და ნაცრის (მდებარე რუსთავეში, წიდასაყარის მიმდებარე ტერიტორიაზე, 1154309 კვ.მ მიწის ფართობზე, საკადასტრო კოდი №.....) გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „რ. ი. ჯ-ის“, შპს „რ. ფ-ის“, ი. მ-ისა და მ. ა-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. სს „ქ. ფ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

4. სს „ქ. ფ-ს“ (ს/კ) შპს „რ. ფ-ის“ (ს/კ) სასარგებლოდ

დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის - 15 150 ლარის, შპს „რ. ი. ჯ-ის“ (ს/კ) სასარგებლოდ – 15 000 ლარის, მ. ა-ის (პ/№) სასარგებლოდ – 11 000 ლარის, ხოლო ი. მ-ის (პ/№) სასარგებლოდ – 6188 ლარის გადახდა.

5. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 9 ივლისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შპს „რ. ფ-ს“ (ს/კ) აეკრძალა მოძრავი ქონებს – დომენისა და მარტენის ნიდის, საწარმოო ნარჩენებისა და ნაცრის (მდებარე რუსთავეში, ნიდასაყარის მიმდებარე ტერიტორიაზე, 1154309 კვ.მ მიწის ფართობზე, საკადასტრო კოდი №.....) გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცების ტვირთი მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

№ას-904-862-2013

21 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

6. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. ხ-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის 31 000 აშშ დოლარისა და ზიანის – 14 880 აშშ დოლარის გადახდა შემდეგი საფუძვლებით:

2010 წლის ივნისში ნ. გ-მა მოპასუხეს ასესხა 15 000 აშშ დოლარი სარგებლის გადახდის პირობით. ამავე პერიოდში რ. ხ-მა ნ. გ-ის შვილ ბ. ჯ-ეს შესთავაზა 35 000 აშშ დოლარად ჩინეთიდან პროდუქციის ექსპორტი. თანხის ნახევარს თავად მოპასუ-

ხე გადაიხდიდა, ხოლო ნახევარს – მოსარჩელე.

შეთანხმების თანახმად, მოსარჩელემ გადაიხადა 35000 აშშ დოლარის ნახევარი. მოპასუხის ძმა ნ. ხ-ი და მოსარჩელის შვილი ბ. ჯ-ე გაემგზავრნენ ჩინეთში, საიდანაც ჩამოიტანეს პლასტიკატის პროდუქცია, რისი რეალიზაცია რ. ხ-ს უნდა მოეხდინა.

პროდუქციის ნაწილი წაიღო რ. ხ-ის კრედიტორებმა, ნაწილი რეალიზებულ იქნა, ხოლო აღებული თანხა მოპასუხემ განკარგა.

2011 წლის 7 ივლისს რ. ხ-მა აღიარა ნ. გ-ის მიმართ დავალიანების – 31 000 აშშ დოლარის არსებობა, რომელიც მოპასუხეს უნდა გადაეხადა 2011 წლის 7 სექტემბრამდე.

მოსარჩელემ შეიტყო, რომ მოპასუხის წინააღმდეგ შპს „გ-ის“ სასარგებლოდ დაწყებული იყო იძულებითი აღსრულება. მოპასუხის ქონებას დაედო ყადაღა შპს „გ-ის“ სასარგებლოდ და ემუქრებოდა აუქციონზე გაყიდვა. მოსარჩელე იძულებული გახდა, თავიდან აერიდებინა იძულებითი აუქციონი, რის გამოც შპს „გ-ს“ გადაუხადა 22 500 აშშ დოლარი. აღნიშნულის შემდეგ, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მოპასუხემ, დავალიანების საწევლოდ, ნ. გ-ს გადაუფორმა კუთვნილი სამი უძრავი ნივთი, თუმცა ერთ-ერთი მათგანი მოსარჩელის საკუთრებად ვერ დარეგისტრირდა, ვინაიდან დაედო ყადაღა, მეორე დატვირთული იყო იპოთეკით, ხოლო მესამე ნივთის ღირებულება მის რეალურ ფასს არ შეესაბამებოდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ვალდებულება სრულად შეასრულა. მოსარჩელის ვალი გააჩნდა მის ძმას – ნ. ხ-ს, რომელმაც აღიარა ვალის 24 000 აშშ დოლარის არსებობა. მოსარჩელემ გაიგო, რომ ნ. ხ-ს ქონება არ გააჩნდა და მუქარითა და ფსიქიკური ზეწოლით აიძულა, ეღიარებინა დავალიანების სახით 31 000 აშშ დოლარის არსებობა. მოპასუხემ მოსარჩელეს გადასცა 70 000 აშშ დოლარის ღირებულების ქონება და მის მიმართ არანაირი ვალდებულება აღარ გააჩნია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რ. ხ-ს ნ. გ-ის სასარგებლოდ დაექისრა 15 900 აშშ დოლარისა და 616,4 ლარის, ასევე, ზიანის – 6201 აშშ დოლარისა და 240.37 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ გააჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ივლისის განჩინებით რ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვე-

ტილება კი დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ნ. და რ. ხ-ები იყვნენ ძმები.

2011 წლის 29 ივნისს ნ. ხ-სა და ნ. გ-ს შორის სანოტარო წესით დაიდო ვალის აღიარების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ნ. ხ-მა სანოტარო წესით დაადასტურა, რომ მას ნ. გ-ის მიმართ გააჩნდა 24 000 აშშ დოლარის ვალი, რომელსაც გადაიხდიდა 2011 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით.

2011 წლის 7 ივლისს ნ. ხ-მა და ნ. გ-მა გააფორმეს ახალი ხელშეკრულება ვალის აღიარების გაუქმების შესახებ. ხელშეკრულებაში მიეთითა, რომ ნ. ხ-სა და ნ. გ-ს შორის ვალის აღიარება გაუქმდა იმის გამო, რომ ნ. ხ-ის ვალდებულება იკისრა რ. ხ-მა.

2011 წლის 7 ივლისს რ. ხ-სა და ნ. გ-ს შორის სანოტარო წესით შედგა ვალის აღიარების ხელშეკრულება, სადაც რ. ხ-მა აღიარა ნ. გ-ის ვალი – 31 000 აშშ დოლარი, რომელიც უნდა დაეფარა 2011 წლის 7 სექტემბრამდე.

2011 წლის 15 ნოემბერს რ. ხ-მა მოსარჩელესთან გააფორმა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებები. ნასყიდობის ხელშეკრულების მიზანი იყო მხარეებს შორის საბოლოო ანგარიშსწორება და ვალების ურთიერთგაქვითვა. ნასყიდობის მომენტისათვის მოსარჩელეს მოპასუხისათვის თანხა არ გადაუხდია. თანხა ჩაითვალა გადასახდელ ვალში.

ნასყიდობის ხელშეკრულებებს წარმოადგენდა: ა) 2011 წლის 15 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება ქ. ქუთაისში, ფ-ის გამზირ №39-ის №2 ბინაზე, რომელიც იპოთეკით იყო დატვირთული მესამე პირის სასარგებლოდ. უძრავი ქონების ღირებულებად მხარეებმა განსაზღვრეს 30 000 აშშ დოლარი. უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული იყო საგადასახადო გირავნობა იპოთეკის უფლება; ბ) მეორე ხელშეკრულება დაიდო ქ. ქუთაისში, ფ-ის ქ. №31-ში, ბ-ის №1-სა და ლ-ის ქ. №5-ში მდებარე 36.06 კვ.მ-ზე; გ) მესამე ხელშეკრულება გააფორმეს 2011 წლის 15 ნოემბერს ქ.ქუთაისში, ფ-ის ქ. №31-ში, ბ-ის №1-სა და ლ-ის ქ. №5-ში მდებარე უძრავი ქონების 1/3 ნაწილზე. უძრავი ქონების ღირებულებად მხარეებმა განსაზღვრეს 40 000 აშშ დოლარი.

ქ. ქუთაისში, ფ-ის ქ. №31-ში, ბ-ის №1-სა და ლ-ის ქ. №5-ში მდებარე 36.06 კვ.მ ფართზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება მოსარჩელემ წარადგინა საჯარო რეესტრში და მოითხოვა ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქონებაზე რეგისტრირებული იყო უფლებრივი შეზღუდვა-ყადალა, რის გამოც მას უარი ეთქვა ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე. საქმის განხილვის მომენ-

ტისათვის ამ ქონების მესაკუთრე იყო მოპასუხე.

ქ. ქუთაისში, ჭ-ის გამზირ №39-ში მდებარე №2 ბინისა და ქ.ქუთაისში, ფ-ის ქ. №31-ში, ბ-ის №1-სა და ლ-ის ქ. №5-ში მდებარე საერთო საკუთრების 78.96 კვ.მ ფართის 1/3 ნაწილზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებები მოსარჩელემ წარადგინა საჯარო რეესტრში და ამ ხელშეკრულებების საფუძველზე გახდა ქ. ქუთაისში, ჭ-ის გამზირ №39-ში მდებარე №2 ბინის 28.6 კვ.მ ფართისა და ქ.ქუთაისში, ფ-ის ქ. №31-ში, ბ-ის №1-სა და ლ-ის ქ. №5-ში მდებარე საერთო საკუთრების 78.96 კვ.მ. ფართის 1/3 ნაწილის მესაკუთრე. ამასთან, ქ. ქუთაისში, ფ-ის ქ. №31-ში, ბ-ის №1-სა და ლ-ის ქ. №5-ში მდებარე მოსარჩელის კუთვნილი 1/3 ნაწილი ფართის გვერდით მდებარე ანალოგიური ფორმის და ზომის ოთახი საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით ინდივიდუალურ მენარმე „რ. ხ-ს“ შპს „გ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 30 726 ლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. შპს „გ-მა“ მიიღო სააღსრულებო ფურცელი და გადაწყვეტილება მიიქცია აღსარულელად. აღსრულების ეროვნული ბიუროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიურომ დაიწყო სააღსრულებო საქმის წარმოება და გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით რ. ხ-ს წინადადება მიეცა გადაწყვეტილების ნეაყოფლობით აღსრულებისათვის.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება, რ. ხ-ის ნაცვლად, აღასრულა ნ. გ-მა, კერძოდ, გადაიხდა სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა სააღსრულებო ხარჯებითურთ – 22500 აშშ დოლარი.

რ. ხ-ს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე ც.ს-ის უნდა გადაეცა 12 400 აშშ დოლარი. 2011 წლის 30 დეკემბერს დასახელებული თანხა ც. ს-ეს გადასცა ნ. გ-მა. შესაბამისად, ც. ს-ემ უარი განაცხადა უძრავ ქონებაზე იპოთეკის უფლებაზე და ქ. ქუთაისში, ჭ-ის გამზირ №39-ის №2 ბინა გათავისუფლდა იპოთეკისაგან. ამასთან, აღნიშნულ ქონებაზე რეგისტრირებული იყო საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება. ინდივიდუალურ მენარმე „რ. ხ-ს“ გააჩნდა საგადასახადო ვალდებულება – 616.4 ლარი, რომელიც შეასრულა ნ. გ-მა.

ქ. ქუთაისში, ფ-ის ქ. №31-ში, ბ-ის №1-სა და ლ-ის ქ. №5-ში მდებარე ქონების 1/3 ნაწილის საკუთრება მოსარჩელემ შეიძინა რ. ხ-ან.

საქმის განხილვის მომენტისათვის ამ ფართის მესაკუთრე

იყო მოსარჩელე. მის საკუთრებად რეგისტრირებული ფართის გვერდით მდებარე ანალოგიური ფორმის და ზომის 18.22 კვ.მ ოთახი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ იყო. მოსარჩელის განმარტებით, მან მოპასუხისაგან შეიძინა ორივე და არა მხოლოდ ერთი ოთახი. მოსარჩელემ მოპასუხეს მოსთხოვა, ხელი არ შეეშალა ამ ფართის ლეგალიზებაში, რასაც მოპასუხე დაეთანხმა. მოპასუხის მოსაზრებით, მას ვალი აღარ გააჩნდა, რადგან, ვალის სანაცვლოდ, მან მოსარჩელეს გადასცა 70 000 აშშ დოლარად ღირებული ქონება. შესაბამისად, მოპასუხემ გაუფორმებელი ოთახი მოსარჩელეს აღარ გადასცა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს და მისი ოჯახის წევრებს ნ. და რ. ხ-ან ჰქონდათ გარკვეული ფინანსური ურთიერთობები.

რ. ხ-მა პირველი ინსტანციის სასამართლოში განმარტა, რომ პლასტიკატის ჩამოსატანად ჩინეთში წასული იყო არა თვითონ, არამედ მისი ძმა ნ. ხ-ი და მოსარჩელის შვილი ბ. ჯ-ე. ასევე, მან განმარტა, რომ პლასტიკატის თანხები გადაირიცხა მისი სანარმოდან, მას არ უარუყვია პლასტიკატის ჩინეთიდან შემოტანა. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე ენეოდა კომერციულ საქმიანობას და მისი სანარმოს სახელით მოხდა პლასტიკატის ჩინეთიდან შემოტანა. შესაბამისად, მხარეები ერთმანეთის მიმართ გააჩნდათ გარკვეული ფინანსური გარიგებები, რასაც ადასტურებდა ნ. ხ-სა და რ. ხ-ის მიერ მოსარჩელესთან ვალის აღიარების ხელშეკრულების დადება. ასევე, მოწმე ბ. ჯ-ის განმარტება, რომ პლასტიკატის ბიზნესის რეგულირებისათვის ნ. ხ-ან ერთად პირადად იმყოფებოდა ჩინეთში და პლასტიკატის გამოგზავნის საკითხებთან დაკავშირებით რ. ხ-ს ჩინეთიდან ეკონტაქტებოდნენ ტელეფონით. ასევე, ფინანსური ურთიერთობის საკითხს ადასტურებდა მოწმე კ-ის განმარტება, რომ ის კარგად იცნობდა ნ. და რ. ხ-ს და ორჯერ ესწრებოდა იმ საუბარს და მოლაპარაკებას, რომელიც მიმდინარეობდა ძმებ ხ-სა და მოსარჩელის ოჯახს შორის ვალების გაქვითვასთან დაკავშირებით. რ. ხ-ი მოლაპარაკებაში მონაწილეობდა საკუთარი ჩანაწერებით. მათ დაძალების გარეშე დააჯამეს ერთმანეთის ანგარიში და შეთანხმდნენ ურთიერთვალდებულებებზე.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელემ თავისი არგუმენტის დასადასტურებლად გარდა ზეპირი განმარტებისა, წარადგინა მოწმეთა ჩვენებები, კერძოდ, ბ. ჯ-ის ჩვენებით, დასტურდება, რომ ნ. ხ-ს პირადად მან და თავისმა დედამ ნ. გ-მა გადასცეს სესხად 15 000 აშშ დოლარი. მოწმე ვ. ჯ-ის ჩვენებით დასტურ-

დება მოსარჩელისა და ბ. ჯ-ის განმარტება, რომ რ. ხ-ს თვითონ მიუტანა პლასტიკატის თანხა და გადასცა. ნ. ხ-ის ვალის აღიარების ხელშეკრულება, რომლითაც ნ. ხ-მა აღიარა, რომ მას მოსარჩელისათვის გადასახდელი ჰქონდა – 24 000 აშშ დოლარი. ვალის აღიარების ხელშეკრულების გაუქმების ხელშეკრულება, რომლითაც ნ. გ-სა და ნ. ხ-ის ვალის აღიარების შესახებ ხელშეკრულება გაუქმდა იმის გამო, რომ ვალის გადახდა იკისრა რ. ხ-მა. ასევე, რ. ხ-ან გაფორმებული ვალის აღიარების ხელშეკრულება, რომლითაც რ. ხ-მა აღიარა მოსარჩელის ვალი.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა სასამართლოს მსჯელობას, რომ ვინაიდან ვახტანგ და ბ. ჯ-ი მოსარჩელის ოჯახის წევრები იყვნენ, მათი ჩვენებები კრიტიკულად უნდა შეფასებულიყო, მაგრამ მათი განმარტებები სარწმუნო იყო, რადგან იგი დასტურდებოდა სხვა მტკიცებულებებით, ხოლო სანინაალმდეგო მტკიცებულება მოპასუხეს არ წარუდგენია. მოპასუხემ წარადგინა მხოლოდ ზეპირი განმარტება და ის მტკიცებულებები, რაზეც მოსარჩელე ამყარებდა თავის პოზიციას. ამასთან, ვალის აღიარების ხელშეკრულება, რომელიც მოპასუხის განმარტებით, იძულებისა და მუქარის შედეგად იყო დადებული, ამ გარემოების მტკიცებულება მოპასუხემ ვერ წარადგინა და აღნიშნული ვერ დაასაბუთა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 930-ე და 932-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ, ერთის მხრივ, მოსარჩელე და მისი ოჯახის წევრები, ხოლო, მეორე მხრივ, ნ. და რ. ხ-ი შეთანხმდნენ, რომ ჩინეთიდან ჩამოიტანდნენ პლასტიკატს. რ. ხ-ის მალაზიაში გაუკეთებდნენ რეალიზაციას და მიღებულ მოგებას გაინაწილებდნენ. ამ შეთანხმების მიხედვით, ნ. ხ-ი და მოსარჩელის შვილი ბ. ჯ-ე მოსარჩელის ფულადი თანხებით წავიდნენ ჩინეთში, დადეს გარიგებები და რ. ხ-ს გამოუგზავნეს პლასტიკატი, რომლის მოცულობაც საქმის მასალებით არ არის დადგენილი. ამასთან, მოპასუხე საერთოდ უარყოფს პლასტიკატის შემოტანაში მოსარჩელის მონაწილეობას და მასთან ერთად ბიზნესის წარმოებას, მაგრამ საქმის მასალებით დადგინდა მათი ერთობლივი მოქმედება. მოსარჩელემ ამ საქმიანობაში თავისი წილის სახით შეიტანა დაახლოებით 20 000 აშშ დოლარი.

სამოქალაქო კოდექსის 935-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეები შეთანხმდნენ მიღებული მოგების ორ ნაწილად განაწილებაზე, საიდანაც ერთ ნაწილს მიიღებდა მოსარჩელის ოჯახი, ხოლო მეორე ნაწილს – ნ. და რ. ხ-ი. პლასტიკატის რეალიზაცია უნდა ეწარმოებინა რ. ხ-ს. რ. ხ-მა მოახდინა პლასტიკატის რეალიზაცია, მაგრამ მიღებული მოგე-

ბა მოსარჩელისათვის არ გადაუცია. ფაქტობრივად, მიღებული თანხა მთლიანად გახარჯეს ნ. და რ. ხ-მა, მათ დაიანგარიშეს ერთმანეთის ურთიერთვალდებულებები. შეთანხმების შედეგად, 2011 წლის 29 ივნისს ნ. ხ-სა და ნ. გ-ს შორის სანოტარო წესით დაიდო ვალის აღიარების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ნ. ხ-მა სანოტარო წესით დაადასტურა, რომ მას ჰქონდა ნ. გ-ის ვალი – 24 000 აშშ დოლარი, რომელსაც გადაიხდიდა 2011 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით და ყურადღება გაამახვილა შემდეგზე: ნ. ხ-ის მიერ ვალის აღიარების შემდეგ, მოსარჩელემ დაადგინა, რომ ნ. ხ-ს არ ჰქონდა გადახდის უნარი, ფული და უძრავი ქონება, რის გამოც 2011 წლის ივლისში მხარეები შეიკრიბნენ მოსარჩელის სახლში და რ. ხ-ან ერთად ხელახლა დაიანგარიშეს როგორც სესხისა და სარგებლის ოდენობა, ასევე პლასტიკატის ბიზნესში თავიანთი წილი, რის საფუძველზეც შეთანხმების შემდეგ, 2011 წლის 7 ივლისს ნ. ხ-მა და ნ. გ-მა გააფორმეს ახალი ხელშეკრულება ვალის აღიარების გაუქმების შესახებ. ხელშეკრულებაში მიეთითა, რომ ნ. ხ-სა და ნ. გ-ს შორის ვალის აღიარება უნდა გაუქმდეს იმის გამო, რომ ნ. ხ-ის ვალდებულება იკისრა რ. ხ-მა. 2011 წლის 7 ივლისს რ. ხ-სა და ნ. გ-ს შორის სანოტარო წესით შედგა ვალის აღიარების ხელშეკრულება. რ. ხ-მა აღიარა, რომ მისი ვალი ნ. გ-ის მიმართ შეადგენდა 31 000 აშშ დოლარს, რომელსაც გადაიხდიდა 2011 წლის 7 სექტემბრამდე.

სააპელაციო პალატის განმარტებით, სასამართლომ მართებულად დაადგინა, რომ შეთანხმებული 31 000 აშშ დოლარიდან ვალის ნაწილი ნ. ხ-ის შესასრულებელი სასესხო ვალდებულება იყო, ხოლო ნაწილი – პლასტიკატთან დაკავშირებული რ. და ნ. ხ-ის სოლიდარული ვალდებულება, მაგრამ რ. ხ-მა თავის თავზე აიღო მთლიანი თანხის დაფარვის ვალდებულება და ამის თაობაზე ნ. გ-ან დადო შესაბამისი ხელშეკრულება. ამასთან, მოპასუხის განმარტებით, დასახელებული აღიარების ხელშეკრულება დაიდო იძულებისა და მუქარის შედეგად, მაგრამ ამ გარემოების მტკიცებულება მან ვერ წარადგინა და ვერ დაასაბუთა. ვალის აღიარების ხელშეკრულება უდავო მტკიცებულებით – სანოტარო აქტით იყო დადასტურებული.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხე ვალდებულია, დაადასტუროს იძულებითი გარიგების არსებობა და ამ გარემოების მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრება. მოპასუხემ მიუთითა, რომ

მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენდა ქონების ხელში ჩაგდება, მისი შვილი მუშაობდა ძალოვან სტრუქტურაში, შესაბამისად, მის მიმართ განხორციელდა დაშინება და იძულება.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასამართლომ მტკიცებულებათა ანალიზის შედეგად მართებულად არ გაიზიარა მოპასუხის დასახელებული არგუმენტები, რადგან ხსენებული გარემოებები სხვა მტკიცებულებებით არ გამყარებულა. მოსარჩელის მიერ მოპასუხის ქონების შექენა და მის საკუთრებად დარეგისტრირება კი, არ წარმოადგენდა იძულებით დადებული გარიგების მტკიცებულებას.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ 31 000 აშშ დოლარის ოდენობის ვალი ჰქონდა აღიარებული და მას მართებდა ამ თანხის მოსარჩელისათვის დაბრუნება, გარდა ამისა, მოსარჩელემ გადაიხადა მოპასუხის საგადასახადო დავალიანება, შპს „გ-ის“ ვალი, ც. ს-ის ვალი და სხვა ხარჯები. შესაბამისად, მოპასუხეს გარკვეული ფორმით უნდა გადაეხადა ის თანხა, რაც მოსარჩელემ მოპასუხის ნაცვლად დაფარა. შესაბამისად, ამ თანხის გამოქვითვის გზით მისი ქონების მოსარჩელის მიერ შექენა არ წარმოადგენდა ვალის აღიარების ხელშეკრულების იძულებით დადების დამამტკიცებელ მტკიცებულებას. ასევე, იძულების მტკიცებულებად არ გამოდგებოდა მოსარჩელის შვილის ძალოვან სტრუქტურაში მუშაობა, რადგან ამ სტრუქტურაში მუშაობა ძალადობის გამოყენების ან მუქარის გამოყენების მტკიცებულება ვერ იქნებოდა.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილით, 38-ე მუხლის „ა“ და „ზ“ პუნქტებით და მიიჩნია, რომ მხარეები გამოცხადდნენ ნოტარიუსთან და გამოხატეს ნება, გაეუქმებინათ ნ. ხ-ის ვალის აღიარება იმის გამო, რომ აღნიშნული ვალდებულება იკისრა რ. ხ-მა და შეადგინეს რ. ხ-ის მიერ ვალის აღიარების ახალი ხელშეკრულება. სანოტარო აქტში მიეთითა, რომ ნოტარიუსმა განუმარტა ვალის აღიარების გარიგების შედეგები და ტექსტზე მოაწერინა ხელი. ამასთან, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ სანოტარო აქტს აქვს უდავო მტკიცებულების ძალა და, სხვა მტკიცებულებებთან შედარებით, ენიჭება უპირატესი ძალა. მოპასუხემ ამ მტკიცებულებათა გასაბათილებლად მტკიცებულებები ვერ წარადგინა. მას საშუალება ჰქონდა, ნოტარიუსისათვის განემარტა, რომ განიცდიდა იძულებას, მაგ-

რამ მას მსგავსი რამ არ განუხორციელებია. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მხარემ დაადასტურა, რომ მისთვის ნათელი იყო გარიგების შედეგი და ხელი მოაწერა მას. აღიარების შემდეგ გავიდა დაახლოებით ორი წელი და ამ ვადაში მას შეეძლო, მიემართა სამართალდამცავი ორგანოებისათვის და სისხლის სამართალწარმოების წესით დაეცვა თავისი ინტერესი. ასევე, შეეძლო სარჩელი აღედრა და მოეთხოვა გარიგების ბათილად ცნობა. მოპასუხეს მსგავსი მოქმედებები არ განუხორციელებია, მისი არგუმენტები მტკიცებულებებით არ იყო გამყარებული. შესაბამისად, მისი არგუმენტები იძულებასა და მუქარასთან დაკავშირებით არ იყო დასაბუთებული.

სააპელაციო პალატის შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გაიზიარა მოსაზრება, რომ მოსარჩელემ და მისი ოჯახის წევრებმა ნ. ხ-ს სესხის სახით გადასცეს 15 000 აშშ დოლარი. გარდა ამისა, მათ ნ. და რ. ხ-ან ერთად საერთო საქმიანობა გააჩნდათ პლასტიკატის ჩინეთიდან ჩამოტანასა და რეალიზაციაში. ნ. და რ. ხ-მა არ შეასრულეს თავისი ვალდებულებები, რითაც დაარღვიეს მოსარჩელის ინტერესი. მხარეთა შეთანხმების თანახმად, თავდაპირველად ვალის აღიარების ხელშეკრულება გაფორმდა ნ. ხ-ან, მაგრამ მას არ გააჩნდა რაიმე აქტივი, რომლითაც დაფარავდა დავალიანებას, ამიტომ მოსარჩელემ და მისი ოჯახის წევრებმა მოითხოვეს გარანტიები და ვალის აღიარება რ. ხ-ან, რომელმაც აღიარა ვალი – 31 000 აშშ დოლარი და იკისრა მისი გადახდა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხეს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომლის მეშვეობითაც პლასტიკატის ბიზნესში გაანგარიშებული იქნება თითოეული წევრის მიერ განხორციელებული ვალდებულებების მოცულობა, მიღებული ან მისაღები მოგება, შესაბამისად, სასამართლოს არ ჰქონდა შესაძლებლობა, გაერკვია მათ შორის არსებული კონკრეტული ფინანსური ვალდებულებების მოცულობა, ეს შესაძლებელი იქნებოდა, თუ მოსარჩელე საეჭვოდ გახდიდა ურთიერთშეთანხმების სისწორეს, ვალების დაანგარიშებას და წარმოადგენდა მტკიცებულებებს, რომლითაც სასამართლოს აქტივებისა და პასივების დაჯამების საშუალება ექნებოდა. მოპასუხეს ასეთი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია, რის გამოც სასამართლო დაეყრდნო ვალის აღიარების ხელშეკრულებას და მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ურთიერთობა ვალის აღიარების ხელშეკრულების შესაბამისი იყო.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 327-

ე და 623-ე მუხლებზე და გაიზარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ მოსარჩელეს სურდა ფულის გასესხება, ხოლო ნ. ხ-ს, თავის მხრივ, სურდა ფულის სესხება, რის გამოც, მოსარჩელემ ნ. ხ-ს ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე ასესხა 15000 აშშ დოლარი. ხელშეკრულების დადებისას მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების ყველა არსებით საკითხზე, მათ შორის სესხის ვადაზე, სარგებელსა და სხვა საკითხებზე. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოპასუხეს მოსარჩელისათვის უნდა გადაეხადა სარგებელი. ამრიგად, მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების შემდეგ შედგა ხელშეკრულება, რომლითაც მხარეებმა დაადგინეს ურთიერთვალდებულებათა მოცულობა.

სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 361-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიიჩნია დადგენილად, რომ მოსარჩელემ სესხის ხელშეკრულების დადებისა და თანხის გადაცემის შემდეგ შეიძინა მოთხოვნის უფლება, კერძოდ, ნ. ხ-ის სანაცვლო ვალდებულების შესრულება. მოსარჩელეს შეეძლო, მოეთხოვა ყოველი თვის ბოლოს სარგებლის გადახდა. ასევე, მთლიანი სესხად გაცემული 15 000 აშშ დოლარის გადახდა, ხოლო მოპასუხე ვალდებული იყო, ნაკისრი ვალდებულება შეესრულებინა ჯეროვნად და დათქმულ ვადაში თანხა დაებრუნებინა ხელშეკრულებაში მითითებული ოდენობით. მოპასუხემ ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

შეთანხმების მიხედვით, მოპასუხე მოსარჩელეს გადასცემდა სამ უძრავ ნივთს, რომელთა საერთო ღირებულება დაახლოებით იქნებოდა 100 000 აშშ დოლარი, ხოლო მოსარჩელე სანაცვლოდ ჩაუთვლიდა ვალს – 31000 აშშ დოლარს, გადაუხდიდა სესხს – 34 900 აშშ დოლარს და 616.4 ლარს, სულ მოსარჩელე გადაიხდიდა 65 900 აშშ დოლარსა და 616.4 ლარს, რითაც მხარეები ურთიერთვალდებულებას შესრულებულად თვლიდნენ.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ მას გარიგებით უნდა მიეღო როგორც რეგისტრირებული, ასევე დაურეგისტრირებელი ფართი და ამ ქონებაში უნდა გადაეხდა 40 000 აშშ დოლარი, მაგრამ მიიღო არა ორივე ოთახი, არამედ მხოლოდ ერთი. სულ მის მიერ შეძენილი ქონების ფასი განახევრდა. შესაბამისად, მოპასუხემ მოსარჩელეს გადასცა არა 40 000 აშშ დოლარის, არამედ 20 000 აშშ დოლარის ღირებულების ქონება. მხარეებმა 40000 აშშ დოლარად შეაფასეს ორივე ოთახი, მაგრამ მოპასუხემ ერთი ოთახი არ გადასცა, რითაც ქონების

ღირებულება შემცირდა S-ით. საერთო ჯამში მოსარჩელემ მიიღო 50 000 აშშ დოლარის ღირებულების უძრავი ქონება (30 000 აშშ დოლარის ფართი და 40 000 აშშ დოლარის 1/2 ღირებულების ფართი=50000 აშშ დოლარს), სანაცვლოდ მოპასუხეს გადაუხადა 65 900 აშშ დოლარი და 616.4 ლარი (რაშიც იგულისხმება ც. ს-ის ვალი – 22500+შპს „გ-ის“ ვალი 12 400 + საგადასახადო დავალიანება – 616.4 ლარი+მოსარჩელისათვის გადასახდელი 31 000 აშშ დოლარი). მხარეების ურთიერთვალდებულების გათანაბრებისათვის საჭირო იყო მოპასუხის მიერ მოსარჩელის სასარგებლოდ სხვაობის – 15900 აშშ დოლარისა და 616.4 ლარის ანაზღაურება. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი ამ ნაწილში სწორად დააკმაყოფილა, ხოლო დანარჩენ ნაწილში მართებულად ეთქვა უარი.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ 31 000 აშშ დოლარში ჩათვლილი იყო მოსარჩელის მიერ მოპასუხის ვალდებულებების შესასრულებლად სესხის სახით ზედმეტად გადახდილი 1000 აშშ დოლარი და 8600 აშშ დოლარი, რადგან მტკიცებულებათა ანალიზით არ დასტურდებოდა, რომ ეს თანხები მოპასუხეს მოხმარდა. მოსარჩელეს სურდა მოპასუხის საკუთრებაში არსებული ქონების გამოსყიდვა და ამ ქონების მიღების გზით თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება. სწორედ ამ მიზნით მიიღო მან სესხები და ამ სესხის მიღებისათვის გადახდილი პროცენტები არ წარმოადგენდა ზიანს. შესაბამისად, დასახელებული თანხების ხარჯვის გამო, მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ ვალდებულება არ წარმოშობია.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით 31 000 აშშ დოლარის 3%-ის გადახდა, რადგან მოპასუხის მიერ ვალდებულების დროულად შესრულებისა და კუთვნილი 31 000 აშშ დოლარის გადაცემის შემთხვევაში, იგი ამ თანხით ნახავდა გარკვეულ შემოსავალს, რაც არ იქნებოდა თვეში 3%-ზე ნაკლები.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლზე და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება, რომ ვალდებულება ისეთი სამართლებრივი ბორკილია, რომელიც ვალდებულების მონაწილე სუბიექტს აიძულებს რაიმე მოქმედების შესრულებას, ან ასეთი მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებას. მოქმედების შესრულება ან თავის შეკავება გულისხმობს ასეთი ღონისძიების მიღებას სა-

ხელშეკრულებო პერიოდში და არ გულისხმობს მუდმივად. ანუ ვალდებულება არის დროში განსაზღვრული მოქმედება და თუ იგი გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, მაშინ ასეთი ვადა უნდა დაადგინონ ხელშეკრულების მონაწილეებმა. ასევე, იმისათვის, რომ მოსარჩელეს გააჩნდეს მოთხოვნის უფლება საჭირო არის, რომ იგი ვალდებულებით ურთიერთობაში იყოს მოპასუხესთან. მათ შორის უნდა არსებობდეს სახელშეკრულებო ურთიერთობა, მოთხოვნა უნდა გამომდინარეობდეს დელიქტური ვალდებულებიდან, უსაფუძვლო გამდიდრებიდან ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

სააპელაციო პალატის შეფასებით, პირველი ინსტანციის სამართლომ სწორად დაადგინა, რომ მოპასუხეს ვალის აღიარების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები უნდა შეესრულებინა 2011 წლის 7 სექტემბრამდე. მოპასუხემ თავისი ვალდებულება დადგენილ ვადაში არ შეასრულა, რის გამოც მხარეებს შორის დაიწყო მოლაპარაკება უძრავი ქონებით ვალდებულებათა გაქვითვის თაობაზე. მხარეები შეთანხმდნენ, რომ, იპოთეკათა გამო, ქონების დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით, ვალებს გადაიხდიდა მოსარჩელე და სანაცვლოდ მოპასუხე განაცემდა სამ უძრავ ნივთს, პარალელურად ამ ქონებათა სანაცვლოდ მოსარჩელე გაქვითავდა თავის მოთხოვნებს. მათ გააფორმეს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებები და ამ ხელშეკრულებების საჯარო რეესტრში დარეგისტრირებით მხარეებს შორის ვალდებულება უნდა ჩათვლილიყო შესრულებულად, მაგრამ 2013 წლის 21 ნოემბერს ერთ-ერთი უძრავი ნივთი, ყადაღის გამო, არ დარეგისტრირდა მოსარჩელის საკუთრებად, ხოლო მეორე ნივთის ნახევარი აღმოჩნდა ნაკლიანი და, მოპასუხის აქტიური ქმედების გამო, მოსარჩელემ მასზე საკუთრების უფლება ველარ მოიპოვა. ამდენად, 2011 წლის 21 ნოემბრიდან მოპასუხე სრულყოფილად აღარ ასრულებდა თავის ვალდებულებას.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველ ნაწილზე და მიიჩნია, რომ დასახელებული ნორმით კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. იგი გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან და გულისხმობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას. თვით ვალდებულებით სამართალში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულების დარღვევა. მოპასუხემ თავისი ვალდებულება დაარღვია და დათქმულ დროს მოსარჩელეს არ გადაუხადა ის თანხა, რაც მას ერგებოდა და ასე-

ვე, სრულყოფილად არ გადასცა იმ ღირებულების ქონება, რისი ვალდებულებაც გააჩნდა მის წინაშე. შესაბამისად, მოპასუხეს დაეკისრა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასამართლომ სწორად განმარტა მიუღებელი შემოსავალი, რომელიც წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, მაგრამ მისი დადგენისათვის აუცილებელია გათვალისწინებული იქნას, თუ რამდენად შესაძლებელი იყო მისი მიღება. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 31 000 აშშ დოლარი იყო მისი კუთვნილი თანხა, რომელიც ვალდებულების შესასრულებლად გადასცა მოპასუხეს, მაგრამ მოპასუხემ დაარღვია ვალდებულება და დათქმულ დროში აღნიშნული თანხა არ დააბრუნა, შესაბამისად, მან დაკარგა ის შემოსავალი, რასაც მიიღებდა აღნიშნული თანხის გამოყენებით.

ამდენად, სააპელაციო პალატის შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად საფუძვლიანი იყო, რადგან მას შეეძლო საკუთარი თანხით გარკვეული შემოსავლის მიღება. ამასთან, მოსარჩელის მოთხოვნა დასაბუთებული იყო იმითაც, რომ ნ. ს-ს მოსარჩელისაგან სესხი სარგებელით ჰქონდა აღებული.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მტკიცებულებათა გამოკვლევის საფუძველზე, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ მოპასუხემ ვალდებულების ნაწილი შეასრულა 2011 წლის 21 ნოემბერს და მოსარჩელეს გადასცა 50 000 აშშ დოლარის ღირებულების ქონება, თუმცა მას შესასრულებელი ჰქონდა 65 900 აშშ დოლარისა და 616.4 ლარის ვალდებულება და მოსარჩელისათვის უნდა გადაეცა დასახელებული ოდენობის ქონება. მოპასუხეს მოსარჩელის წინაშე შესასრულებელი დარჩა 15900 აშშ დოლარისა და 616.4 ლარის ვალდებულება, რაზეც მოპასუხემ 2011 წლის 21 ნოემბრიდან უარი განაცხადა. შესაბამისად, ამ თარიღიდან მოსარჩელეს მიადგა ზიანი, რადგან თუ მოპასუხე ქონებით არ შეასრულებდა ვალდებულებას, მაშინ მას მოსარჩელისათვის უნდა გადაეცა სხვაობად დარჩენილი თანხა – 15900 აშშ დოლარი და 616.4 ლარი, რასაც მოსარჩელე გამოიყენებდა საკუთარი შეხედულებით და მიიღებდა შემოსავალს თვეში თანხის 3%-ის ოდენობით. მოპასუხემ ვალდებულების შესრულების ვადას გადააცილა 13 თვე, რადგან ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება დაიწყო 2011 წლის 21 ნოემბერს და გაგრძელდა სარჩელის შემოტანამდე – 2013 წლის 22 თებერვლამდე. ამასთან, 15900 აშშ დოლარისა და 616.4 ლარის 3% არის 477 აშშ დოლარი და 18.49

ლარი. შესაბამისად, 13 თვის განმავლობაში მოსარჩელემ დაკარგა 6201 აშშ დოლარისა და 240.37 ლარის (13 X 477 აშშ დოლარი=6201 აშშ დოლარი, ასევე 13 X 18.49 ლარი=240.37 ლარი) შემოსავალი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება რ. ხ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, კასატორმა ასევე გაასაჩივრა ყველა საოქმოდ განჩინება, რომლითაც უარი ეთქვა შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ კასატორს, ნ. ხ-ს, მოსარჩელესა და მის ოჯახს შორის არსებობდა ერთობლივი საქმიანობის შესახებ შეთანხმება. კასატორმა წარადგინა მტკიცებულებები აღნიშნული ფაქტის უარსაყოფად და მოითხოვა ნ. ხ-ის დაკითხვა, თუმცა სასამართლომ მისი შუამდგომლობა დაუსაბუთებლად არ დააკმაყოფილა.

ორივე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ მოცემული დავა განიხილა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევით, რაც აისახა სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსზეც, რომელიც აგებულია მხოლოდ ვარაუდზე.

სააპელაციო პალატას არ გამოუკვლევია მოსარჩელის როლი სადავო ერთობლივ საქმიანობაში, ასევე, ვინ იგულისხმებოდა მოსარჩელის ოჯახში, თითოეული პარტნიორის შენატანის ოდენობა, საქმიანობა, რისთვის შეიქმნა ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა), როგორ ნაწილდებოდა მოგება და წაგება. ერთობლივი საქმიანობის განხორციელებით რა შემოსავალი იქნა მიღებული, რამდენს შეადგენდა მოგება ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში რამდენი იყო წაგება, მოსარჩელის რა ვალი გაისტუმრა კასატორმა.

სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელემ ერთობლივ საქმიანობაში შეიტანა 20 000 აშშ დოლარი მაშინ, როცა კასატორმა წინეთიდან ჩამოიტანა მხოლოდ 21 000 აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია და საჭირო თანხა შპს „გ-ან“ მიიღო.

პალატამ არასწორად შეაფასა კასატორის მიერ ძმის ვალის ნებაყოფლობით აღიარების ფაქტი. ფაქტობრივად, მოსარჩელემ რ. ხ-ი აიძულა, შეედგინა ვალდებულების აღიარების შესახებ ხელწერილი, რადგან მას ერიცხებოდა გარკვეული ქონება და შესაძლებელი იყო სადავო თანხის მისი მეშვეობით ამოღება. კასატორის პოზიციას ადასტურებს ის გარემოება, რომ ვალის აღიარებაზე შედგა წერილობითი ხელწერილი. ნებაყოფლობით დავალიანების საკუთარ თავზე აღების შემთხვევაში კი, კა-

სატორი უბრალოდ გადაიხდიდა ძმის დავალიანებას. რ. ხ-ს ნე-ბაყოფლობით არ გადაუცია არც უძრავი ქონება.

აღსანიშნავია, რომ კასატორის ძმა ნ. ხ-ს მოსარჩელის წინა-შე ჰქონდა ვალი – 24 000 აშშ დოლარი. კასატორს გადააკისრეს არარეალური თანხა – 7 000 აშშ დოლარით მეტი, როცა ვალის აღიარების ხელშეკრულებაში დააფიქსირებინეს 31 000 აშშ დოლარი ისე, რომ ვალის გადაკისრებაზე მისი ძმის თანხმობას ხელშეკრულება არ შეიცავდა.

ასევე, უსაფუძვლო სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოება, რომ მოპასუხემ, ვალის გასტუმრების მიზნით, მოსარჩელესთან ნებაყოფლობით გააფორმა 100 000 აშშ დოლარის ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, საიდანაც მოსარჩელემ 30 000 აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება ვერ დაირეგისტრირა, ვინაიდან იგი დაყადებული იყო, ხოლო 70 000 აშშ დოლარის ღირებულების ქონება მოსარჩელეს გადაუფორმა 65 900 აშშ დოლარის სანაცვლოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მოპასუხე მოსარჩელეს იპოთეკის ხელშეკრულებისა და სხვა ვალის გადახდის სანაცვლოდ, ნებაყოფლობით ჩუქნიდა 35 000 აშშ დოლარის ღირებულების ქონებას.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, სადაც მხარეებმა უძრავი ქონების ღირებულებად განსაზღვრეს 40 000 აშშ დოლარი. უძრავ ქონებას წარმოადგენს ქ. ქუთაისში, ფ-ის ქ. №31-ში, ბ-ის ქ. №1-სა და ლ-ის ქ. №5-ში მდებარე ქონების 1/3 ნაწილი, რომელიც არის კომერციული ფართი და შეადგენს ერთ 20 კვ.მ ოთახს. აღნიშნული ფართი, საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მოსარჩელის სახელზე. მეორე ოთახი კი, დაისაკუთრა ამხანაგობამ. ამ ფართის მოსარჩელის სახელზე დაკანონება და ლეგალიზაცია შეუძლებელია, რადგან იგი ამხანაგობას არ აუშენებია და არასდროს არ უსარგებლია. ამასთან, აღნიშნულ ფართს მოსარჩელეს ვერც მოპასუხე ვერ გადასცემდა, ვინაიდან იგი არ წარმოადგენდა მის საკუთრებას.

არასწორია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ კასატორმა მოსარჩელეს მოტყუებით, ორი ოთახის ნაცვლად, მიჰყიდა ერთი ოთახი ორის ფასად, რის გამოც დაეკისრა ფასთა სხვაობა ზიანთან ერთად. ნასყიდობის ხელშეკრულება კანონიერ ძალაშია და სადავო არ არის. ამასთან, დადასტურებულია, რომ მოსარჩელემ უძრავი ქონების 1/3 საკუთრების უფლების შეძენის მიზნით გადაიხადა 40000 აშშ დო-

ლარი და იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. შესაბამისად, არ არსებობდა მისთვის რაიმე სახის ფულადი თანხის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი. ასევე, კასატორმა მიუთითა, რომ მოსარჩელეს არც ერთი უძრავი ნივთის შესაძენად თანხა არ გადაუხდია, არამედ მოხდა ვალის უძრავი ქონებით გასტუმრება.

სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად არ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 183-ე, 312-ე მუხლებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძველები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რ. ხ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ, დავის გადწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

2011 წლის 7 ივლისის სანოტარო წესით შედგენილი ვალის აღიარების ხელშეკრულებით რ. ხ-მა აღიარა, რომ მას ნ. გ-ის ვალი აქვს 31 000 აშშ დოლარი. ვალი უნდა დაიფაროს 2011 წლის 7 სექტემბრამდე. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია აღნიშნული ხელშეკრულების იძულებით ან მუქარით დადების თაობაზე.

რ. ხ-მა მოსარჩელეს 2011 წლის 7 სექტემბრამდე არ გადაუხადა ვალის აღიარების შესახებ ხელშეკრულებაში მითითებული თანხა.

მხარეები შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ მოპასუხე მოსარჩელეს გადასცემდა სამ ქონებას, რომელთა საერთო ღირებულება იქნებოდა დაახლოებით 100 000 დოლარი. სანაცვლოდ მოსარჩელე გადაუხდოდა მოპასუხეს გადასახდელ ვალებს, ჯამში 34 900 აშშ დოლარს (ც.ს-ის ვალი 12 400 + შპს „გ-ის“ ვალი 22500) და 616.4 ლარს (საგადასახადო ვალი). გარდა აღნიშნულისა, მოსარჩელე მოპასუხეს გადახდილად ჩაუთვლიდა 31 000

აშშ დოლარს. ამით მხარეები ურთიერთვალდებულებას შესრულებულად მიიჩნევდნენ.

2011 წლის 15 ნოემბერს რ. ხ-სა და მოსარჩელეს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელე გახდა ორი უძრავი ქონების მესაკუთრე: ა) ქ.ქუთაისში, ჭ-ის გამზირ №39-ში, ბინა 2-ის (ქონება იპოთეკით იყო დატვირთული მესამე პირის სასარგებლოდ, ასევე რეგისტრირებული იყო საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა. ქონების ღირებულებად მხარეებმა განსაზღვრეს 30 000 აშშ დოლარი); ბ) ქ.ქუთაისში, ფ-ის ქ. №31/ბასკეთის №1/ლ-ის ქ. №5-ში, 1/3 წილის (ქონების ღირებულებად მხარეებმა დაადგინდეს 40 000 აშშ დოლარი).

ნასყიდობის მომენტიდან მოსარჩელეს მოპასუხისათვის თანხა არ გადაუხდია. ქონების ღირებულების სანაცვლოდ, მოპასუხეს მოსარჩელის წინაშე გადახდილად ჩაეთვალა 31 000 აშშ დოლარი.

კანონიერ ძალაში შესული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით ინდ. მენარმე რ. ხ-ს შპს „გ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 30 726 ლარის გადახდა. მასვე დაეკისრა სახ. ბაჟის სახით გადახდილი 111.78 ლარი-სა და საადვოკატო ხარჯების ანაზღაურება 300 ლარის ოდენობით.

რ. ხ-ს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება პირადად არ აღუსრულებია. მის ნაცვლად სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა სააღსრულებო ხარჯებითურთ 22500 აშშ დოლარის ოდენობით გადაიხდა მოსარჩელემ.

რ. ხ-ს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე 12 400 აშშ დოლარი ჰქონდა გადასაცემი ც. ს-ის. დასახელებული თანხა ც. ს-ეს გადასცა ნ. გ-მა 2011 წლის 30 დეკემბერს. შესაბამისად, ც. ს-ემ უარი თქვა უძრავ ქონებაზე იპოთეკის უფლებაზე და ქ.ქუთაისში, ჭ-ის გამზ. №39-ში მდენარე №2 ბინა გათავისუფლდა იპოთეკისაგან.

ქ.ქუთაისში, ჭ-ის გამზირი №39-ში, ბინა 2-ზე რეგისტრირებული იყო საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა. ინდ. მენარმე რ. ხ-ს გააჩნდა საგადასახადო ვალდებულება 616.4 ლარის ოდენობით. დასახელებული ვალდებულება შეასრულა ნ. გ-მა.

სააპელაციო სასამართლო ერთ შემთხვევაში ადგენს, რომ 2011 წლის 15 ნოემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელე გახდა ქ.ქუთაისში, ფ-ის ქ. №31-ში მდებარე საერთო საკუთრების 78.96 კვ.მ ფართის 1/3

წლის მესაკუთრე (იხ. ფაქტობრივი დასაბუთება, პუნქტი 4.8.), ხოლო მეორე შემთხვევაში აღნიშნავს, რომ მითითებულ მისამართზე მდებარე უძრავი ქონება შედგება ორი ოთახისაგან, თითოეული ოთახის ფართია 18.22 კვ.მ., აქედან ერთი ოთახი რეგისტრირებულია, ხოლო მეორე არარეგისტრირებულია (სჭირდება ლეგალიზება). მოპასუხემ არარეგისტრირებული ფართის საკუთრება მოსარჩელეს არ გადასცა და, შესაბამისად, თანახმა არ არის ლეგალიზების თუ სხვა გზით დაირეგისტრიროს იგი მოსარჩელემ (იხ. სამართლებრივი დასაბუთება, პუნქტი 4.47.). სასამართლოს დასკვნით, ნასყიდობის ფასი 40 000 აშშ დოლარი მხარეებმა განსაზღვრეს ორი ოთახისათვის, ფაქტობრივად კი მოსარჩელეს გადაეცა ერთი ოთახი, აქედან გამომდინარე, მოპასუხემ მოსარჩელეს გადასცა არა 40 000 აშშ დოლარის ღირებულების, არამედ 20 000 აშშ დოლარის ღირებულების ქონება.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოპასუხემ სრულად არ შეასრულა ვალდებულება, რაც გამოიხატა იმაში, რომ მოსარჩელეს არ გადასცა საკუთრების უფლება მესამე ქონებაზე, ქ.ქუთაისში, ფ-ის ქ. №31/ბ-ის №1/ლ-ის ქ. №5-ში 36.06 კვ.მ ფართზე. ვალდებულების დარღვევის ვადად სასამართლომ მიიჩნია 2011 წლის 21 ნოემბერი, როდესაც მოსარჩელეს უარი ეთქვა ქონების რეგისტრაციაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის არსებობის გამო. შესაბამისად, მხარეთა შორის ურთიერთმოთხოვნა სრულად არ გაქვითულა, ხოლო მოპასუხეს მოსარჩელისთვის არ გადაუცია დარჩენილი სხვაობა – 15900 აშშ დოლარი და 616.4 ლარი, რასაც მოსარჩელე გამოიყენებდა საკუთარი შეხედულებით და მიიღებდა შემოსავალს თვეში 3%-ის ოდენობით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელემ აიძულა იგი ელიარებინა ვალი, იმ მოტივით, რომ მას ჰქონდა ქონებები. როგორც საქმის მასალების ანალიზიდან ირკვევა, მოსარჩელე სარჩელის დაკმაყოფილების მთავარ ფაქტობრივ საფუძვლად უთითებს 2011 წლის 7 ივლისს ვალის აღიარების ხელშეკრულების დადებაზე, რომლითაც რ. ხ-მა აღიარა ვალი ნ. გ-ის წინაშე 31000 აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც უნდა გადაეხადა 2011 წლის 7 სექტემბრამდე. მოპასუხემ სარჩელთან დაკავშირებით წარადგინა სამართლებრივი (სასარჩელო მოთხოვნის შემაფერხებელი) შესაგებელი (გარიგების დადების მიზნით პირის იძულება). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპიდან, ასევე მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მოპასუხეს ევა-

ლებოდა როგორც სამოქალაქო კოდექსის 85-87-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმის ფაქტობრივი ელემენტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არ გაიზიარეს მოპასუხის მოსაზრება იძულების თაობაზე, კასატორს კი ამ კუთხით დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია. იგივე უნდა ითქვას 2011 წლის 15 ნოემბერს რ. ხ-სა და ნ. გ-ს შორის გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებებზე.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ მოპასუხე მოსარჩელეს საკუთრების უფლებას ვერ გადასცემდა იმ ფართზე, რაც მის სახელზე არ იყო რეგისტრირებული. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, რომელიც დადებულია უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ.ქუთაისი, ფ-ის ქ. №31/ბ-ის №1/ლ-ის ქ. №5. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს არა ორი ოთახი (თითოეულის ფართი 18.22 კვ.მ.), როგორც ეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, არამედ შენობა-ნაგებობის (ფართი 78.96 კვ.მ; საზაფხულო ფართი 22.80 კვ.მ) 1/3 წილი. ამავე სახითაა მოსარჩელის საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში აღრიცხული. იმავე ხელშეკრულებით განსაზღვრეს მხარეებმა ნასყიდობის ფასი, როგორც უძრავი ქონების წილის, და არა როგორც ოთახების ღირებულება. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს გადასცა ნაკლიანი ნივთი (ორი ოთახის ნაცვლად ერთი ოთახი) და ამის პროპორციულად უნდა შემცირდეს ნასყიდობის ფასი არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ მოცემული დავის საგანი არ არის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულების შესრულება, შესაბამისად, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, შეემოწმებინა გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემის საკითხი. ასეც რომ არ იყოს, დამაჯერებლობასაა მოკლებული მოსარჩელის ის განმარტება, რომლის მიხედვითაც გაუგებარი იყო რეალურად რა ფართი ეკუთვნოდა გამყიდველს. მოსარჩელის ამ პოზიციას აქარწყლებს სამოქალაქო კოდექსით აღიარებული საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ასევე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებათა ხელმისაწვდომობის გარანტია. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქ.ქუთაისში, ფ-ის ქ. №31/ბ-ის №1/ლ-ის ქ. №5-ში მდებარე უძრავი ქონების ღირებულებასთან მიმართებაში, კასატორმა წარმოადგინა დასაბუ-

თებული და დასაშვები პრეტენზია.

რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას, რომელიც გამოთქმულია ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ურთიერთობასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელი ეფუძნება ვალის აღიარების ხელშეკრულებას, ასევე მხარეთა შეთანხმებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად სხვა შესრულების მიღების შესახებ. ამდენად იმის დადგენა, თუ რა ურთიერთობა არსებობდა ვალის აღიარებამდე უშუალოდ მხარეებს ან მათი ოჯახების სხვა წევრებს შორის, მოცემული დავის გადანყვეტისათვის არ არის მნიშვნელოვანი და არ შეიძლება მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებად განვიხილოთ. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის შუამდგომლობა მოწმის სახით ნ. ხ-ის დაკითხვის თაობაზე მართებულიად არ დაკმაყოფილდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადანყვეტის გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. კასატორის განმარტებით იგი ასაჩივრებს ყველა საოქმო განჩინებას, რომლითაც უარი ითქვა შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკასაციო პალატა მოწმის სახით ნ. ხ-ის დაკითხვის შუამდგომლობაზე სასამართლოს უარს საფუძვლიანად მიიჩნევს, რაც შეეხება სხვა სახის შუამდგომლობებს, კასატორს არ დაუკონკრეტებია რომელ საოქმო განჩინებებს ასაჩივრებს, ან რაში მდგომარეობს მათი უსწორობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად არ დაადგინა დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რასაც წინ უძღოდა მტკიცებულებათა

არასწორი შეფასება.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, საქმის ხელახლა განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დასასაბუთებლად წარდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივი შეფასების, ასევე მოპასუხის შესაგებლის გათვალისწინებით, უნდა დაადგინოს მოსარჩელის საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონებების საერთო ფასი ნასყიდობის ხელშეკრულებებში მითითებული ღირებულების შესაბამისად და მხოლოდ ამის შემდეგ განსაზღვროს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ფაქტობრივი მოცემულობა. ამასთან, მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის, როგორც მეორადი მოთხოვნის დაკმაყოფილება იმაზე იქნება დამოკიდებული, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შედეგად დარჩა თუ არა მოპასუხეს რაიმე ვალდებულება შესასრულებელი და სახეზეა თუ არა ამ ვალდებულების დარღვევა (შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. რ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცების ტვირთი
მტკიცებულებათა შეფასება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ას-880-838-2013

9 ივნისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: შეთანხმების ბათილად ცნობა, თანხის და-
კისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ინდივიდუალურმა მენარმე რ. ბ-მა და შპს „ვ-მა“ სარჩელი აღძრეს სასამართლოში შპს „ა. კ. ჯ-ას“ მიმართ და მოითხოვეს ინდივიდუალურ მენარმე „რ. ბ-სა“ და შპს „ა. კ. ჯ-ას“ შორის 2011 წლის 20 იანვარს დადებული შეთანხმების ბათილად ცნობა, მო-
პასუხისათვის ინდივიდუალურ მენარმე „რ. ბ-ის“ სასარგებლოდ 36 540,34 ლარის, ხოლო შპს „ვ-ის“ სასარგებლოდ 20 145,87 ლა-
რის გადახდის დაკისრება, ასევე შპს „ვ-სა“ და შპს „ა. კ. ჯ-ას“ შორის 2011 წლის 20 იანვარს დადებული შეთანხმების ბათი-
ლად ცნობა შემდეგი საფუძვლებით:

2010 წლის 10 დეკემბრისათვის რ. ბ-ს დაეკისრა საგადასა-
ხადო ვალდებულების შესრულება 71 923 ლარის ოდენობით, ხო-
ლო შპს „ვ-ს“ – 36 030 ლარის ოდენობით.

2011 წლის 20 იანვრის შეთანხმებით, შპს „ა. კ. ჯ-ამ“ გამოხა-
ტა მზადყოფნა, ინდივიდუალური მენარმე რ. ბ-სთვის 73 080,68
ლარის ოდენობით დავალიანებიდან გადაეხადა 36540,34 ლარი,
ხოლო დავალიანების დარჩენილ ნაწილზე რ. ბ-მა უარი განაც-
ხადა. ამავე დღეს შპს „ვ-თან“ გაფორმებული შეთანხმებით შპს
„ა. კ. ჯ-ამ“ გამოხატა მზადყოფნა, შპს „ვ-სათვის“ 40 291,74 ლა-
რის ოდენობით დავალიანებიდან გადაეხადა 20 145,87 ლარი,
ხოლო დავალიანების დარჩენილი ნაწილის მოთხოვნაზე შპს „ვ-
მ“ უარი განაცხადა.

შპს „ა. კ. ჯ-ამ“ შეიტყო რა მოსარჩელეთა მძიმე მდგომარეო-
ბის შესახებ, საგადასახადო ვალდებულების შესასრულებლად

საჭირო თანხის მიღებასთან დაკავშირებით შპს „ვ-სა“ და რ. ბ-ს შესთავაზა, უარი ეთქვათ მის მიმართ არსებული დავალიანების ნახევარზე, რის სანაცვლოდაც დროულად გადაუხდიდა აღნიშნული დავალიანების დარჩენილ ნაწილს. ამდენად, 2011 წლის 20 იანვრის შეთანხმებები გაფორმდა მოპასუხის მხრიდან მოსარჩელეთა მიძიმე მდგომარეობით სარგებლობის შედეგად, რის გამოც ისინი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

შპს „ა. კ. ჯ-ამ“ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ მხარეებმა თანასწორობისა და ნების თავისუფლების პირობებში არსებული კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, გააფორმეს სადავო გარიგებები და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით ინდივიდუალური მენარმე რ. ბ-ისა და შპს „ვ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი შპს „ვ-ისა“ და შპს „ა. კ. ჯ-ას“ შორის 2011 წლის 20 იანვარს დადებული ხელშეკრულება და შპს „ა. კ. ჯ-ას“ შპს „ვ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 20 145,87 ლარის გადახდა, ასევე ბათილად იქნა ცნობილი ინდივიდუალური მენარმე „რ. ბ-სა“ და შპს „ა. კ. ჯ-ას“ შორის 2011 წლის 20 იანვარს დადებული ხელშეკრულება და შპს „ა. კ. ჯ-ას“ ინდივიდუალური მენარმე „რ. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 36540,34 ლარის გადახდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ა. კ. ჯ-ამ“ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 ივლისის განჩინებით შპს „ა. კ. ჯ-ას“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივ დასაბუთებას და დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები:

2010 წლის 10 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა შპს „ვ-ს“ ნარუდგინა საგადასახადო მოთხოვნა 31 642 ლარის ოდენობით, ხოლო ინდივიდუალური მენარმე რ. ბ-ს – 71 923 ლარის ოდენობით. მოსარჩელეებმა მიმართეს შპს „ა. კ. ჯ-ას“ და მოსთხოვეს მათ მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულება.

2011 წლის 20 იანვარს შპს „ვ-ისა“ და შპს „ა. კ. ჯ-ას“ შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის საფუძველზე შპს „ა. კ. ჯ-ამ“

ალიარა შპს „ვ-ის“ მიმართ 2011 წლის 17 იანვრისათვის არსებულ დავალიანება – 40 291,74 ლარი, საიდანაც იკისრა 20145,74 ლარის გადახდა. ამავე შეთანხმებით, შპს „ვ-მა“ უარი განაცხადა დავალიანების დარჩენილი ნაწილის – 20 145,87 ლარის მოთხოვნის უფლებაზე.

2011 წლის 20 იანვარს ინდივიდუალურ მენარმე რ. ბ-სა და შპს „ა. კ. ჯ-ას“ შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის საფუძველზე შპს „ა. კ. ჯ-ამ“ ალიარა მოსარჩელის მიმართ 2011 წლის 17 იანვრისათვის არსებული დავალიანება 73 080,68 ლარის ოდენობით და იკისრა 36 540,34 ლარის გადახდა. ამავე შეთანხმებით, ინდივიდუალურ მენარმე რ. ბ-მა უარი განაცხადა დავალიანების დარჩენილი ნაწილის – 36 540,34 ლარის მოთხოვნის უფლებაზე.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა შპს „ა. კ. ჯ-ას“ პრეტენზია სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებით დაცვის ვადა, ამასთან, ხანდაზმულობის ვადის გასვლა კი არ აქარწყლებს მოთხოვნას, არამედ მოთხოვნას განუხორციელებლად აქცევს. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით, სასამართლო ხანდაზმულობის საკითხის გამოკვლევა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სადავოდ ხდის მხარე. გარდა ამისა, სასარჩელო ხანდაზმულობის შედეგი პროცესუალური ხასიათის უფროა, ვიდრე მატერიალური, რადგან ხანდაზმულობა არის სარჩელისაგან თავის დაცვის ერთ-ერთი ფორმა და თავისთავად მოთხოვნის გაქარწყლებას არ იწვევს. სასარჩელო ხანდაზმულობის შესახებ კანონმდებლობა ადგენს საშუალებას და არა უფლებას, ამასთან, ხანდაზმულობას არ აქვს ეფექტი მხარის მითითების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხანდაზმულობა განიხილება, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოება. მხარე კი საპროცესო კანონმდებლობით შეზღუდულია მიუთითოს, ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების შესახებ ზემდგომ ინსტანციებში.

ამდენად მიჩნეულია, რომ ხანდაზმულობის საკითხის დაყენება შესაძლებელია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში. მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ მითითება პირველად სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციაში ისევე დაუშვებელია, როგორც ახალ ფაქტებსა და გარემოებებზე მითითება. სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, შპს „ვისა“ და ინდივიდუალურ მენარმე რ. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი მოპასუხე შპს „ა. კ. ჯ-ამ“ სადავოდ პირველად სააპელაციო საჩივრით გახადა. ასეც რომ არ ყო-

ფილიყო, არ არსებობს სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევის საფუძველი. სასამართლოს განმარტებით, სადავო გარიგებების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის სადავო შეთანხმებების დადების დროისთვის არსებული რედაქცია, რომელიც ხანდაზმულობის ერთწლიან ვადას არ ითვალისწინებდა და მასზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სახელშეკრულებო მოთხოვნათა სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

სადავო გარიგებების ნამდვილობის შეფასების მიზნით სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა მათი დადებისას მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლით და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეთა მხრიდან 2011 წლის 20 იანვარს მოპასუხესთან დადებულ კაბალურ გარიგებაზე დათანხმება განპირობებული იყო იმ მიმე მდგომარეობის ზეგავლენით, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ, ერთის მხრივ, მოსარჩელე შპს „ა. კ. ჯ-ას“ მხრიდან დრომოსული ვალდებულების შეუსრულებლობით და, მეორე მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე არსებული დაუყოვნებლივ შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულების გამო. შპს „ა. კ. ჯ-ია“ ინფორმირებული იყო მისი კრედიტორების ვალდებულების თაობაზე, შეგნებულად ისარგებლა ამ გარემოებით და 2011 წლის 20 იანვრის შეთანხმებით შეამცირა მათ მიმართ არსებული ვალდებულებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლო დაეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ ამგვარი ვითარება მიჩნეულ უნდა იქნეს 2011 წლის 20 იანვრისათვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მიმე მდგომარეობად, რაც 2011 წლის 20 იანვრის შეთანხმებების ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება, რომ რამდენადაც გარიგებების დადების შეთავაზება მოსარჩელეების ინიციატივით განხორციელდა, სადავო ხელშეკრულებები არ შეიძლება ჩაითვალოს იძულებით დადებულად. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებული გარემოება შპს „ვ-სა“ და ინდივიდუალურ მენარმე რ. ბ-ს არ დაუდასტურებიათ და მათ, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ასევე საქმის სააპელაციო სასამართლოში ზეპირი განხილვისას სანინა-აღმდეგო პოზიცია გამოხატეს. საქმეში არ მოიპოვება იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება (ოფერტი) შეთავაზებულ იქნა მოსარ-

ჩელეების მიერ. ამდენად, აპელანტის შესაბამისი პრეტენზია მიჩნეულ იქნა უსაფუძვლოდ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს „ა. კ. ჯ-ამ“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება ან საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა კანონი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით.

ხანდაზმულობაზე პრეტენზია შეიძლება წარდგენილ იქნეს საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, ვინაიდან მისი განსაზღვრა ფაქტების სამართლებრივი შეფასების შედეგია. ამასთან, არასწორია არსებულ მოთხოვნაზე 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადის გავრცელება, ვინაიდან დავის საგანია საცილოდ ბათილი გარიგება, რაზედაც პრეტენზია წარდგენილ უნდა ყოფილიყო კანონით განსაზღვრულ შეცდომების ვადებში (79-ე, 84-ე და 89-ე მუხლები);

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის იმ რედაქციით, რომელიც კანონმდებელმა დრომოჭმულად ჩათვალა. სასამართლომ ბათილად ცნო თავისუფალი ნების გამოვლენის პირობებში კომერციული ინტერესით დადებული გარიგება, რომლის დადებაც არ იყო განპირობებული აუცილებლობით და მხარეებს ჰქონდათ სხვა გზები თანხების მოსაძიებლად.

შპს „ა. კ. ჯ-ასათვის“ არ იყო ცნობილი მოსარჩევეების მძიმე მდგომარეობის შესახებ, შესაბამისად, იგი ვერ ისარგებლებდა ამ გარემოებით.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სადავო შეთანხმებები სრულად არის ცნობილი ბათილად, მათ შორის ვალდებულების აღიარების ნაწილშიც. მიუხედავად ამისა, მოპასუხეს დაეკისრა თანხის სრულად გადახდა ისე, რომ არ ყოფილა გამოკვლეული დავალიანების რეალური ოდენობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ა. კ. ჯ-ას“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ, დავის გადაწყვეტისათვის არ-

სებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

2010 წლის 10 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ შპს „ვ-ის“ წარედგინა საგადასახადო მოთხოვნა 31 642 ლარის ოდენობით.

2010 წლის 10 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ ი/მ რ. ბ-ს წარედგინა საგადასახადო მოთხოვნა 71 923 ლარის ოდენობით.

მოსარჩელებმა მიმართეს შპს „ა. კ. ჯ-ას“ და მოითხოვეს მათ მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულება.

2011 წლის 20 იანვარს შპს „ვ-ის“ და შპს „ა. კ. ჯ-ას“ შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის საფუძველზე შპს „ა. კ. ჯ-ამ“ აღიარა მოსარჩელის მიმართ 2011 წლის 17 იანვრისათვის არსებული დავალიანება 40 291,74 ლარის ოდენობით და იკისრა ვალდებულება გადაეხადა მისთვის 20 145,87 ლარი. ამავე შეთანხმებით, შპს „ვ-იმ“ უარი განაცხადა დავალიანების დარჩენილი ნაწილის – 20 145,87 ლარის მოთხოვნის უფლებაზე.

2011 წლის 20 იანვარს ი/მ რ. ბ-სა და შპს „ა. კ. ჯ-ას“ შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის საფუძველზე შპს „ა. კ. ჯ-ამ“ აღიარა მოსარჩელის მიმართ 2011 წლის 17 იანვრისათვის არსებული დავალიანება 73 080,68 ლარის ოდენობით და იკისრა ვალდებულება გადაეხადა მისთვის 36 540,34 ლარი. ამავე შეთანხმებით, ი/მ რ. ბ-მა უარი განაცხადა დავალიანების დარჩენილი ნაწილის – 36 540,34 ლარის მოთხოვნის უფლებაზე.

მოსარჩელეთა მხრიდან 2011 წლის 20 იანვარს მოპასუხესთან დადებულ კაბალურ გარიგებაზე დათანხმება განპირობებული იყო იმ მძიმე მდგომარეობის ზეგავლენით, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ ერთის მხრივ, მოსარჩელე შპს „ა. კ. ჯ-ას“ მხრიდან დრომოსული ვალდებულების შეუსრულებლობით და მეორეს მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე არსებული დაუყოვნებლივ შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულების გამო. თავის მხრივ, შპს „ა. კ. ჯ-ია“ ინფორმირებული იყო რა მისი კრედიტორების ვალდებულებების თაობაზე, შეგნებულად ისარგებლა ამ გარემოებით და 2011 წლის 20 იანვრის შეთანხმებებით, შეამცირა მათ მიმართ არსებული ვალდებულებები.

საკასაციო პალატა საკასაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიების საფუძველიანობის შემოწმების მიზნით, ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე საკითხზე:

უპირველეს ყოვლისა საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სადავო გარიგებების კანონიერების შემოწმებისას მართებულად გამოიყენა გარიგების დადების დროისათვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლი, ვინაი-

დან მოცემული დაფა ეხება მხარეებს შორის 2011 წლის 20 იანვარს, გარიგების დადების მიზნით, მხარეთა შორის გამოვლენილი ნების ნამდვილობას და არა გარიგების შემდგომ განვითარებულ ურთიერთობებს, როგორცაა მაგალითად ვალდებულების შესრულება და ა.შ.

საკასაციო პალატა კასატორის ვერც იმ პოზიციას გაიზიარებს, რომლის თანახმადაც, ნორმის გამოყენებას გამორიცხავს 2012 წლის 8 მაისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც ახლებურად ჩამოყალიბდა 55-ე მუხლი. პალატის დასკვნა ამ შემთხვევაში ემყარება სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის რეგულაციას, რომლითაც დადგენილია, რომ ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. შესაბამისად, ის გარემოება, რომ ახალი ნორმა აღარ ითვალისწინებს გარიგების ბათილობას იმ შემთხვევისათვის, როდესაც გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის ამკარა შეუსაბამობაა და გარიგება დაიდო მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდელია, ვერ იქნება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში დამკვიდრებული შეჯიბრებითობის პრინციპი, პირველ რიგში გულისხმობს მხარეთა მიერ ფაქტების მითითების სრულ ავტონომიას, რაც შეეხება მათ დამტკიცებას, ეს ის ეტაპია, როდესაც მხარემ მიუთითა სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად არსებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის ყველა ელემენტის შესახებ და საქმე მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების არსებობა-არარსებობის დადგენას ეხება, რასთანაც ორგანულადაა დაკავშირებული მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილების ურთულესი ამოცანის გადაწყვეტა. ზოგადი წესის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსსკ 102.1 მუხლი).

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს ეკისრებოდა როგორც ფაქტების მითითების, ისე მათი დამტკიცების ტვირთი. კერძოდ, მოსარჩელეს უნდა მიეთითებინა და დაემტკიცებინა, რომ: გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის ამკარა შე-

უსაბამოა; მოსარჩელე იმყოფებოდა მძიმე მდგომარეობაში; გარიგების მეორე მხარემ ისარგებლა მოსარჩელის მძიმე მდგომარეობით (გარიგების მხარეს შესთავაზა აშკარად არასამართლიანი პირობები); მოსარჩელის მძიმე მდგომარეობა გახდა გარიგების დადების მიზეზი, რაც ჩვეულებრივ შემთხვევაში არ დაიდებოდა.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნები საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით არ ემყარება სათანადო მტკიცებულებებს. კერძოდ, საქმეში, გარდა მოსარჩელე მხარის ახსნა-განმარტებისა, წარმოდგენილი არ არის სხვა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ის ფაქტობრივი მოცემულობა, რომ მოპასუხემ ისარგებლა მოსარჩელის მძიმე მდგომარეობით, ან მოსარჩელის მძიმე მდგომარეობა გახდა გარიგების დადების მიზეზი. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელე მხარის მიერ მიცემული ახსნა-განმარტების თანახმად (იხ.სხდომის ოქმი 12.03.2013წ., 12:19:06 სთ.), მათ მიმართეს მოპასუხე კომპანიის დირექტორს ვადამოსული დავალიანების გადახდის მოთხოვნით, რაზეც დირექტორმა განუცხადა, რომ გადაიხდიდა დავალიანების 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელ თანხას ვერ დაფარავდა. იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ სადავო გარიგებების დადასტურების პერიოდში თვით მოპასუხესაც ჰქონდა ფინანსური პრობლემები, წარდგენილ იქნა შესაგებელთან ერთად და მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია. ამდენად, მოსარჩელეს, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები უნდა დამტკიცებინა სათანადო მტკიცებულებებით, რაც სრულ შესაბამისობაშია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებთან (საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით), რაც არ იქნა შესრულებული მის მიერ.

სრულიად მართებულია კასატორის პრეტენზია, რომლის თანახმადაც, სადავო გარიგებების მთლიანად, და არა ნაწილობრივ ბათილად ცნობის პირობებში, სასამართლოს უნდა დაედგინა მოპასუხის მიერ შესასრულებელი ვალდებულების ოდენობა და ისე მიეღო გადანწყვეტილება, რაც არ იქნა განხორციელებული. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილი სადავო გარიგებების შინაარსს, საიდანაც ირკვევა, რომ ერთის მხრივ შპს „ა. კ. ჯ-ამ“ მოსარჩელეთა წინაშე აღიარა დავალიანების არსებობა, კერძოდ, ი/მ რ. ბ-ის წინაშე 73

080,68 ლარის ოდენობით, ხოლო შპს „ვ-ის“ წინაშე 40 291,74 ლარის ოდენობით, საიდანაც შპს „ა. კ. ჯ-ამ“ იკისრა მითითებული თანხების ნაწილის (ნახევრის) გადახდის ვალდებულება. მეორეს მხრივ ი/მ რ. ბ-მა და შპს „ვ-იმ“ უარი განაცხადეს დავალიანების დარჩენილი ნაწილის მოთხოვნის უფლებაზე. მხარეთა შორის დავას არ ინვეს იმ ფაქტის არსებობა, რომ შპს „ა. კ. ჯ-ამ“ შეასრულა 2011 წლის 20 იანვრის შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულება, ამდენად მოსარჩელის იურიდიული ინტერესი შეიძლება იყოს გარიგების იმ ნაწილის ბათილად ცნობა, რომლითაც მოსარჩელემ უარი თქვა მოთხოვნაზე, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოსარჩელის მხრიდან მოთხოვნაზე უარის თქმა განაპირობა მძიმე მდგომარეობამ, რომლითაც ისარგებლა მოპასუხემ და მხარეს თავს მოახვია მისთვის არახელსაყრელი გარიგების პირობები, საქმეში წარმოდგენილი არ არის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შპს „ა. კ. ჯ-ამ“ სასამართლოს წარმოუდგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ გადაწყვიტოს დავა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვე-

ტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხემ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 2267,44 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე 2834,30 ლარი. შესაბამისად, ი/მ რ. ბ-ს და შპს „ვ-ს“ შპს „ა. კ. ჯ-ას“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ ამ უკანასკნელის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა თითოეულის სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ა. კ. ჯ-ას“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. შპს „ვ-ის“ და ი/მ რ. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდეს.
4. შპს „ვ-ი“-ს შპს „ა. კ. ჯ-ა“-ს სასარგებლოდ დაეკისროს 1836,62 ლარის გადახდა.
5. ი/მ რ. ბ-ს შპს „ა. კ. ჯ-ა“-ს სასარგებლოდ დაეკისროს 3265,11 ლარის გადახდა.
6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცების ტვირთი
მტკიცებულებათა შეფასება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო

№ას-243-228-2014

26 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

ი. მ-მ, დ. შ-მ, რ. ჭ-მა, ი. ჩ-მა, რ. გ-მ, ლ. ხ-მ და ც. მ-ე სარჩელი აღძრეს სასამართლოში შპს „... კლინიკის“ და მისი დირექტორის – დ. ხ-ს მიმართ ქმედების განხორციელების დავალდებულების მოთხოვნით.

სარჩელის მიხედვით, შპს „... კლინიკის“ 39% წილის მფლობელი პარტნიორები მოსარჩელები არიან. საზოგადოების 2013 წლის 8 და 10 აპრილს ჩატარებულ პარტნიორთა კრებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება 2012 წლის დივიდენდის განაწილების თაობაზე, თუმცა მისი ნაწილი პარტნიორებს იმ მოტივით არ ჩარიცხვიათ, რომ გასანაწილებელი თანხა საზოგადოებას სადაზღვევო კომპანიებიდან უნდა მიეღო. საზოგადოების დირექტორის 2013 წლის 26 ივლისის წერილით მოსარჩელები-სათვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული თანხები შპს „... კლინიკას“ უკვე ჰქონდა მიღებული, მაგრამ დირექტორი დ. ხ-ე უკვე ერთი წელი იყო, რაც მათ კუთვნილ დივიდენდებს პარტნიორებს იმ მოტივით არ ურიცხავდა, რომ აღნიშნულის თაობაზე პარტნიორთა კრებას უნდა ემსჯელა.

მოსარჩელების განმარტებით, მათ დამოუკიდებელი აუდიტორის მეშვეობით შეამოწმეს საზოგადოების დირექტორის მიერ წარმოდგენილი 2012 წლის ანგარიშის სისწორე, რომლის შედეგად არაერთი არსებითი ხასიათის შეცდომა დაფიქსირდა. დადგინდა, რომ აღნიშნული შეცდომების შედეგად პარტნიორებმა მიიღეს 54637 ლარით ნაკლები დივიდენდი. სწორედ აღნიშნული თანხის 39%-ი – 21308 ლარი უნდა ჩაერიცხა საზოგა-

დოების დირექტორს მათთვის და, ვინაიდან ამ მოვალეობას უკანონოდ არ ასრულებდა იძულებულნი გახდნენ ქმედების განხორციელების დავალდებულების მოთხოვნით სასამართლო-სათვის მიემართათ.

მოსარჩელები ასევე ითხოვენ წარმომადგენლის და წლიური ანგარიშის შემონმებაში აუდიტორისათვის გადახდილი თანხის – 4000 ლარის საზოგადოებისათვის დაკისრებას.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და შესაგებელში მიუთითეს, რომ დივიდენდის განაწილების შესახებ გადაწყვეტილება მართლაც იყო მიღებული, თუმცა მასში გათვალისწინებული არ იყო ის დრო, ამ დივიდენდების განაწილება როდის უნდა მომხდარიყო. მოპასუხეების განმარტებით სასარჩელო განცხადებაში მითითებული დივიდენდები დღეის მდგომარეობით გადახდილია.

მოპასუხეებმა შესაგებელში ასევე აღნიშნეს, რომ მოსარჩელებმა მონვეული სპეციალისტის მეშვეობით საზოგადოების ანგარიშების, ჩანაწერების და დოკუმენტაციის შემონმებასთან დაკავშირებით თავიანთი უფლება გამოიყენეს და ამ უფლების განხორციელებისათვის განუული ხარჯების ანაზღაურება არ შეიძლება მოპასუხეს დაეკისროს, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ არსებითი ხასიათის შეცდომები გამოვლენილი არ ყოფილა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ი. მ-ს, დ. შ-ს, რ. ქ-ს, ი. ჩ-ს, რ. გ-ს, ლ. ხ-ს და ც. მ-ს სარჩელი. დაევალა შპს „... კლინიკის“ დირექტორს – დ. ხ-ს მოსარჩელების კუთვნილ ანგარიშებზე 2012 წლის გასანაწილებელი დივიდენდების – 1065 ლარის ჩარიცხვა, საზოგადოებაში მათი კუთვნილი წილების პროპორციულად. შპს „ლ. ხ-ის სახელობის კლინიკას“ მოსარჩელების სასარგებლოდ დაევალა გადახდილი აუდიტის მომსახურების თანხის – 3000 ლარის და სახელმწიფო ბაჟის – 730 ლარის ანაზღაურება. ასევე, დ. ხ-ს დაევალა მოსარჩელეთა სასარგებლოდ ადვოკატის მომსახურების თანხის – 800 ლარის ანაზღაურება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „... კლინიკის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

მოსარჩელების – ი. მ-ს, დ. შ-ს, რ. ქ-ს, ი. ჩ-ს, რ. გ-ს, ლ. ხ-სა და ც. მ-ს სარჩელი – მისაღები დივიდენდის დარჩენილი თანხის – 1065 ლარის, წარმომადგენლისა და აუდიტორისათვის გადახ-

დილი თანხების მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნის თაობაზე არ დაკმაყოფილდა; დაეკისრა ი. მ-ს, დ. შ-ს, რ. ჭ-ს, ი. ჩ-ს, რ. გ-ს, ლ. ხ-სა და ც. მ-ს შპს „... კლინიკის“ სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის სანაცვლოდ 163 ლარი და ადვოკატის მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის სანაცვლოდ 160 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ი. მ-ე, დ. შ-ა, რ. ჭ-ი, ი. ჩ-ი, რ. გ-ე, ლ. ხ-ე და ც. მ-ე არიან შპს „... კლინიკის“ 39%-ის მფლობელი პარტნიორები.

შპს „... კლინიკის“ 2013 წლის 8 და 10 აპრილს ჩატარებულ პარტნიორთა კრებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება 2012 წლის დივიდენდების განაწილების თაობაზე.

2012 წლის დივიდენდის ნაწილი პარტნიორებს არ ჩაერიცხათ იმ მოტივით, რომ საზოგადოებას თანხები უნდა ჩარიცხო-და სადაზღვეო კომპანიებიდან.

2013 წლის 26 ივლისის, საზოგადოების დირექტორის წერილით მოსარჩელებისათვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული თანხები საზოგადოებამ მიიღო.

2013 წლის 11 სექტემბრის საგადასახადო დავალებებით დადგინდა, რომ შპს „... კლინიკამ“ პარტნიორებს ჩაურიცხა დარჩენილი დივიდენდები მათი წილების პროპორციულად, კერძოდ: ც. მ-ს ჩაურიცხა 1038,10 ლარი, ლ. ხ-ს 1038,10 ლარი, რ. გ-ს 2595,26 ლარი, ი. ჩ-ს 3 633,36 ლარი, რ. ჭ-ს 2 595,26 ლარი, დ. შ-ს 4152,41 ლარი და ი. მ-ს 5 190,52 ლარი.

მოსარჩელებს შპს „... კლინიკის“ მიერ, 2012 წლის დარჩენილი დივიდენდიდან – 21 308 ლარიდან არ ჩაერიცხათ 1065 ლარი პარტნიორების წილების პროპორციულად.

შპს „... კლინიკის“ პარტნიორების მოთხოვნით დამოუკიდებელი აუდიტორის ა. ჭ-ის მიერ მომზადებული იქნა აუდიტორული დასკვნა შპს „... კლინიკის“ 2012 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ.

2012 წლის 22 მაისის აუდიტორული დასკვნაში აღნიშნულია, რომ მიუხედავად ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული ნაკლოვანებებისა ბუღალტრული აღიჯხვა ანგარიშგება ძირითადად სრულად ასახავდა კლინიკის ფინანსურ მდგომარეობას.

შესაბამისად, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „... კლინიკის“ წლიურ ანგარიშში არსებითი შეცდომები არ იყო.

წარმომადგენლისა და აუდიტორის მეშვეობით წლიური ანგარიშის შემოწმებაში მოსარჩელებმა გადაიხადეს 4000 ლარი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა “მე-

წარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით უნდა მოწესრიგებულიყო.

სააპელაციო სასამართლო მიუთითა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად. წილი არის მიმოქცევადი უფლება.

ამავე კანონის 46-ე მუხლით პარტნიორთა უფლება-მოვალეობები და წილების თავდაპირველი განაწილების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით). დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ, გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად პარტნიორი არის ერთ – ერთი სამეწარმეო საზოგადოების წევრი (მონაწილე), რომელსაც აქვს საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები საზოგადოების მიმართ. პარტნიორის ვინაობა და მისი წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში უნდა განისაზღვროს საზოგადოების წესდებით.

საქმის მასალებით პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. მ-ე, დ. შ-ა, რ. ჭ-ი, ი. ჩ-ი, რ. გ-ე, ლ. ხ-ე და ც. მ-ე არიან შპს „... კლინიკის“ 39%-ის მფლობელი პარტნიორები.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს, შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით და საწარმოს ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მაგრამ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიშში არსებითი შეცდომაა, ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯები ეკისრება საწარმოს. კონტროლისა და შემოწმების ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ამ კანონით, გაფართოება კი შესაძლებელია წესდებით.

პალატამ დადგენილად ჩათვალა, რომ შპს „... კლინიკის“ პარტნიორების მოთხოვნით დამოუკიდებელი აუდიტორის ა. ჭ-ს მი-

ერ მომზადებული იქნა აუდიტორული დასკვნა შპს „... კლინიკის“ 2012 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ.

2012 წლის 22 მაისის აუდიტორული დასკვნაში აღნიშნულია, რომ მიუხედავად ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული ნაკლოვანებებისა, ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშგება ძირითადად სრულად ასახავდა კლინიკის ფინანსურ მდგომარეობას. რაც იმას ნიშნავდა, რომ შპს „... კლინიკის“ წლიურ ანგარიშში არსებითი ხასიათის შეცდომები დაშვებული არ ყოფილა. აღნიშნული გარემოება კი, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით საფუძველს აცლიდა მოსარჩელეთა მოთხოვნას – აუდიტისათვის გადახდილი თანხის სანარმოსათვის დაკისრების შესახებ. („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 ნაწილის მესამე წინადადება: თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიშში არსებითი შეცდომაა, ამ ანგარიშის შემონმების ხარჯები ეკისრება სანარმოს).

აღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით პალატამ მიიჩნია, რომ უსაფუძვლოს წარმოადგენდა მოსარჩელეთა მოთხოვნა შპს „... კლინიკისათვის“ აუდიტისათვის გადახდილი თანხის დაკისრების თაობაზე და ამ მოთხოვნას დაკმაყოფილებაზე მათ უარი ეთქვათ.

რაც შეეხება მოსარჩელეთა მოთხოვნას: დაევალოს შპს „... კლინიკის“ დირექტორს დარჩენილი მიუღებელი დივიდენდის – 1065 ლარის პატნიორებზე გაანაწილება – პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია და შემდეგი განმარტა:

დადგინდა, რომ გასანაწილებელი დივიდენდიდან – 21 308 ლარიდან შპს „... კლინიკამ“ პარტნიორებს მათი წილების პროპორციული დივიდენდები ჩაურიცხა, კერძოდ: ც. მ-ს 1038,10 ლარი, ლ. ხ-ს 1038,10 ლარი, რ. გ-ს 2595,26 ლარი, ი. ჩ-ს 3 633,36 ლარი, რ. ჭ-ს 2 595,26 ლარი, დ. შ-ს 4152,41 ლარი და ი. მ-ს 5 190,52 ლარი. გასაცემი დივიდენდს დააკლდა გასანაწილებლად 1065 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად: დივიდენდი არის – აქციონერის/მოწილის მიერ აქციებიდან ან უფლებებიდან (წილებიდან) მიღებული (მათ შორის, პრივილეგირებული აქციებიდან პროცენტის სახით მიღებული) ნებისმიერი შემოსავალი, რომელიც მიღება მოგების განაწილების შედეგად და რომელსაც იურიდიული პირი უნაწილებს აქციონერებს/მოწილებს, კაპიტალში მათი კუთვნილი აქციების/უფლებების პროპორციულად ან პროპორციის დაცვის გარეშე.

პალატამ განმარტა, რომ მონილე არის პირი, რომელიც ფლობს შესაბამის ნილებს იურიდიულ პირში. ნილი კი არის მიმოქცევადი უფლება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დივიდენდი მიეკუთვნება ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავალს და შესაბამისად წარმოადგენს საშემოსავლო ან მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს, იმის მიხედვით დივიდენდი გაიცემა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირზე. ამასთან დივიდენდის დაბეგვრა ხორციელდება გადახდის წყაროსთან ან მის გარეთ.

პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 130-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეზიდენტი სანარმოს მიერ ფიზიკური პირისთვის, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ან არარეზიდენტი სანარმოსთვის გადახდილი დივიდენდები იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 5-პროცენტითანი განაკვეთით.

დადგინდა, რომ 2012 წლის გასანაწილებელი დივიდენდიდან დარჩენილი იყო 21 308 ლარი პარტნიორებზე გასანაწილებლად, ხოლო ამ თანხის 5%-ი შეადგენდა 1065 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აღნიშნული 1065 ლარი პარტნიორებს კანონშესაბამისად არ გაუნაწილდათ, ვინაიდან ეს თანხა დივიდენდის ბეგარას შეადგენდა, რასაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 130-ე მუხლი ითვალისწინებდა.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია შპს „... კლინიკის“ პარტნიორების მოთხოვნა სანარმოსთვის დივიდენდის სახით – 1065 ლარის დაკისრების შესახებ და ჩათვალა, რომ სარჩელი ამ ნაწილში უსაფუძვლოს წარმოადგენდა და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა კი, პალატის განმარტებით გამორიცხავდა საადვოკატო ხარჯისა და სახელმწიფო ბაჟის მოპასუხის მიერ ანაზღაურებას.

აღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. მ-ს, დ. შ-ს, რ. ჭ-ს, ი. ჩ-ს, რ. გ-ს, ლ. ხ-სა და ც. მ-ს სარჩელი უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. მ-მ, დ. შ-მ, რ. ჭ-მა, ი. ჩ-მა, რ. გ-მ, ლ. ხ-მ და ც. მ-მ, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 ოქ-

ტომბრის გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

კასატორების განმარტებით, მთავარი სასარჩელო მოთხოვნა იყო საზოგადოების დირექტორს დავალებოდა მათ კუთვნილ ანგარიშებზე, საზოგადოებაში კუთვნილი წილების პროპორციულად, 2012 წლის გასანაწილებელი დივიდენდის – 21308 ლარის ჩარიცხვა. სარჩელის მიღებისთანავე დირექტორმა მათი მოთხოვნა ნებაყოფლობით შეასრულა და დივიდენდის თანხა არასრულად ჩაურიცხა მათ, რის გამოც დავის საგნის ოდენობა 1065 ლარამდე შეამცირეს.

ი. მ-ე, დ. შ-ა, რ. ჭ-ი, ი. ჩ-ი, რ. გ-ე, ლ. ხ-ე და ც. მ-ე საკასაციო საჩივარში მიუთითებენ, რომ საქალაქო სასამართლომ დირექტორ – დ. ხ-ს სავსებით სწორად დააკისრა დივიდენდის ოდენობიდან გამომდინარე საადვოკატო მომსახურებისათვის გაღებული ხარჯის – 800 ლარის გადახდა, რაც სსკ-ის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად დასაბუთდა.

კასატორები აღნიშნავენ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სწორი სამართლებრივი შეფასება იქნა მიცემული დირექტორის მიერ დივიდენდის განაწილების ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის ფაქტზე, რაც არაერთგზისი მოთხოვნის მიუხედავად ექვსი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. მიუხედავად დირექტორის მხრიდან სასარჩელო მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულებისა, მიაჩნიათ, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული, ვინაიდან ჩათვალა, რომ დარჩენილი მოთხოვნა დივიდენდის – 1065 ლარის დაკისრების ნაწილში უსაფუძვლო იყო. თუმცა, კასატორებს მიაჩნიათ, რომ სააპელაციო პალატას დაავინყდა მოპასუხის მხრიდან მთავარი სასარჩელო მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულების და ადვოკატის მომსახურების ხარჯის ზემომითითებული პროცესუალური ნორმით დაკისრების დასაბუთების ფაქტი.

ი. მ-ს, დ. შ-ს, რ. ჭ-ს, ი. ჩ-ს, რ. გ-ს, ლ. ხ-ს და ც. მ-ს მოსაზრებით სასარჩელო მოთხოვნებთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა კანონიერიც რომც იყოს, მათი განმარტებით საადვოკატო მომსახურების თანხის დაკისრების ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება იმდენად დაუსაბუთებელი და უკანონოა, რომ იგი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლიტური საფუძველია.

კასატორები საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლომ წლიური ანგარიშის შესამოწმებლად გა-

ღებულის 3000 ლარის საზოგადოებისათვის დაკისრება უკანონოდ მიიჩნია, რაც დაუკავშირა აუდიტორულ დასკვნაში მითითებულ შემდეგ სიტყვებს: „მიუხედავად ფინანსური ანგარიშგებაში არსებული ნაკლოვანებებისა ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშგება ძირითადად სრულად ასახავს კლინიკის ფინანსურ მდგომარეობას“. აღნიშნულით კი, სააპელაციო პალატამ გამოორიცხა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 ნაწილის მესამე წინადადების გამოყენების საფუძველი.

ი. მ-ს, დ. შ-ს, რ. ჭ-ს, ი. ჩ-ს, რ. გ-ს, ლ. ხ-ს და ც. მ-ს მიაჩნიათ, რომ წლიურ ანგარიშით აღმოჩენილი ის ნაკლოვანება, რომლითაც პარტნიორებს მთლიანად 54637 ლარი, ხოლო უშუალოდ მათ 21308 ლარი დააკლდათ, დაკლებული თანხის ოდენობიდან გამომდინარე არსებითი ხასიათის შეცდომას წარმოადგენდა და ამ მოსაზრების მართებულობის ერთადერთ შემფასებელ ორგანოდ სწორედ სასამართლოს მოიაზრებდნენ.

კასატორები აღნიშნავენ, რომ სასამართლოს, დაკლებული თანხის ოდენობიდან გამომდინარე დასაბუთებული დასკვნა უნდა გაეკეთებინა, ხსენებული შეცდომის, როგორც არსებით ხასიათის შეცდომად მიჩნევა-არმიჩნევასთან დაკავშირებით და თავისი მოსაზრება აუდიტის დასკვნით სიტყვებზე არ უნდა დაემყარებინა, რომელსაც მათი მოსაზრებით კვალიფიციური შეფასება, კონკრეტულად ამ საკითხთან მიმართებაში არ გაუკეთებია.

რ. ჭ-ის, ი. ჩ-ი და საქმეში არსებული სხვა კასატორები საკასაციო საჩივარში უთითებენ, რომ სააპელაციო პალატამ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საზოგადოების დირექტორისათვის 1065 ლარის, როგორც გაუნაწილებელი დივიდენდის დარჩენილი ნაწილის მათ ანგარიშზე ჩარიცხვის დავალდებულების ფაქტი უკანონოდ მიიჩნია როგორც ბიუჯეტში გადასახდელ დივიდენდის დაბეგვრის თანხად, რაზეც გაიზიარა აპელანტის მიერ მითითებულ საკითხთან დაკავშირებული გარემოება.

კასატორები განმარტავენ, რომ აღნიშნული წარმოადგენდა თვისობრივად ახალ ფაქტს და, ვინაიდან მოპასუხე მხარემ აღნიშნულის შესახებ არასაპატიო მიზეზით არ განაცხადა პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო პალატას ეს გარემოება საქმეშეგარე საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლიდან გამომდინარე მხედველობაში არ უნდა მიეღო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო სა-

კასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელები არიან შპს „... კლინიკის“ 39%-ის მფლობელი პარტნიორები. 2013 წლის 8 და 10 აპრილს ჩატარებულ პარტნიორთა კრებაზე გადაწყდა 2012 წლის დივიდენდების განაწილების საკითხი. მოსარჩელებს დივიდენდი არ ჩაერიცხათ იმ მოტივით, რომ საზოგადოებას თანხები უნდა ჩარიცხვოდა სადაზღვევო კომპანიებიდან. 2013 წლის 26 ივლისს საზოგადოებამ აღნიშნული თანხები მიიღო და 2013 წლის 11 სექტემბრისათვის პარტნიორებს ჩაურიცხა მათი დარჩენილი თანხები წილის პროპორციულად. მოსარჩელების მოსაზრებით, საზოგადოებას გადასახდელი დარჩა 1065 ლარი წილების პროპორციულად. პალატამ ასევე დაადგინა, რომ შპს „... კლინიკის“ წლიურ ანგარიშში შეცდომა არ არის. წარმომადგენლისა და აუდიტორის მეშვეობით წლიური ანგარიშის შემოწმებაში მოსარჩელებმა გადაიხადეს 4000 ლარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას დარჩენილი დივიდენდის – 1065 ლარის მოპასუხისათვის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად: დივიდენდი არის – აქციონერის/მონილის მიერ აქციებიდან ან უფლებებიდან (წილებიდან) მიღებული (მათ შორის, პრივილეგირებული აქციებიდან პროცენტის სახით მიღებული) ნებისმიერი შემოსავალი, რომელიც მიიღება მოგების განაწილების შედეგად და რომელსაც იურიდიული პირი უნაწილებს აქციონერებს/მონილებს, კაპიტალში მათი კუთვნილი აქციების/უფლებების პროპორციულად ან პროპორციის დაცვის გარეშე. მონილე არის პირი, რომელიც ფლობს შესაბამის წილებს იურიდიულ პირში. წილი კი არის მიმოქცევადი უფლება. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დივიდენდი მიეკუთვნება ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავალს და შესაბამისად წარმოადგენს საშემოსავლო ან მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს, იმის მიხედვით დივიდენდი გაიცემა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირზე; ამასთან დივიდენდის დაბეგვრა ხორციელდება გადახდის წყაროსთან ან მის

გარეთ.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 130-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეზიდენტი სანარმოს მიერ ფიზიკური პირისთვის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ან არარეზიდენტი სანარმოსთვის გადახდილი დივიდენდები იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 5-პროცენტითანი განაკვეთით.

მოცემულ შემთხვევაში, 2012 წლის გასანაწილებელი დივიდენდიდან დარჩენილი იყო 21 308 ლარი პარტნიორებზე გასანაწილებლად, ხოლო ამ თანხის 5% შეადგენდა 1065 ლარს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ 1065 ლარი პარტნიორებს კანონშესაბამისად არ გაუნაწილდათ, ვინაიდან ეს თანხა დივიდენდის ბეგარას შეადგენდა, რასაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 130-ე მუხლი ითვალისწინებდა.

რაც შეეხება აუდიტისა და პროცესის ხარჯების ანაზღაურებას, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზი ცხადყოფს, რომ მოპასუხემ პარტნიორებისათვის გადასანაწილებელი თანხები მიიღო 2013 წლის 26 ივლისს, მაგრამ მოსარჩელებს ჩაურიცხა 2013 წლის 11 სექტემბერს, მხოლოდ მათ მიერ სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის შემდეგ. შესაბამისად, მოსარჩელეთა მიერ მოთხოვნის შემცირება გამოწვეული იყო მოპასუხის მიერ მოსარჩელეთა ნებაყოფლობით დაკმაყოფილებით. აღნიშნულ გარემოება კმნის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლის გამოყენების წინაპირობებს.

მითითებული ნორმის თანახმად, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, მის მიერ განეულ ხარჯებს მოპასუხე არ აანაზღაურებს, მაგრამ თუ მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ მოსარჩელის თხოვნით სასამართლო მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის მიერ განეული ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო განეული ყველა ხარჯის ანაზღაურებას. ვინაიდან, მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით შეასრულა ვადებულება, ამ უკანასაკნელს უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ განეული ხარჯების, მათ შორის ადვოკატის დახმარების გამო განეული ხარჯის ანაზღაურება. მოსარჩელის სასარგებლოდ ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა ადვოკატის მომსახურების თანხის 800 ლარის გადახდა, რაც არასწორად გააუქმა სააპელაციო სასამარ-

თლომ. შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, ამასთან, ვინაიდან მოპასუხემ სასარჩელო მოთხოვნა ნებაყოფლობით ნაწილობრივ შეასრულა, ხოლო 1065 ლარის გადახდის დაკისრების ნაწილში სარჩელი არ კმაყოფილდება, ხარჯი უნდა ანაზღაურდეს მოპასუხის მიერ შესრულებული ვალდებულების პროპორციულად, ანუ 5%-ის გამოკლებით (როგორც ზემოთ აღინიშნა, 1065 ლარი მთლიანი დავის საგნის 5%-ია).

კასატორები ითხოვენ აუდიტორული შემოწმების ჩატარებისათვის გადახდილი 4000 ლარიდან 3000 ლარის ანაზღაურებას, ხოლო 1000 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელეებს არ გაუსაჩივრებიათ.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოპასუხე არ იყო ვალდებული, მოსარჩელეთათვის ანაზღაურებინა აუდიტის შემოწმების ხარჯები. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, საზოგადოების ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მას უფლება აქვს, შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით და საწარმოს ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მაგრამ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიშში არსებითი შეცდომაა, ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯები ეკისრება საწარმოს. კონტროლისა და შემოწმების ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ამ კანონით, გაფართოება კი შესაძლებელია წესდებით.

მითითებული ნორმა შეეხება პარტნიორის უფლებას, შეამოწმოს საზოგადოების ანგარიშის სისწორე. აღნიშნული უფლება საზოგადოების პარტნიორობიდან გამომდინარე უფლებაა და მისი გამოყენება შეიძლება ნებისმიერ დროს, როდესაც პარტნიორს აქვს განსხვავებული მოსაზრება წლიურ ანგარიშთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში კი, აუდიტორული შემოწმება განპირობებული იყო მოსარჩელეთათვის კუთვნილი დივიდენდების გადაუხდელობით.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, აუდიტორულმა შემოწმებამ გამოავლინა მთელი რიგი დარღვევები, რაც არსებობდა საზოგადოებაში. აუდიტორული დასკვნის თანახმად, არასწორადაა განსაზღვრული საგადასახადო მოგება, დეკლარაციაში არასწორადაა ნაჩვენები ერთობლივი შემოსავალი, 2280411

ლარის ნაცვლად მითითებულია 2271084 ლარი, გამოქვითვები 1747092 ლარის ნაცვლად ნაჩვენებია 1744273 ლარი, შემოსავლების ხარჯებზე გადამეტებამ შეადგინა 519 934 ლარი და ა.შ. აუდიტის დასკვნის თანახმად, დივიდენდები გაცემულია 54637 ლარით ნაკლები. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წლიური ბალანსი შედგენილია არსებითი შეცდომების გარეშე. აღნიშნული დასკვნა გაკეთებულია აუდიტის შეფასებაზე დაყრდნობით. სასამართლოს მიერ მსგავსი დასკვნა არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან. მითითებული ნორმის თანახმად, არცერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. შეუძლებელია, არაარსებითად ჩაითვალოს დარღვევა, როდესაც პარტნიორებს ერიცხებათ 54637 ლარით ნაკლები დივიდენდი. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარში წამოყენებული პრეტენზია მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით უნდა დაკმაყოფილდეს და მოპასუხეს უნდა დაეკისროს მის მიერ გაღებული აუდიტის ჩატარების ხარჯების ანაზღაურება მოსარჩელისათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის თანახმად, სამართლის ნორმა დარღვევულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა ნორმა, რომელიც უნდა გამოეყენებინა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სახეზეა მითითებული ნორმით გათვალისწინებული დარღვევა. კერძოდ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლი, რამაც განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების დადგენა.

ზემოთ მითითებულ გარემოებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებული გადაწყვეტილებით ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს საკასაციო საჩივარი. შპს „... კლინიკას“ უნდა დაეკისროს აუდიტის შემოწმებისათვის მოსარჩელების მიერ გაღებული 3000 ლარის ანაზღაურება. რაც შეეხება ადვოკატის ხარჯებს, იგი უნდა ანაზღაურდეს 760 ლარის ოდენობით (800 ლარს – 5%), შპს „... კლინიკას“ უნდა დაეკისროს კასატორთა მიერ გადახდილი ბაჟის გადახდაც 5%-ის გამოკლებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადანყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

მოსარჩელე მხარემ საქმის პირველი ინსტანციით სასამართლოში საქმის განხილვისას მოსამზადებელ სხდომაზე უარი თქვა სასარჩელო მოთხოვნის ნაწილზე, შესაბამისად მათ უნდა დაუბრუნდეთ სახელმწიფო ხაზინიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 730 ლარი, ხოლო შპს „... კლინიკას“ უნდა დაეკისროთ კასატორთა სასარგებლოდ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 285 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 410-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ი. მ-ს, დ. შ-ს, რ. ჭ-ს, ი. ჩ-ს, რ. გ-ს, ლ. ხ-ს, ც. მ-ს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 იანვრის გადანყვეტილება აუდიტის შემოწმებისა და ადვოკატის მომსახურების ხარჯების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადანყვეტილება;

3. შპს „... კლინიკას“ დაეკისროს კასატორთა სასარგებლოდ აუდიტის შემოწმებისათვის გაღებული ხარჯის – 3000 ლარის, ადვოკატის მომსახურების ხარჯის – 760 ლარის და საკასაციო

საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 285 ლარის გადახდა;

4. ი. მ-ს, დ. შ-ს, რ. ჭ-ს, ი. ჩ-ს, რ. გ-ს, ლ. ხ-ს, ც. მ-ს დაუბრუნდეთ სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 730 ლარი;

5. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

განჩინება

№ას-1243-1183-2014

21 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქუური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
თ. თოდრია**

დავის საგანი: საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. თ-ის წარმომადგენლებმა მ. კ-მ და ს. ქ-ამ საჩივრით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და მოითხოვეს შპს „დ-ე და პ-ის“ საქართველოს მუდმივმომქმედი არბიტრაჟის 2009 წლის 29 დეკემბრის №01/12.09 გადაწყვეტილების გაუქმება.

2014 წლის 30 სექტემბერს გ. თ-ის წარმომადგენლებმა მ. კ-მ და ს. ქ-ამ განცხადებით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვეს საქმის დასრულებამდე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ც. თ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებისთვის მდებარე ქ. თბილისი, ბ-ის (ყოფილი ე-ის) ქ. №67, საკადასტრო კოდი: ყადაღის დადება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2014 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით გ. თ-ის წარმომადგენლების მ. კ-ისა და ს. ქ-ას განცხადება დაკმაყოფილდა: ყადაღა დაედო ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №67-ში, საკადასტრო კოდი: №..... მდებარე უძრავი ქონებიდან, მოპასუხე ც. თ-ის წილს – შენობა-ნაგებობები №6, №7, №8, №9. სასამართლომ მიიჩნია, რომ დასაბუთებული იყო ვარაუდი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა საჩივარზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, ვინაიდან თ-ის საცხოვრებელი ბინის გასხვისების შემთხვევაში, შეუძლებელი გახდებოდა საჩივრის ავტორის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის (საჩივრის) უზრუნველყოფის სახით ყადაღის გამოყენება გამომდინარეობდა საჩივრის მოთხოვნის იურიდიული ინტერესის დაცვის აუცილებლობიდან, გადაწყვეტილების რეალური აღსრულების ხელშეწყობის მიზნით.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საჩივარი შეიტანა ც. თ-მა, მოითხოვა სააპელაციო პალატის 2014 წლის 1 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლით: განჩინებით ყადაღა დაედო თბილისში, ე. ბ-ის ქ. №67-ში მდებარე უძრავ ქონებიდან (საკადასტრო კოდი №.....) ც. თ-ის კუთვნილ წილს, შენობა-ნაგებობები №6; №7; №8; №9 და მიეთითა, რომ აღნიშნული ქონება ეკუთვნოდა ც. თ-ს, რაც საჩივრის ავტორის განმარტებით არ შეესაბამება სინამდვილეს. მართალია, ც. თ-ის საკუთრებაში არსებული ქონება მდებარეობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, მაგრამ მისი საკადასტრო კოდია და არა განჩინებაში მითითებული, ასევე ც. თ-ის საკუთრებაში არ შედის შენობა-ნაგებობები №6, №7, №8, №9. როგორც საჯარო რეესტრის ამონაწერში, ასევე საკადასტრო გეგმაში მითითებულია, რომ ც. თ-ის საკუთრებაში ირიცხება შენობა-ნაგებობები №1, №2, №3, №4. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაუგებარია, რატომ არის განჩინებაში მითითებული სრულიად სხვა საკადასტრო კოდი და სხვა ნუმერაციის შენობების შესაკუთრედ ც. თ-ი, მაშინ როცა მოპასუხეს ამავე მისამართზე ეკუთვნის უძრავი ქონება, მხოლოდ სრულიად სხვა საკადასტრო კოდით და სხვა ნუმერაციის შენობა-ნაგებობები. შესაბამისად, საჩივრის ავტორის აზრით, გაურკვეველია, კონკრეტულად ვის ქონებას დაედო ყადაღა აღნიშნულ მისამართზე. საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მოსარჩელე გ. თ-ს აღნიშნულ მისამართზე საერთოდ არ

აქვს ბინა. გ. თ-ის გამოსახლება არ მოხდა იმის გამო, რომ მოსარჩელე და მოპასუხე არიან ნათესავები და არ სურდათ სახლის გამო კონფლიქტში შესვლა. ც. თ-ს არც მაშინ მოუთხოვია გ. თ-ისთვის სახლის დატოვება, როდესაც მათ, როგორც მინისძვრისგან დაზარალებულებმა მიიღეს სხვა საცხოვრებელი სახლი. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელის სასამართლოსადმი სხვადასხვა შინაარსის მოთხოვნებით მიმართვა ემსახურება იმ მიზანს, რომ მოსარჩელე გ. თ-ს და მის ოჯახს სურთ სხვის სახლში უფრო დიდხანს დარჩენა. ეს კი შეუძლებელია, ვინაიდან საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსარჩელის მხრიდან მის მარწმუნებელსა და მარწმუნებლის ძმაზე მოხდა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ნოემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა გ. თ-ის წარმომადგენლების მ. კ-ისა და ს. ქ-ას განცხადება უსწორობის გასწორების თაობაზე: გასწორდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 1 ოქტომბრის №2ბ/4843-14 განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტსა და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის შესაბამის გრაფაში დაშვებული უსწორობა და საბოლოოდ აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ყადალა დაედოს ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №67-ში, ც. თ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, საკადასტრო კოდი: №....., შენობა-ნაგებობები №1, №2, №3, №4. აღნიშნულ განჩინებას სასამართლომ საფუძველად დაუდო 2012 წლის 26 ნოემბრის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დადგენილია, რომ ც. თ-ის ქონების საკადასტრო კოდია, ხოლო შენობა ნაგებობის ნომრებია №1, №2, №3, №4.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 7 ნოემბრის განჩინებით დაუსაბუთებლობის გამო არ დაკმაყოფილდა ც. თ-ის საჩივარი, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 1 ოქტომბრის განჩინება და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და ც. თ-ის საჩივრის საფუძველიანობის ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით, ხოლო 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველი საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა გ. თის წარმომადგენლების მ. კ-ისა და ს. ქ-ას განცხადება და ყადაღა დაედო ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №67-ში, საკადასტრო კოდი: №..... მდებარე უძრავი ქონებიდან მოპასუხე ც. თ-ის წილს – შენობა-ნაგებობები №6, №7, №8, №9.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მასზედ, რომ საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №67-ში მდებარე უძრავი ქონებიდან შენობა-ნაგებობებზე №6, №7, №8, №9, რომელიც არ შედიოდა ც. თ-ის საკუთრებაში. საჩივრის ავტორი აქვე მიუთითებს საჯარო რეესტრის ამონაწერსა და საკადასტრო გეგმაზე, რომლის მიხედვითაც, ც. თ-ის საკუთრებაში ირიცხება უძრავი ქონება საკადასტრო კოდით კერძოდ, შენობა-ნაგებობები №1, №2, №3, №4.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ნოემბრის განჩინებით გასწორდა ამავე სასამართლოს 1 ოქტომბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობა და განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ყადაღა დაედოს ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №67-ში, ც. თ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, საკადასტრო კოდი: №....., შენობა-ნაგებობები №1, №2, №3, №4. აღნიშნულ განჩინებას სასამართლომ საფუძვლად დაუდო 2012 წლის 26 ნოემბრის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დადგენილია, რომ ც. თ-ის ქონების საკადასტრო კოდია, ხოლო

შენობა ნაგებობის ნომრებია №1, №2, №3, №4.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ვინაიდან გამოსწორდა ის ხარვეზი, რომელსაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად მიუთითებდა საჩივრის ავტორი, აღარ არსებობს აღნიშნული საფუძვლით ც. თ-ის საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინებების გაუქმების კანონიერი საფუძველი.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას, რომ სასამართლოს დაუსაბუთებლად გაუჩნდა ვარაუდი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის შესახებ, რადგან მოსარჩელემ ვერ მიუთითა იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების განუხორციელებლობა გადაწყვეტილებდა ან შეუძლებელს გახდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს აღნიშნულ მითითებას შემდეგი გარემოებების გამო:

მოსარჩელე ითხოვს არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმებას, რომელიც საფუძვლად დაედო მოპასუხის საკუთრების უფლების წარმოშობას სადავო ქონებაზე. ამავ დროს, მოსარჩელე აცხადებს, რომ იგი არის სადავო ქონების ნაწილის მართლზომიერი მფლობელი, რადგან ქონება მიღებული აქვს ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების გზით. ამრიგად, დავის საგანია უძრავი ქონება, რომლის მართლზომიერი მფლობელობის შესახებ უთითებს მოსარჩელე. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ზემოაღნიშნული გარემოებები საკმარისია იმისათვის, რომ სასამართლოს წარმოეშვას დასაბუთებული ვარაუდი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. აღნიშნული ინსტიტუტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა წინასწარი და დროებითი ხასიათის ღონისძიებაა და ხდება დარღვეული ან სადავო უფლების შესახებ სასამართლოს არსებითი მსჯელობისაგან დამოუკიდებლად, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამიტომ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვისას სასამართლო აფასებს არა საქმის გარემოებებს იმ თვალსაზრისით, უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა სარჩელი, არამედ სასამართლო აფასებს, არსებობს თუ არა ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა გამო შესაძლოა გართულდეს ან ვერ განხორციელდეს საქმეზე მი-

ღებულის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს აღნიშნული თვალსაზრისითაც ც. თ-ის საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების კანონიერი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1971, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ც. თ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 1 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევა

განჩინება

№ას-705-675-2014

2 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: კრების ოქმისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ა-ამ სარჩელი აღძრა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში შპს „ტ-ის“, გ. ბ-ას, გ. ჯ-ის, ვ. ბ-ასა და ზ. ჯ-ის მიმართ კრების ოქმისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით ე. ა-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი შპს „ტ-ის“ 2013 წლის 14 ივნისის პარტნიორთა კრების №1 ოქმი, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 მაისის განჩინებით ე. ა-ს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. ა-ა კანონით დადგენილ ვადაში სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად არ გამოცხადდა, რის გამოც, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს დაიწყო.

აღნიშნული განჩინება ე. ა-ამ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ე. ა-ას წარმომადგენელმა 2014 წლის 22 აპრილს, გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 28-ე დღეს, სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით მიმართა, მაგრამ გადაწყვეტილება 2 მაისამდე ვერ ჩაბარდა, რის გამოც, ვადის ათვლა სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს არ უნდა დაიწყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ე. ა-ას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოცემულ საქმეზე დარღვეულია სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

იმავე კოდექსის 259¹-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილე-

ბის გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთხელ განმარტა (იხ. მაგ. სუსგ №№ას-490-464-2014, ას-372-350-2014, ას-258-242-2014 და ა.შ.), რომ აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის დენა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ მხარე ამავე მუხლით განსაზღვრულ ვადაში სასამართლოში არ გამოცხადდება და გადაწყვეტილებას არ ჩაიბარებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემომითითებული მუხლი, ერთი მხრივ, მხარის ვალდებულებას ადგენს, მითითებული ვადაში სასამართლოში გამოცხადდეს გადაწყვეტილების მისაღებად (გარდა იმავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისებისა), ხოლო, მეორე მხრივ, ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას, იმავე ვადაში მზად ჰქონდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარისათვის გადასაცემად. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ვერ უზრუნველყოფს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებას ამ ვადაში, ეს გარემოება მხარის პასუხისმგებლობის საფუძველი ვერ გახდება და ვადის ათვლა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან დაიწყება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. ა-ა კანონით დადგენილ ვადაში სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად არ გამოცხადდა, რის გამოც, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს დაიწყო. ამ დასკვნის გაკეთებისას სააპელაციო სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 28-ე დღეს, 2014 წლის 22 აპრილს, ე. ა-ას წარმომადგენელმა ბ. ყ-მა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა და იმავე სასამართლოს 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების ჩაბარება მოითხოვა. დასაბუთებული გადაწყვეტილება კი, 2014 წლის 2 მაისს ჩაბარდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან მხარემ შეასრულა ვალდებულება და სასამართლოში კანონით დადგენილ ვადაში გამოცხადდა, დასაბუთებული გადანყვეტილება კი, არ ჩაბარდა, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრების ვადის ათვლა უნდა დაეწყო არა გადანყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს, არამედ გადანყვეტილების ჩაბარებიდან.

დასაბუთებული გადანყვეტილება ე. ა-ას წარმომადგენელ ბ. ყ-ს 2 მაისს ჩაბარდა, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, 3 მაისიდან დაიწყო და 16 მაისს ამოიწურა. სააპელაციო საჩივარი 8 მაისსაა შეტანილი და სააპელაციო სასამართლოს განუხილველად არ უნდა დაეტოვებინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. ა-ას კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ე. ა-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 მაისის განჩინება და საქმე ე. ა-ას სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევა

განჩინება

№ას-814-778-2014

2 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სამკვიდრო ქონების 1/2 -ის მემკვიდრედ და
მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ც. ჩ-მ სიღნაღის რაიონულ სასამართლოში დ. ჩ-ის წინააღ-
მდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა გ. ჩ-ის სამკვიდრო ქონების
1/2-ის მესაკუთრედ ცნობა.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 19 თებერ-
ვლის გადაწყვეტილებით ც. ჩ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ც. ჩ-მ სააპელაციო წესით გაა-
საჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2014 წლის 23 მაისის განჩინებით ც. ჩ-ის სააპელა-
ციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ც. ჩ-ის წარმომად-
გენლისათვის ცნობილი იყო სიღნაღის რაიონული სასამართლოს
გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თა-
რილი. მან დასაბუთებული გადაწყვეტილება 2014 წლის 17 მარტს
ჩაიბარა, შესაბამისად, გასაჩივრების ვადის ათვლა 18 მარტი-
დან დაიწყო და 31 მარტს ამოიწურა, სააპელაციო საჩივარი კი,
ფოსტას 1 აპრილს ჩაბარდა.

აღნიშნული განჩინება ც. ჩ-მ კერძო საჩივრით გაასაჩივრა.
მისი მითითებით სიღნაღის რაიონული სასამართლოს გადაწყვე-
ტილება მხარეს არა 17, არამედ 18 მარტს ჩაბარდა, ხოლო ხელ-
წერილზე მითითებული თარიღი და კანცელარიაში რეგისტრა-
ციის თარიღი ტექნიკური შეცდომაა. განცხადების შესვლის თა-
რილად შტამპზე 19 თებერვალია მითითებული, მაშინ, როდე-
საც 19 თებერვალს სხდომა იყო დანიშნული, რომელსაც მხარე
და მისი წარმომადგენელი არ ესწრებოდნენ, შესაბამისად, ვერც
განცხადებას შეიტანდნენ. ამ გარემოებებს სიღნაღის რაიონუ-

ლი სასამართლოს მიერ გაცემული ცნობა ადასტურებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ც. ჩ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოცემულ საქმეზე დარღვეულია სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

იმავე კოდექსის 259¹-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოცემულ შემთხვევაში, სიღნაღის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება 2014 წლის 19 თებერვალს გამოცხადდა. ც. ჩ-ის წარმომადგენლისათვის ცნობილი იყო სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღი, შესაბამისად, მოსარჩელე დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩასაბარებლად არა უადრეს 11 და არა უგვიანეს 21 მარტისა უნდა გამოცხადებულიყო სასამართლოში.

საქმეში წარმოდგენილი განცხადება-ხელწერილის მიხედვით, ც. ჩ-ის წარმომადგენელმა თ. შ-მ დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მოთხოვნით განცხადება 19 თებერვალს

შეიტანა და იგი 17 მარტს ჩაბარდა, ამასთან, კერძო საჩივარს ერთვის სილნალის რაიონული სასამართლოს ცნობა, რომლის მიხედვით, იმავე სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების შესახებ განცხადება წარდგენილია 2014 წლის 17 მარტს, იმავე თარიღითაა ხელმოწერილი ხელწერილი, ხოლო გადაწყვეტილება მოსარჩელეს, რეალურად, 18 მარტს ჩაბარდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან მხარე კანონით დადგენილ ვადაში გამოცხადდა გადაწყვეტილების ჩაბარებლად, ამასთან თავად სასამართლო ადასტურებს, რომ ხელწერილში მითითებული მონაცემები სინამდვილეს არ შეესაბამება და დასაბუთებული გადაწყვეტილება მას 18 მარტს ჩაბარდა, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა სწორედ ამ მომენტიდან უნდა დაიწყო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დენა 19 მარტიდან დაიწყო და 1 აპრილს ამოიწურა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. საქმეში წარმოდგენილი კონვერტის მიხედვით, სააპელაციო საჩივარი ფოსტას 1 აპრილს ჩაბარდა, შესაბამისად იგი ვადაშია შეტანილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ც. ჩ-ის კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ც. ჩ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

ლაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 მაისის განჩინება და საქმე ც. ჩ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევა

განჩინება

№ას-766-733-2014

22 სექტემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემაღვენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: საბანკო გარანტიებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ლ. ს. ს-მა“ თბილისის საქალაქო სასამართლოში სს „თ. ბ-ის“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა მოპასუხისათვის საბანკო გარანტიების გადახდის დაკისრება, ასევე ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო ზიანის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ლ. ს. ს-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს „თ. ბ-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანების 1708276,9 ლარის, ასევე, ერთჯერადად, 2014 წლის 18 მარტის მდგომარეობით, 21353,6 ლარისა და 2014 წლის 18 მარტიდან ვალდებულების შესრულებამდე ძირითადი ვალის წლიური 3%-ის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სს „თ. ბ-მა“ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

შპს „ლ. ს. ს-მა“ შესაგებელთან ერთად შეგებებული სააპელაციო საჩივარი შეიტანა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2014 წლის 18 ივნისს, შესაგებლის სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში წარუდგენლობის გამო, დაუსრულებელი გადაწყვეტილება მიიღო, რომლის ძალითაც გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით შპს „ლ. ს. ს-ის“ სარჩელი არ დააკმაყოფილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 ივნისის განჩინებით შპს „ლ. ს. ს-ის“ შეგებებული სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შპს „ლ. ს. ს-ს“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ივნისის განჩინება, სს „თ. ბ-ის“ საჩივარი და სასამართლო უწყება მის მიერ მითითებულ მისამართზე გაეგზავნა და 04.06.2014 წელს ჩაბარდა თანამშრომელ გ. კ-ს. შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა 05.06.2014 წლიდან დაიწყო და 16.06.2014 წელს ამოიწურა. საჩივარი კი, ამ ვადის დარღვევით 17.06.2014 წელსაა შეტანილი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს „ლ. ს. ს-მა“ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, გ. კ-ი არ არის შპს „ლ. ს. ს-ის“ თანამშრომელი და გზავნილის ჩამბარებულმა საერთოდ არ გაარკვია, ვის გადასცა კორესპონდენცია. გ. კ-ი სსიპ დაცვის პოლიციის თანამშრომელია და მის მოვალეობებში შედის მხოლოდ სს „საპარტნიორო ფონდის“ შენობის დაცვა, დაცვის პოლიციასა და ამ უკანასკნელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისად, გ. კ-ი შპს „ლ. ს. ს-ის“ სახელით გზავნილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი არ იყო. მხარეს გზავნილი 2014 წლის 12 ივნისს ჩაბარდა და 5 დღის ვადაში შეტანილ იქნა შეგებებული სააპელაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ შპს „ლ. ს. ს-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინე-

ბული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილი და არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ შპს „ლ. ს. ს-ისათვის“ გაგზავნილი განჩინება, სააპელაციო საჩივარი და უწყება 04.06.2014 წელს ჩაბარდა გ. კ-ს, რომელმაც უკუგზავნილზე როგორც თანამშრომელმა მოაწერა ხელი. შეგებებული სააპელაციო საჩივრითა და გ. კ-ის განცხადებით ირკვეოდა, რომ ეს უკანასკნელი არის სისიპ დაცვის პოლიციის თანამშრომელი, შპს „ლ. ს. ც-ი“ არ იყო მისი დამსაქმებელი და გზავნილი 2014 წლის 12 ივნისს გადაეცა სხვა პირის მეშვეობით. სააპელაციო სასამართლომ კი, ამ გარემოებებზე არ იმსჯელა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაჰბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. მოქალაქეს ან ორგანიზაციას სასამართლო უწყება შესაძლოა ასევე გადაეცეს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ორგანიზაციისათვის გაგზავნილი კორესპონდენცია უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან ანალოგიური უფლებამოსილების მქონე სტრუქტურულ ერთეულს ან პირს და მხოლოდ მათი არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც გზავნილს ადრესატს გადასცემს, ამასთან, გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტზე, რომელიც სასამართლოს უბრუნდება, უნდა არსებობდეს შესაბამისი ჩანაწერი. მხოლოდ ამ შემთხვევაშია სასამართლო უფლებამოსილი, გზავნილი ჩაბარებულად მიიჩნიოს. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებიდან არ ირკვევა, რომ შპს „ლ. ს. ს-ის“ არ ჰყავს კანცელარია ან კორესპონდენციის მიღება-განაწილებაზე უფლებამოსილი პირი, რაც გზავნილის სხვა თანამშრომლისათვის ჩაბარებას გაამართლებდა, გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო

ასევე განმარტავს, რომ კანცელარიის ან მსგავსი უფლებამოსილების მქონე პირის არყოფნისას გზავნილის მიმღებად ზემოაღნიშნული მუხლი ასახელებს „ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს“, შესაბამისად, ცალსახაა, რომ გზავნილის მიმღები ადრესატი ორგანიზაციის თანამშრომელი უნდა იყოს. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია გ. კ-ის ახსნა-განმარტება, სადაც ის მიუთითებს, რომ შპს „ლ. ს. ც-ი“ მისი დამსაქმებელი არ არის. საქმეში ასევეა წარმოდგენილი სს „საპარტნიორო ფონდსა“ და სსიპ დაცვის პოლიციას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რაც ნათლად ადასტურებს, რომ დაცვის პოლიციის მომსახურებით იმავე მისამართზე მდებარე სს „საპარტნიორო ფონდი“ სარგებლობს და არა შპს „ლ. ს. ს-ი.“ კერძო საჩივარს ასევე ერთვის სს „საპარტნიორო ფონდის“ წერილი საიდანაც ირკვევა, რომ ქ. თბილისში, ვ. ბ-ის ქ. №6-ში, სს „საპარტნიორო ფონდის“ კუთვნილ შენობაში, გარდა „საპარტნიორო ფონდისა“ და შპს „ლ. ს. ს-ისა“, რამდენიმე იურიდიული პირის ოფისი მდებარეობს.

საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, საკაცაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს, რომ გ. კ-ი არ იყო უფლებამოსილი პირი შპს „ლ. ს. ს-სათვის“ გაგზავნილი კორესპონდენცია ჩაებარებინა. ისიც აღსანიშნავია, რომ სს „თ. ბ-ის“ წარმომადგენლის მოსაზრებით, მართალია, გ. კ-ი არ არის შპს „ლ. ს. ს-ის“ თანამშრომელი, მაგრამ პირი, რომელიც ორგანიზაციას გზავნილს გადასცემს, არ არის სავალდებულო მისი თანამშრომელი იყოს, ამდენად, მოწინააღმდეგე მხარეც აღიარებს, რომ გ. კ-ი მოსარჩელის თანამშრომელი არ იყო. რაც შეეხება ზემოაღნიშნულ განმარტებას, საკაცაციო სასამართლოს აზრით, ეს მტკიცება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილიდან არ გამომდინარეობს. მოწინააღმდეგე მხარე ასევე მიუთითებს, რომ შპს „ლ. ს. ს-ი“ სს „საპარტნიორო ფონდის“ შვილობილი ორგანიზაციაა, თუმცა საქმეში შესაბამისი მტკიცებულება არ მოიპოვება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკაცაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა 04.06.2014 წლიდან კი არ უნდა აითვალოს, არამედ გზავნილის ადრესატისათვის გადაცემის მომენტიდან – 12.06.2014 წლიდან, საიდანაც შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი ვადა გაშვებული არ არის, შესაბამისად, შპს „ლ. ს. ს-ის“ კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ლ. ს. ს-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 ივნისის განჩინება და საქმე შპს „ლ. ს. ს-ის“ შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევა

განჩინება

№ას-741-709-2014

2 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: ელექტროენერჯის დავალიანების გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

სს „თ-მა“ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა და შპს „გ-ა-85-ისათვის“ 7674.78 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 დეკემბრის განწყვეტილებით სს „თ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე შპს „გ-ა-85-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 7674.78 ლარის გადახდა.

აღნიშნული განწყვეტილება შპს „გ-ა-85-მა“ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2014 წლის 24 თებერვლის განჩინებით შპს „გ-ა-85-ს“ სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი, მის შესავსებად განესაზღვრა 10 დღე განჩინების ასლის გადაცემის მომენტიდან და დაევალა მოთხოვნის დაზუსტება, კერძოდ თუ რა ნაწილში ასაჩივრებდა გადაწყვეტილებას; ამასთან დაევალა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის შესაბამისად შედგენილი სააპელაციო საჩივარის წარმდგენა, ასევე, დავის საგნის ფასის განსაზღვრა და სახელმწიფო ბაჟის, დავის საგნის ღირებულების 4%-ის, გადახდა.

08.05.2014 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა შპს „გ-ა-85-ის“ დირექტორმა პ. ძ-მ და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება ან ვადის გაგრძელება 2014 წლის 28 მაისამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 მაისის განჩინებით შპს „გ-ა-85-ის“ შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 თებერვლის განჩინებაში მითითებული ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა 5 დღით გაგრძელდა.

იმავე სასამართლოს 2014 წლის 13 ივნისის განჩინებით შპს „გ-ა-85-ის“ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 მაისის განჩინება შპს „გ-ა-85-ს“ გაეგზავნა მის მიერ მითითებულ მისამართზე (თბილისი, ხ-ის ქ. №7), რომელიც 28.05.2014 წელს ჩაბარდა შპს „გ-ა-85-ის“ დირექტორის პ. ძ-ის ოჯახის წევრს (დედას) – ლ. გ-ს. ხარვეზის შევსების 5-დღიანი ვადის ათვლა 2014 წლის 29 მაისიდან დაიწყო და 2014 წლის 2 ივნისს ამოიწურა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტმა ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გასვლის შემდგომ – 2014 წლის 11 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს დადგენილი ხარვეზის შევსების თაობაზე განცხადებით მიმართა, რომელსაც თან დაურთო დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი და სახელმწიფო ბაჟის – 308 ლარის გადახდის დამასტურებელი ქვითრის დედანი. თანდართული საფოსტო კონვერტით დასტურდება, რომ გზავნილი ფოსტას 9 ივნისს ჩაბარდა. სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან ხარვეზი არ გამოსწორდა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, სააპელაციო საჩივარი დაუშვებელი იყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს „გ-ა-85-ის“ დირექ-

ტორმა პ. ძ-მ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, განჩინებაში აღნიშნულია, რომ გზავნილი ლ. გ-მ ჩაიბარა, რომელიც პ. ძ-ის დედაა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ლ. გ-ე მეზობელია და არა მისი ოჯახის წევრი. მან, უბრალოდ, 2014 წლის 8 ივნისს გზავნილი გადასცა. პ. ძ-ის დედა, თ. ზ-ე, 1982 წელს გარდაიცვალა. კერძო საჩივრის ავტორმა ასევე წარმოადგინა საკუთარი და ლ. გ-ის პირადობის მონმობის ასლები, იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ ლ. გ-ე მისი დედა არ შეიძლება იყოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ შპს „გ-ა 85-ის“ დირექტორ პ. ძ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო 73-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, სასამართლო უწყება იგზავნება ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით, ფოსტით, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება და არ არის ვალდებული, დაიცვას თანამიმდევრობა. სასამართლომ დასაბარებულ პირს უწყება შეიძლება ჩააბაროს ასევე სასამართლოს შენობაში. თუ პირველად გაგზავნისას უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, იგი დასაბარებულ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება,

რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 თებერვლის განჩინებით შპს „გ-ა-85-ს“ სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი, მის შესავსებად განესაზღვრა 10 დღე განჩინების ასლის გადაცემის მომენტიდან და დაევალა მოთხოვნის დაზუსტება, კერძოდ თუ რა ნაწილში ასაჩივრებდა გადაწყვეტილებას, ასევე დასაბუთებული სააპელაციო საჩივარის წარდგენა, დავის საგნის ფასის განსაზღვრა და სახელმწიფო ბაჟის, დავის საგნის ღირებულების 4%-ის, გადახდა.

08.05.2014 წელს შპს „გ-ა-85-ის“ დირექტორმა პ. ძ-მ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება ან ვადის გაგრძელება 2014 წლის 28 მაისამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 მაისის განჩინებით შპს „გ-ა-85-ის“ შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 თებერვლის განჩინებაში მითითებული ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა 5 დღით გაგრძელდა.

აპელანტმა 2014 წლის 11 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის შევსების თაობაზე განცხადებით მიმართა, რომელსაც თან დაურთო დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი და სახელმწიფო ბაჟის – 308 ლარის გადახდის დამასტურებელი ქვითრის დედანი. თანდართული საფოსტო კონვერტით დასტურდება, რომ გზავნილი ფოსტას 9 ივნისს ჩაბარდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განცხადება ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ იყო შეტანილი და შპს „გ-ა-85-ის“ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

საქმეში წარმოდგენილი გზავნილი ადასტურებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 მაისის განჩინება შპს „გ-ა-85-ის“ დირექტორის მიერ მითითებულ მისამართზე (თბილისი, ხ-ის ქ. №7) გაგზავნა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებულმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინის-

ტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მონინალმდეგე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

შპს „სკს-ის“ უკუგზავნილის თანახმად, ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ განჩინება 28.05.2014 წელს ჩაიბარა ლ. გ-მ, რომელიც არის „რ. დ-ის (დამფუძნებლის) დედა“. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების შესაბამისად, შპს „გ-ა 85-ის“ 100%-იანი წილის მესაკუთრე ერთადერთი პარტნიორი და დირექტორი არის პ. დ-ე. რ. დ-ე არც პარტნიორად და არც წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად არ ირიცხება. კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი პირადობის მონმობების ასლების მიხედვით, პ. დ-ე 12.03.1948 წელსაა დაბადებული, პირადი ნომერი ემთხვევა სამენარმეო რეესტრში რეგისტრირებულ ნომერს, ხოლო ლ. გ-ე დაბადებულია 29.09.1951 წელს. პირადი ნომერი ემთხვევა უკუგზავნილზე მითითებულ ნომერს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ შეუძლებელია, ლ. გ-ე პ. დ-ის დედა იყოს.

ამ გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება, 28.05.2014 წელს გზავნილის პ. დ-ის ოჯახის წევრის მიერ ჩაბარების ფაქტი და ხარვეზის შევსების ვადა ამ თარიღიდან ვერ აითვლება. ვინაიდან საქმეში არ არსებობს იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, თუ როდის ჩაბარდა განჩინება უშუალოდ რ. დ-ს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მის მიერ წარდგენილი დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ვადაში შეტანილად უნდა იქნეს მიჩნეული და სააპელაციო სასამართლომ შეაფასოს, გამოასწორა თუ არა აპელანტმა ხარვეზი, რის შემდეგაც გადანეციტოს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „გ-ა-85-ის“ დირექტორ პ. ძ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 13 ივნისის განჩინება და საქმე შპს „გ-ა 85-ის“ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემამონმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შეგუბებული სააპელაციო საჩივარი

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1019-974-2013

3 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ხ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შ. გ-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან შემდეგი მოძრავი ნივთების გამოთხოვა: საძინებელი გარნიტური (გარდერობი ანტრესოლით, ორი სანოლით და ტუმბოებით); დივანი, ორი სავარძელი და ყავისფერი ყვავილებიანი მაგიდა; შემოსასვლელის კარადა; ხისფერი სამზარეულოს კარადა 6 ცალი, ნიჟარით; „ბეკოს“ ფირმის გაზქურა; „სამსუნგის“ ფირმის მაცივარი; ძველებური სახიანი ქრელი ფარდაგი ზომით 1,5მX2მ; დეკორატიული ხე; ტელევიზორის დასადგმელი მაგიდა; „სუპერმაქსის“ ფირმის სატელიტური ანტენების ორი თეფში რესივერით; ორი ცალი მატყლის ნალი; ორი ცალი მატყლის საბანი; წითელი ფერის 4

ცალი ბალიში; თეთრეულის 2 კომპლექტი, წითელი ვარდებით; 3 ცალი მოჭიქული თეთრი ფერის ქვაბი, ორი ცალი მწვანე წითელყვავილეებიანი ქვაბი, ერთი ცალი ქვაბი შინდისფერი ხაზით; თიხის ვაზა; 8 ცალი წიგნი „საბავშვო ზღაპრები“ – ავტორი ლელა ზურაბიანი; 2 ცალი „საოჯახო წიგნი“; ბავშვის სანოლის; ბავშვის ვარდისფერი ლოგინი; 4 ცალი ბავშვის სათამაშო თოჯინა; ფარდები 5 ფანჯრისათვის, ღამის 5 ცალი ფარდა, სამზარეულოს ფარდა ერთ ფანჯრისათვის; ღამის სანათი; მწვანე ფერის ხელოვნური პალმა ყავისფერი ქოთნით; ტელეფონი „მაგთი ფიქსი“; ნაძვის ხე და ნაძვის ხის სათამაშოები; „JOHN JBEILI-ის“ ფირმის მაჯის საათი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ სადავო ნივთები თანაცხოვრების პერიოდშია შექმნილი და არ განეკუთვნება მოსარჩელის მზითევს, ხოლო მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხემ ნაწილობრივ ცნო სარჩელი და თანხმობა განაცხადა მოსარჩელეს დაუბრუნოს შემდეგი ნივთები: 1,5 მX2მ ძველებური ფარდაგი სახიანი ჭრელი; ორი მატყლის ნალი; ორი მატყლის საბანი; წითელი ფერის 4 ბალიში; თეთრეულის 2 კომპლექტი, წითელი ვარდებით; მოჭიქული თეთრი ფერის 3 ქვაბი; მწვანე წითელყვავილეებიანი ორი ქვაბი; ერთი შინდისფერი ქვაბი; თიხის ვაზა; წიგნები „საბავშვო ზღაპრები“ – ავტორი ლელა ზურაბიანი; 2 ცალი „საოჯახო წიგნი“; ბავშვის სანოლი; ბავშვის ვარდისფერი ლოგინი; საბავშვო სათამაშო თოჯინები 4 ცალი; ფარდები 5 ფანჯრისათვის, სამზარეულოს ფარდა ერთი ფანჯრისათვის; ტელეფონი „მაგთი ფიქსი“; ნაძვის ხე და ნაძვის ხის სათამაშოები;

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ხ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ნივთების ნაწილი, ხოლო დანარჩენი ნივთების გამოთხოვაზე მხარეს ეთქვა უარი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ ნაწილობრივ, კონკრეტული მოძრავი ნივთების გამოთხოვის ნაწილში გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ივლისის განჩინებით შ. გ-ის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

ნ. ხ-მა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმების თხოვნით შეიტანა შეგებებული სააპელაციო საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2013 წლის 4 სექტემბრის განჩინებით ნ. ხ-ის შეგებულ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ნ. ხ-ის სარჩელი და შ. გ-ის მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა საძინებელი გარნიტური (გარდერობი ანტრესოლით, ორი სანოლითა და ტუმბოებით); დივანი, ორი სავარძელი და ყავისფერი, ყვავილებიანი მაგიდა; „ბეკოს“ ფირმის გაზქურა; ძველებური სახიანი ჭრელი ფარდაგი ზომით 1,5მX2მ; დეკორატიული ხე; ტელევიზორის დასადგმელი მაგიდა; „სუპერმაქსის“ ფირმის სატელეტური ანტენების ორი თეფში „რესივერით“; ორი ცალი მატყლის ნალი; ორი ცალი მატყლის საბანი; წითელი ფერის 4 ცალი ბალიში; თეთრეულის 2 კომპლექტი, წითელი ვარდებით; 3 ცალი მოჭიქული თეთრი ფერის ქვაბი, ორი ცალი მწვანე წითელი ყვავილებიანი ქვაბი, ერთი ცალი ქვაბი შინდისფერი ხაზით; თიხის ვაზა; 8 ცალი წიგნი „საბავშვო ზღაპრები“ – ავტორი ლელა ზურაბიანი; 2 ცალი წიგნი „საოჯახო წიგნი“; ბავშვის სანოლი; ბავშვის ვარდისფერი ლოგინი; 4 ცალი საბავშვო სათამაშო თოჯინა (გოგონები); ფარდები 5 ფანჯრისათვის, 5 ცალი ღამის ფარდა, სამზარეულოს ფარდა ერთი ფანჯრისათვის; ღამის სანათი; მწვანე ფერის ხელოვნური პალმა ყავისფერი ქოთნით; ტელეფონი „მაგთი ფიქსი“; ნაძვის ხე და ნაძვის ხის სათამაშოები; „JOHN JBEILI-ის“ ფირმის მაჯის საათი.ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა შემოსასვლელის კარადის, სამზარეულოს კომპლექტის, „სამსუნგის“ ფირმის მაცივრის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ.

შ. გ-ის სააპელაციო საჩივრის შესაბამისად, აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც მოპასუხის მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა დივანი, ორი სავარძელი და ყავისფერი ყვავილებიანი მაგიდა, „ბეკოს“ ფირმის გაზქურა, ტელევიზორის დასადგმელი მაგიდა და „JOHN JBEILI-ის“ ფირმის მაჯის საათი, ხოლო შეგებულ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენდა გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა შემოსასვლელის კარადის, სამზარეულოს კომპლექტისა და „სამსუნგის“ ფირმის მაცივრის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებებზე, რომ ძირითადი სააპელაციო საჩივრის დავის საგანია კონ-

კრეტული ნივთების: დივინის, ორი სავარძლისა და ყავისფერი ყვავილებიანი მაგიდის, „ბეკოს“ ფირმის გაზქურის, ტელევიზორის დასაღვამი მაგიდისა და „JOHN JBEILI-ის“ ფირმის მაჯის საათის მფლობელობის კანონიერების საკითხი, მაშინ, როდესაც შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორი მოითხოვს გადანყვეტილების გაუქმებას და სარჩელის დაკმაყოფილებას სხვა ნივთების, კერძოდ, შემოსასვლელი კარადის, სამზარეულოს კომპლექტისა და „სამსუნგის“ ფირმის მაცივრის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვაზე უარის თქმის ნაწილში, რაც, სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნულ ნაწილში გადანყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების პროცესუალური საფუძველია.

ამდენად, აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი შეგებებული სააპელაციო საჩივარი თავისი სამართლებრივი შინაარსით არ წარმოადგენდა ძირითად სააპელაციო საჩივარზე შეგებებულ სააპელაციო მოთხოვნას, მისი დასაშვებობის შემოწმებისას უნდა დადგენილიყო შესაბამებოდა თუ არა იგი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილით და საქმის მასალებით დაადგინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება მოსარჩელე ნ. ხ-ს ჩაბარდა 2013 წლის 4 ივნისს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით, ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ნ. ხ-ისათვის გადანყვეტილების გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2013 წლის 5 ივნისიდან და ამოიწურა 2013 წლის 18 ივნისს. სააპელაციო საჩივარი (შეგებებული სააპელაციო საჩივარი) კი, წარდგენილი იყო 2013 წლის 5 აგვისტოს, კანონით დადგენილი ვადის დარღვევით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე მუხლების, 374-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ნ. ხ-მა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება, შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის სააპელაციო საჩივართან ერთად განსახილველად შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა განუხილველად ნ. ხ-ის მიერ წარდგენილი შეგებებული სააპელაციო საჩივარი. ნ. ხ-ს არ გაუსაჩივრებია პირველი ინსტანციის სასამარ-

თლოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილ 14-დღიან ვადაში, არამედ შეგებებული სააპელაციო საჩივარი შეიტანა მას შემდეგ, რაც მისმა მონინალმდეგე მხარემ შეიტანა ძირითადი სააპელაციო საჩივარი, ისე, რომ მოსარჩელეს სააპელაციო საჩივრის წარდგენაზე უარი არ უთქვამს. მოპასუხის სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან 10-დღიანი ვადის დაცვით ნ.ხ-მა შეიტანა შეგებებული სააპელაციო საჩივარი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლით გათვალისწინებულ მხარის უფლებას წარმოადგენს. სადავო შეგებებული სააპელაციო საჩივარი წარდგენილ იქნა გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც ძირითადი აპელანტის სასარგებლოდაა გამოტანილი. ამდენად, დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა შეგებებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებასთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი ნორმების მოთხოვნებიდან, ამასთანავე, ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკასაც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 ნოემბრის განჩინებით ნ.ხ-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ხ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევით, კერძო საჩივარი შეიცავს სამართლებრივ დასაბუთებას სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონშეუსაბამობის თაობაზე, რის გამოც არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტის მოთხოვნები, რის გამოც სასამართლოს განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველი-

ანობის შემონმება შეუძლებელია.

გასაჩივრებული განჩინების საპროცესო კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემონმების შედეგად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ, ისეთ მნიშვნელოვან საპროცესო-სამართლებრივ ინსტიტუტთან დაკავშირებით, როგორცაა შეგებებული სააპელაციო საჩივრის არსი და მისი დასაშვებობის წინაპირობები, არასწორად განმარტა კანონი და არასწორად დატოვა განუხილველად ნ. ხ-ის შეგებებული სააპელაციო საჩივარი.

საქმის მასალების შესწავლით ირკვევა შემდეგი გარემოებები:

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ხ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ნივთების ნაწილი, ხოლო დანარჩენი ნივთების გამოთხოვაზე მხარეს ეთქვა უარი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ ნაწილობრივ, კონკრეტული მოძრავი ნივთების გამოთხოვის ნაწილში გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ივლისის განჩინებით შ. გ-ის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

შ. გ-ის სააპელაციო საჩივარი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით გაეგზავნა და 2013 წლის 26 ივლისს პირადად ჩაბარდა ნ.ხ-ს.

სასამართლო შეტყობინების ჩაბარებიდან 10-დღიანი ვადის დაცვით – 2013 წლის 5 აგვისტოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმების თხოვნით ნ. ხ-მა შეიტანა შეგებებული სააპელაციო საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 სექტემბრის განჩინებით ნ. ხ-ის შეგებებული სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად იმ საფუძვლით, რომ წარმოდგენილი შეგებებული სააპელაციო საჩივარი თავისი სამართლებრივი შინაარსით არ წარმოადგენდა ძირითად სააპელაციო საჩივარზე შეგებებულ სააპელაციო მოთხოვნას, არ იყო მიმართული ძირითადი სააპელაციო საჩივრით მოთხოვნილი კონკრეტული ნივთების გამოთხოვის წინააღმდეგ, რის გამოც ნ. ხ-ის შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმებისას უნდა დადგენილიყო შეესაბამებოდა თუ არა იგი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნისა და საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე დადგინდად მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელე ნ. ხ-ს ჩაბარდა 2013 წლის 4 ივნისს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით. ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ნ. ხ-ისათვის გადაწყვეტილების გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2013 წლის 5 ივნისიდან და ამოიწურა 2013 წლის 18 ივნისს. სააპელაციო საჩივარი (შეგებებული სააპელაციო საჩივარი) კი, წარდგენილი იყო 2013 წლის 5 აგვისტოს, კანონით დადგენილი ვადის დარღვევით. ამ გარემოებათა გათვალისწინებით კი, სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობდა შეგებებული სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაშვების წინაპირობები.

კერძო საჩივრის ავტორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ამ მსჯელობას და მიიჩნევს, რომ სასამართლოს დასკვნები არ გამომდინარეობს კანონის სწორი განმარტებიდან.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის არგუმენტებს და მიიჩნევს, რომ ისინი სამართლებრივად, სწორედ დასაბუთებული პრეტენზიის შემცველია.

იმისათვის, რათა შემოწმდეს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის მართებულობა, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს შეგებებული სააპელაციო საჩივრის ინსტიტუტის სამართლებრივ ბუნებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე და 379-ე მუხლები წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის მარეგულირებელ სპეციალურ ნორმებს და დადგენილია ქცევის შემდეგი წესი: სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, განცხადებული აქვს თუ არა უარი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის ან მისი განუხილველად დატოვების შემთხვევაში შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ განიხილება.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ კანონით გათვალისწინებულ სუბიექტებს უფლება აქვთ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეიტანონ სააპელაციო საჩივარი, თუმცა ისეთი მხარისათვის, რომელსაც ამა

თუ იმ მიზეზით არ სურდა გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება (მაგ: აღარ უნდოდა დავის გაგრძელება), ან კანონის მოთხოვნათა დარღვევის (მაგ: სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის გასვლის) გამო არ წარადგინა ძირითადი სააპელაციო პრეტენზია, მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის შემდეგ კანონით კონკრეტულად განსაზღვრულ ვადაში შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანის შესაძლებლობა, იგი შეიძლება განხილულ იქნას ასევე ე.წ. დაგვიანებულ სააპელაციო საჩივრად.

უპირველეს ყოვლისა, შეგებებული სააპელაციო საჩივრის ინსტიტუტთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე იგი საპროცესო კანონმდებლობის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე პრინციპის – დისპოზიციურობის კლასიკური გამოხატულებაა და მოიცავს მხარის ისეთ შესაძლებლობასაც კი, რომ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება მაშინაც, თუ მას წერილობით აქვს უარი ნათქვამი სააპელაციო საჩივრის წარდგენაზე (სსსკ 370-ე მუხლი).

შეგებებული სააპელაციო საჩივრის მიმართ სრულად ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ ის მოთხოვნები, რომლებსაც კანონმდებელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლით უდგენს ძირითად სააპელაციო საჩივარს, ასევე ქონებრივ დავაში საჩივრის საგნის ღირებულების ზღვრული ოდენობის საკითხი. შეგებებული სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაშვებისას სასამართლოს დამატებით ევალება მხარის მიერ 10-დღიანი საპროცესო ვადის დაცვის უტყუარად გამორკვევა.

საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას ძირითადი და შეგებებული სააპელაციო საჩივრის ურთიერთკავშირის თაობაზე, თუმცა, განმარტავს, რომ სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე ამ ურთიერთკავშირის ფარგლებს თავად კანონი განსაზღვრავს: ძირითადი სააპელაციო საჩივრის გამო საქმის წარმოების შეწყვეტისა თუ მისი განუხილველად დატოვების შემთხვევაში, შეგებებული სააპელაციო საჩივარიც იმავე შედეგის მატარებელი გახდება. კანონის ამ დათქმის უფრო ფართოდ განმარტება ეწინააღმდეგება თავად შეგებებული სააპელაციო საჩივრის სამართლებრივ ბუნებას, რამდენადაც შეგებებული სააპელაციო საჩივარი წარმოადგენს მოწინააღმდეგე მხარისაგან თავდაცვის დამატებით და ქმედით საპროცესო საშუალებას. თუ სააპელაციო საჩივარზე წარდგენილი შესაგებლით მხარე უარყოფს პროცესუალური ოპონენტის მოსაზრებებს, შეგებებული სააპელაციო საჩივარი მიზნად

ისახავს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმებას, რომელიც მის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ასევე მის სასარგებლოდ მიღებული და ძირითადი სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილის უცვლელად დატოვებას.

შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის კანონმდებელი ადგენს რა სპეციალურ წინაპირობებს, სასამართლოს არ აქვს რაიმე უფლებამოსილება, მისი განსახილველად დაშვებისათვის დაანესოს დამატებითი, კანონით გაუთვალისწინებული საფუძვლები, მაგალითად, როგორც ეს შეგებებული სარჩელის შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლში გვხვდება.

მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის ძალით სააპელაციო პალატა ხელმძღვანელობს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისათვის დადგენილი წესებით, თუმცა აღნიშნული დასაშვებია, თუ სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისათვის კონკრეტული საკითხის მომწესრიგებელი ნორმა გათვალისწინებული არ არის. განსახილველ შემთხვევასთან მიმართებაში კი, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სააპელაციო სასამართლოში შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანის წესს და, როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთ დროს შეგებებული სარჩელის მიღების პირობების მსგავს მოთხოვნებს არ ადგენს (იხ. ასევე სუსგ №ას-155-424-08; 7 მაისი, 2008 წელი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, არსებობს სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 4 სექტემბრის განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები, შესაბამისად, საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს ნ. ხ-ის შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახალი განხილვისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ხ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 სექტემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ნ. ხ-ის შეგვებულ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა განსახილველად.

3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეწყვეტა

განჩინება

№ას-484-460-2013

1 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სამკვიდროს მესაკუთრედ აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ხ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. ხ-ის და ნ. გ-ის მიმართ სამკვიდროს მესაკუთრედ ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით:

ყაზბეგის რაიონის დაბა ს-ი მდებარე 794 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული №1 შენობა-ნაგებობა არის 2010 წლის 24 დეკემბრის გარდაცვლილი ვ. ხ-ის სამკვიდრო. მოპასუხებთან შეთანხმებით, ნ. ხ-მა სიცოცხლეშიც მოუარა დედას და გაიღო მისი დაკრძალვის ხარჯები, რის სანაცვლოდაც მხოლოდ მან მიიღო სამკვიდრო.

საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაერთო მ. ყ-ი.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც თ. ხ-მა, ნ. გ-ემ და მ. ყ-მა გაასაჩივრა

სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 აპრილის განჩინებით საქმის წარმოება თ. ხ-ის, ნ. გ-სა და მ. ყ-ის სააპელაციო საჩივარზე შეწყდა აპელანტთა მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო, აპელანტებს განემარტათ, რომ გასაჩივრებულ განჩინებაზე სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება ერთმევათ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, 372-ე მუხლებით და მიუთითა, რომ აპელანტებმა – თ. ხ-მა, ნ. გ-ემ და მ. ყ-ის წარმომადგენელმა მ. ნ-ამ სასამართლო სხდომაზე უარი თქვეს სააპელაციო საჩივარზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 378-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება ნ. ხ-ის სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე ძალაში უნდა დარჩეს, ხოლო №2ბ/88-13 საქმეზე საქმის წარმოება შეწყდეს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ნ. გ-ემ და თ. ხ-მა შეიტანეს კერძო საჩივარი და მოითხოვეს მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აპელანტებმა შეიტყვეს, რომ მ. ყ-ის სასარჩელო განცხადება ნ. ხ-ის მიმართ სადავო სამკვიდროს 1/4-ის მესაკუთრედ ცნობის შესახებ დაკმაყოფილდა. გამოხატეს რა სიხარული მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით, მათ არ მიეცათ შესაძლებლობა, თავისი წარმომადგენლისაგან შეეტყოთ, რა ხდებოდა მათი სააპელაციო საჩივრის განხილვაზე და რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვებოდა აღნიშნულს. ფაქტობრივად, აპელანტებს სააპელაციო საჩივარზე უარი არ უთქვამთ. მათი ემოციები განპირობებული იყო მ. ყ-ის სარჩელის დაკმაყოფილებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. გ-სა და თ. ხ-ის

კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ ნ.გ-ემ და თ. ხ-მა უარი განაცხადეს მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე შეტანილ სააპელაციო საჩივარზე, რის გამოც სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და 372-ე მუხლებით, 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სააპელაციო საქმის წარმოება შეწყვიტა.

მოცემული კერძო საჩივრის ავტორები თავის მოთხოვნას ამყარებენ იმ გარემოებებზე, რომ აპელანტებს სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის სურვილი არ გააჩნდათ, სააპელაციო სასამართლოში პროცესის მიმდინარეობისას მათ შესაძლებლობა არ მიეცათ, გაეცნობიერებინათ ან თავიანთი ადვოკატისაგან გაეგოთ მომხდარის სამართლებრივი შედეგების შესახებ. აპელანტებმა თანხმობა გამოთქვეს მხოლოდ მ. ყ-სათვის სადავო სამკვიდროს II -ის მიკუთვნებასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მხარეთა მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ აპელანტებს – ნ. გ-სა და თ. ხ-ს სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ საკუთარი ნება მკაფიოდ და დამაჯერებლად არ გამოუთქვამთ. ამ კუთხით საგულისხმოა სააპელაციო პალატის 2013 წლის 11 აპრილის სასამართლო სხდომის ოქმი, სადაც დაფიქსირებულია, რომ სასამართლოს სხდომას ესწრებოდნენ როგორც ნ. გ-ე და თ. ხ-ი, ისე მათი წარმომადგენელი მ. ნ-ა. ამ უკანასკნელს გააჩნდა მარწმუნებელთა სახელით სარჩელზე უარის თქმის უფლებამოსილება, თუმცა, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ განაცხადება კერძო საჩივრის ავტორთა სახელით არ გაუკეთებია. რაც შეეხება ნ. გ-სა და თ. ხ-ის განმარტებებს, სასამართლო სხდომის ოქმის შესწავლით დასტურდება შემდეგი: ნ. გ-სა და თ. ხ-ის მითითებაზე, რომ მათ არ იციან რა სახით ჩამოაყალიბონ საკუთარი მოთხოვნა, სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ კითხვებით, ამბობდნენ თუ არა ისინი უარს სააპელაციო საჩივარზე; სასამართლოს არ განუმარტავს აპელანტებისთვის სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები; თ. ხ-ი განმარტავს, რომ მოცემულ დავაში მისი ინტერესი მიმართული იყო მეტწილად მ. ყ-ის სადავო სამკვიდროდან წილის მიკუთვნებისაკენ, თუმცა, მასაც საკუთარი პრეტენზია გააჩნია, რაც სასამართლოს მხრიდან კითხვების დასმის გზით იმის დაზუსტებას საჭიროებდა, ხომ არ გამოხატავდა მხარე ამგვარი პოზიციის დაფიქსირებით დავის გაგრძელების სურვილს; ნ. გ-ე დაეთანხმა

თ. ხ-ის პოზიციას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო კანონმდებლობით აღიარებულია რა მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპი – აღძრან სარჩელი, ან უარი თქვან სარჩელზე, სასამართლოს ვალდებულებაა ხელი შეუწყოს ამ პრინციპის რეალიზაციას იმგვარად, რომ მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა გააცნობიერონ ის სამართლებრივი შედეგები რაც მოჰყვება მათ მიერ განხორციელებულ ქმედებას. აღნიშნული მიიღწევა სასამართლოს მხრიდან იმ საპროცესო ნორმებზე მითითებით, რომლებშიც შესაბამისი სამართლებრივი შედეგია მოცემული.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატას მხარეთა ნამდვილი ნება და დავისადმი რეალური ინტერესი სათანადოდ არ გამოუკვლევია და არ შეუფასებია, ასევე სასამართლოს მხარეთათვის არ განუმარტავს ის სამართლებრივი შედეგები, რაც შეიძლება მოჰყოლოდა სააპელაციო საჩივარზე უარის თქმას. შესაბამისად, ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ნ. გ-სა და თ. ხ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 აპრილის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო
გადანყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველები**

განჩინება

№ას-922-880-2013

3 ოქტომბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეციე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ჩ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ა. გ-ის“ მიმართ, ქ.ბათუმში, ... ქ.№9-ში მდებარე 74,46 კვ.მ №... ბინის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით გ. ჩ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ჩ-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. ჩ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „ა. გ-თვის“ 61 075 ლარის გადახდის სანაცვლოდ, მოსარჩელე ცნობილ იქნა ქ. ბათუმში, ... ქ.№9-ში მდებარე №... ბინის მესაკუთრედ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის განჩინებით შპს „ა. გ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ზ. ჩ-მა და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარ-

მოების განახლება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იმ მოტივით, რომ სასამართლომ საქმე განიხილა ზ. ჩ-ის მიწვევის გარეშე მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება უშუალოდ ეხება მის ინტერესებს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივლისის განჩინებით ზ. ჩ-ის განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმის არსებითად განხილვისას დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1925 წლიდან გ. ჩ-ის წინაპრები ცხოვრობდნენ ქ.ბათუმში, ... ქ. №9-ში მდებარე №... ბინაში, რომელიც საჯარო რეესტრის მონაცემებით, 1994 წლის 30 ივნისის პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე ირიცხებოდა ზ. ჩ-ის საკუთრებაში.

ზ. ჩ-ი წლების განმავლობაში ცხოვრობდა რუსეთის რესპუბლიკაში და მისი საკუთრებით 1990 წლიდან 2012 წლამდე სარგებლობდა ჯერ მისი ბიძა ა. ჩ-ი, ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ – ა. ჩ-ის შვილი – გ. ჩ-ი.

1990 წელს გ. ჩ-ის მამამ ა. ჩ-მა ძმისშვილ ზ. ჩ-ს ბინის საფასურის სახით გადასცა 12 000 მანეთი. ქ.ბათუმში, ... ქ. №9-ში მდებარე №... ბინის კომუნალური გადასახადები გადახდილია გ. ჩ-ის მიერ.

1990 წელს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება 12 000 მანეთის გადაცემის სანაცვლოდ, ზ. ჩ-მა დაუთმო ა. ჩ-სა და გ. ჩ-ს.

2012 წლის 9 იანვარს ზ. ჩ-სა და შპს „ა. გ-ს“ შორის გაფორმდა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რის შემდეგაც სადავო უძრავი ქონება წარმოადგენდა შპს „ა. გ-ის“ საკუთრებას.

საქმის მასალებით უტყუარად დადგინდა, რომ აღნიშნული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმებამდე, 1990 წლიდან, ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ პერიოდშიც დღემდე გ. ჩ-ი ფლობდა და სარგებლობდა სადავო ქონებით, რის გამოც პალატამ მიიჩნია, რომ ზ. ჩ-მა შპს „ა. გ-ს“ გადასცა ისეთი საცხოვრებელი სადგომი, რომელზედაც სარგებლობის უფლება დათმობილი ჰქონდა გ. ჩ-ს.

მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა გამომდინარეობდა რა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობისაგან, იგი მოწესრიგდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესა-

ხებ“ საქართველოს კანონით, რადგან სწორედ აღნიშნული კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ ურთიერთობებს.

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 სექტემბერს, გადაწყვეტილების მიღებისას მოდავე მხარეები, ერთი მხრივ, მოსარჩელე გ. ჩ-ი წარმოადგენდა სადავო უძრავი ქონების მოსარგებლეს, ხოლო, მეორე მხრივ, მოპასუხე შპს „ა. გ-ი“ – სადავო ქონების მესაკუთრეს.

სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლისა და საქმის მასალებში განთავსებული საჯარო რეესტრის ამონაწერით დადგინდა, რომ სადავო ქონება საკუთრების უფლებით ირიცხებოდა შპს „ა. გ-ის“ სახელზე.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-422-ე მუხლებზე და განმარტა, რომ ზ. ჩ-ის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეხება, იგი არ წარმოადგენდა არც სადავო ბინის მესაკუთრეს, არც მოსარგებლეს, ამდენად, იგი ვერ იქნებოდა მინვეული სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მაშინ, როცა მოდავე მხარეები იყვნენ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრე და მოსარგებლე პირი. რის გამოც განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ზ. ჩ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას არ იმსჯელა განმცხადებლის მიერ მითითებულ გარემოებებზე და მიღებული განჩინება დაასაბუთა მხოლოდ იმით, რომ, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ნივთის მესაკუთრედ რეგისტრირებულია მხოლოდ შპს „ა. გ-ი“, შესაბამისად, არასწორად მიიჩნია, რომ ზ. ჩ-ის ინტერესებს სასამართლო გადაწყვეტილება არ შეხება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილისა და 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით უზრუნველყოფილია პირის უფლების სასამართლო წესით დაცვა, რაც გამორიცხავს პირის მონაწილეობის გარეშე მის უშუალო უფლებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტყ-

ნას. ამასთანავე, გადაწყვეტილებას გააჩნია პრეიუდიციული ძალა, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ბათილად უნდა იქნას ცნობილი. „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი ანესრიგებს 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე პერიოდში წარმოშობილ ურთიერთობებს, ხოლო წინამდებარე საქმეზე სადავო ქონების მესაკუთრედ შპს „ა. გ-ი“ აღირიცხა 2012 წლის 13 იანვარს. კანონით მოწესრიგებულ პერიოდში გ. ჩ-სა და შპს „ა. გ-ს“ შორის რაიმე ურთიერთობა არ წარმოშობილა, არამედ ნივთის მესაკუთრეს წარმოადგენდა კერძო საჩივრის ავტორი.

სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ თუ შპს „ა. გ-ის“ მიერ ვერ შესრულდება წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ნივთის მესაკუთრე კვლავ ზ. ჩ-ი უნდა გახდეს, ხოლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე უარის თქმის შემთხვევაში, მხარეს ეს უფლება მოესპობა.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მიუთითებს, რომ მან (გარდაცვლილმა მამამ) ჯერ კიდევ 1992 წელს ზეპირი ფორმით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით შეიძინა სადავო ქონება 12 000 მანეთად და ნივთის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ სურს გახდეს ამ ქონების მესაკუთრე, ისე რომ ზ. ჩ-გან ვალდებულების შესრულებას არ მოითხოვს.

საყურადღებოა შპს „ა. გ-ის“ მიერ სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების საფუძვლები: შპს „ა. გ-სა“ და ნივთის მესაკუთრე ზ. ჩ-ს შორის 2012 წლის 13 იანვარს დაიდო წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება; წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია იმ პირობით, რომ ზ. ჩ-ის ბინის ათვისების გზით აშენდება მრავალბინიანი სახლი; სახლის აშენების შემდგომ შპს „ა. გ-ი“ და ზ. ჩ-ი დადებენ ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებას; სადავო ბინის ნასყიდობის ფასის სანაცვლოდ ზ. ჩ-ი მიიღებს საცხოვრებელ ფართს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, საკომპენსაციო თანხის მიღების სანაცვლოდ შპს „ა. გ-ს“ ეხსნება ყოველგვარი ვალდებულება ზ. ჩ-ის მიმართ, გარდა ამისა, შპს „ა. გ-ი“ უსაფუძვლოდ გამდიდრდა მოსარჩელისათვის დაკისრებული 61 075 ლარით.

სააპელაციო პალატის სადავო გადაწყვეტილებით დადგინდა ფაქტობრივი გარემოება, რომ გ. ჩ-ს ზ. ჩ-თან წარმოეშვა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება და ამ დავის ფარგლებში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დადგენილ ფაქტებს აქვს პრიუდი-

ციული მნიშვნელობა იმგვარად, რომ საქმის განხილვაზე მონ-
ვეული არ ყოფილა ზ. ჩ-ი, აღნიშნულით ასევე დარღვეულია სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით უზრუნველყო-
ფილი მხარეთა შეჯიბრებითობა, გარდა აღნიშნულისა, მესაკუთ-
რე ზ. ჩ-ს უსასყიდლოდ ჩამოერთვა საკუთრების უფლება. საა-
პელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით არასწო-
რად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხ-
ლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, ასევე, საპროცესო კო-
დექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 223-ე მუხლის მე-2 ნა-
წილის სანინააღმდეგოდ, არასრულად გამოიკვლია ფაქტობრი-
ვი გარემოებები, შეფასება არ მისცა ზ. ჩ-სა და შპს „ა. გ-ს“ შო-
რის დადებულ წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შეს-
წავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუ-
თების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ჩ-ის კერძო საჩი-
ვარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სა-
სამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქ-
მე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს განცხადების ხელახლა
განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად,
კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარ-
მოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინე-
ბული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირვე-
ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო
აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილვე-
ლად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარე-
მოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენი-
ლი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყ-
ვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა
დამატებითი გამოკვლევა.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფა-
სების საგანს წარმოადგენს „საცხოვრებელი სადგომით სარგებ-
ლობისა და წარმოშობილ ურთიერთობათა შესახებ“ საქართველოს
კანონის მოწესრიგების ფარგლებში, მოსარგებლის მიერ კომ-
პენსაციის გადახდის სანაცვლოდ, საცხოვრებელ სადგომზე სა-
კუთრების უფლების გადაცემა შეეხება თუ არა კერძო საჩივ-
რის ავტორის კანონიერ უფლებებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი
ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილე-

ბით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადანყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

დასახელებული ნორმის თანახმად, კანონირ ძალაში შესული გადანყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება დაიშვება საგამონაკლისო წესით, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს კანონით ზუსტად განსაზღვრული საფუძველი.

განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელი გადანყვეტილების ბათილად ცნობას მოითხოვს იმ საფუძველით, რომ იგი საქმის განხილვაზე მოწვეული არ ყოფილა, ხოლო მიღებული გადანყვეტილება უშუალოდ ეხება მის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონირ ძალაში შესული გადანყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადანყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

ნორმით გათვალისწინებული წინაპირობების შემოწმების მიზნით საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ გარემოებებზე:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 1925 წლიდან გ. ჩ-ის წინაპრები ცხოვრობდნენ ქ.ბათუმში, ... ქ. №9-ში მდებარე №... ბინაში, რომელიც საჯარო რეესტრის მონაცემებით, 1994 წლის 30 ივნისის პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე ირიცხებოდა ზ. ჩ-ის საკუთრებაში.

ზ. ჩ-ი წლების განმავლობაში ცხოვრობდა რუსეთის რესპუბლიკაში და მისი საკუთრებით 1990 წლიდან 2012 წლამდე სარგებლობდა ჯერ მისი ბიძა ა. ჩ-ი, ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ ა. ჩ-ის შვილი – გ. ჩ-ი.

1990 წელს გ. ჩ-ის მამამ ა. ჩ-მა ძმისშვილ ზ. ჩ-ს ბინის საფასურის სახით გადასცა 12 000 მანეთი. ქ.ბათუმში, ... ქ. №9-ში მდებარე №... ბინის კომუნალური გადასახადები გადახდილია გ. ჩ-ის მიერ.

1990 წელს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება 12 000 მანეთის გადაცემის სანაცვლოდ, ზ. ჩ-მა დაუთმო ა. ჩ-სა და გ. ჩ-ს.

2012 წლის 9 იანვარს ზ. ჩ-სა და შპს „ა. გ-ს“ შორის გაფორმდა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რის შემდეგაც სადავო უძრავი ქონება წარმოადგენდა შპს „ა. გ-ის“ საკუთრებას.

აღნიშნული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმებამდე, 1990 წლიდან, ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ პერიოდშიც გ. ჩ-ი ფლობდა და სარგებლობდა სადავო ქონებით, რის გამოც ზ. ჩ-მა შპს „ა. გ-ს“ გადასცა ისეთი საცხოვრებელი სადგომი, რომელზეც სარგებლობის უფლება დათმობილი ჰქონდა გ. ჩ-ს.

მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა გამომდინარეობდა რა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობისაგან, იგი მოწესრიგდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით, რადგან სწორედ აღნიშნული კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ ურთიერთობებს.

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ დადგინილად ცნო, რომ 2012 წლის 21 სექტემბერს, გადანყვეტილების მიღებისას მოდავე მხარეები, ერთი მხრივ, მოსარჩელე გ. ჩ-ი წარმოადგენდა სადავო უძრავი ქონების მოსარგებლეს, ხოლო, მეორე მხრივ, მოპასუხე შპს „ა. გ-ი“ – სადავო ქონების მესაკუთრეს. თავის მხრივ, ეს გარემოება სასამართლომ დაუკავშირა მხოლოდ და მხოლოდ საჯარო რეესტრის ამონაწერს და სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის შესაბამისად განმარტა, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება უნდა დადგინდეს საჯარო რეესტრის ამონაწერით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ამ მსჯელობას, თუმცა მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით არ გამოიკვლია ამავე ამონაწერში მითითებული და საქმეში წარმოდგენილი ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, არ შეაფასა ამ ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები და ამ გზით არ დაუდგინია კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება თუ რამდენად შეეხება განმცხადებლის კანონიერ ინტერესებს, ამდენად, სახეზეა იმგვარი საპროცესო დარღვევა, რასაც შედეგად არასწორი გადანყვეტილების გამოტანა მოჰყვა (სსსკ 393.3 მუხლი).

საქმეში წარმოდგენილი წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრულია ზ. ჩ-სა და შპს „ა. გ-ის“ უფლება-მოვალეობები და ის პირობები, თუ რა შემთხვევაში დაიდება მხარეთა

შორის ძირითადი ხელშეკრულება, საქმის მასალებით დადგენილი არ არის შპს „ა. გ-ის“ მიერ ხელშეკრულების შესრულების ფაქტი. ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა იზიარებს ზ. ჩ-ის მოსაზრებას, მეორადი უფლებებიდან გამომდინარე მოთხოვნების თაობაზე, რაც გასაჩივრებული განჩინებით ასევე არ არის შეფასებული. საყურადღებოა, რომ სადავო სამართლებრივ ურთიერთობებში მესაკუთრედ რეგისტრირებული პირის ჩანაცვლება გ. ჩ-ით განხორციელდა იმგვარად, რომ ზ. ჩ-ს არ მისცემია საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარეობს ასევე მოსარჩელის უფლება, მოპასუხედ დაასახელოს პირი, რომლისგანაც მოითხოვს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვას, თუმცა ამ პრინციპის აბსოლუტურ ბუნებას ზღუდავს სწორი მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებლობა და მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოს აძლევს სრულ შესაძლებლობას, გამოარკვიოს, როგორც მხარის სათანადოობის საკითხი, ისე იმ პირთა მონვევის აუცილებლობა, რომელთაც შეიძლება შეეხოს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება (სსსკ 84-ე, 85-ე, 88-90-ე მუხლები).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. აღნიშნული პრინციპის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება კი, უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში ექვემდებარება ბათილად ცნობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც საქმეში არსებული მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევის გზით უნდა დაად-

გინოს ფაქტობრივი გარემოება, თუ რამდენად შეეხება განმცხადებლის ინტერესებს ამავე სასამართლოს 2012 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება და ამ გარემოებათა შესაბამისად განიხილოს ზ. ჩ-ის განცხადების საფუძვლიანობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 419-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. ჩ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება

განჩინება

№ას-343-328-2012

19 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ბეს ორმაგად დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ა-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. კ-ას მიმართ ბეს ორმაგად გადახდის შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი

არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 იანვრის განჩინებით საქმის წარმოება მ. ა-ის სარჩელის გამო ნ. კ-ას მიმართ შეწყდა, გაუქმდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ნ. კ-ას კუთვნილ უძრავ ქონებას ყადაღა მოეხსნა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

2009 წლის 11 ივნისს მ. ა-ესა და ნ. კ-ას შორის გაფორმდა ბეს ხელშეკრულება ნასყიდობის საგნის საზღაურის გადახდის შესახებ განვადების გრაფიკის მიხედვით. ხელშეკრულების თანახმად, მხარეთა შორის წარმოშობილი დავა განიხილებოდა კერძო არბიტრაჟის მიერ ბეს მიმღების არჩევით.

შპს „მუდმივმოქმედა არბიტრაჟმა – კ-ომ“ განიხილა ნ. კ-ას პრეტენზია 2009 წლის 11 ივნისის ხელშეკრულებიდან გასვლისა და მ. ა-ის მიერ გადახდილი თანხის 253 000 აშშ დოლარის ზიანის ანაზღაურების ანგარიშში ჩათვლის შესახებ და მ. ა-ის შეგებულები საარბიტრაჟო პრეტენზია აღნიშნული ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ.

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი – კ-ოს“ 2009 წლის 24 სექტემბერს გადაწყვეტილებით ნ. კ-ასა და მ. ა-ეს შორის დამტკიცდა მორიგება.

მორიგების პირობების მიხედვით, მ. ა-ე ვალდებული იყო, 2009 წლის 24 ოქტომბრამდე გადაეხადა ნ. კ-ასათვის 74 000 აშშ დოლარი და წარედგინა საქმის განმხილველი არბიტრაჟისთვის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება. მ. ა-ეს უნდა დაეფარა სს „... ბანკის“ იპოთეკური სესხი 47 000 აშშ დოლარი, ამ თანხაზე დარიცხული პროცენტი და პირგასამტეხლო. 2009 წლის 11 ივნისის მდგომარეობით სს „... ბანკისთვის“ გადასახდელი თანხის 47 000 აშშ დოლარის ზევით გადასახდელი თანხა გაიქვითებოდა 74 000 აშშ დოლარიდან. მ. ა-ის მიერ მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ, ნ. კ-ა ვალდებულებას იღებდა დაეფარა სს „...ბანკის“ იპოთეკური სესხი და საკუთრების ფულებით გადაეფორმებინა მ. ა-ის სახელზე ქ. თბილისში ... №70-ში მდებარე მე-11 ბინა და ამავე მისამართზე არსებული მანსარდის სათული. იმ შემთხვევაში, თუ მ. ა-ე არ შეასრულებდა მორიგების აქტით ნაკისრ ვალდებულებას, არ წარმოადგენდა 74 000 აშშ დოლარის გადახდის დამადასტურე-

ბელი მტკიცებულებას, მის მიერ ბეს სახით გადახდილი 253 000 აშშ დოლარი დარჩებოდა ნ. კ-ას, გაუქმებულად ჩაითვლებოდა 2009 წლის 11 ივნისის ხელშეკრულება და მ. ა-ე ვალდებული იქნებოდა გაეთავისუფლებინა ... №70-ში მდებარე მე-11 ბინა და ამავე მისამართზე არსებული მანსარდის სართული.

2009 წლის 20 ნოემბერს შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი – კ-ოს“ კრედიტორ ნ. კ-ს მოთხოვნით 2009 წლის 24 სექტემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

მ. ა-ის მიერ აღძრული წინამდებარე სარჩელი ნ. კ-ას მიმართ ეფუძნება მხარეთა მორიგების შესახებ კანონიერ ძალაში შესული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მან ჯეროვნად შეასრულა მორიგების პირობა და ითხოვს მოპასუხისაგან თანხის დაბრუნებას, რომელიც მორიგების თანახმად რჩებოდა ნ. კ-ას მხოლოდ მ. ა-ის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.

სასამართლომ იხელმძღვანელა „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის (1997 წლის 17 აპრილი) 33-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მ. ა-ემ და ნ. კ-ამ არბიტრაჟის მიერ დამტკიცებული მორიგებით ახლებურად მოაწესრიგეს თავიანთი ურთიერთობა. ამასთან, მორიგების აქტის არბიტრაჟის მიერ დამტკიცებით, აღნიშნულმა შეთანხმებამ შეიძინა იძულებით აღსასრულებლად საკმარისი ძალა და დაექვემდებარა იძულებით აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო წარწერის საფუძველზე. ამ ეტაპზე ვერ იქნება გაზიარებული კონკრეტული არბიტრაჟის განსჯადობაზე საარბიტრაჟო შეთანხმების არარსებობის გამო 2009 წლის 20 ნოემბრის შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი – კ-ოს“ გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი. აღნიშნული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა, ამასთან, არბიტრაჟს პრეტენზიით მიმართა ორივე მხარემ, მათივე თანხმობით დამტკიცდა მხარეთა მორიგება და ორივე მხარემ მოსთხოვა არბიტრაჟს სააღსრულებო ფურცლის გაცემა. ამდენად, მიუხედავად, ზოგადი საარბიტრაჟო დათქმისა, მხარეთა მოქმედებებით აღიარებულ იქნა არბიტრაჟის კომპეტენცია. აღნიშნული გარემოებების საფუძველზე პალატამ ჩათვალა, რომ 2009 წლის 20 ნოემბრის შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი – კ-ოს“ გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს მხარეთათვის და იგი უნდა აღსრულდეს.

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე პალატამ მიიჩნია, რომ

მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებით წყდება საქმის წარმოება და მხარეები ველარ განაცხადებენ იმავე მოთხოვნებს. მორიგების აქტით მხარეები ახლებურად აწესრიგებენ თავიანთ ურთიერთობას და შეუძლიათ, ერთმანეთს მხოლოდ ამ შეთანხმებიდან გამომდინარე მოთხოვნები წაუყენონ. არბიტრაჟის გადაწყვეტილებით მორიგების აქტის დამტკიცებით, აღნიშნულმა შეთანხმებამ შეიძინა იძულებითი აღსასრულებლად საკმარისი ძალა. შესაბამისად, სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე შესაძლებელია მხარეებმა მიმართონ სააღსრულებო ორგანოებს. ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი აღსასრულებელი გადაწყვეტილების აღსრულებისას, სააღსრულებო ორგანოები არკვევენ, არსებობს თუ არა იძულებითი აღსრულების დაწყების ფაქტობრივი საფუძველი. ამდენად, დაირღვა თუ არა მორიგების აქტით გათვალისწინებული მხარეთა შეთანხმება, და არსებობს თუ არა იძულებითი აღსრულების წინაპირობა, გამოკვლეული უნდა იქნეს სააღსრულებო ორგანოს მიერ აღსასრულებლად წარდგენილი განჩინების შინაარსიდან. მხოლოდ ამ კუთხით აღმასრულებლის მოქმედებების არასწორად მიჩნევის შემთხვევაში აღიძვრება ადმინისტრაციული სარჩელი სააღსრულებო ორგანოს მიმართ.

ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველების და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სასარჩელო მოთხოვნა განსახილველ შემთხვევაში ეფუძნება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დამტკიცებული მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობას, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მ. ა-ის სარჩელი უწყებრივად სასამართლოს კომპეტენციას არ მიეკუთვნება.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ პუნქტით, ამავე კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიიჩნია, რომ მ. ა-ის სარჩელზე წარმოება უნდა შეწყდეს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. ა-ემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით:

არბიტრაჟში წარმოდგენილი მორიგების აქტით მხარეთა შორის დაიდო ახალი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა: უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების შესრულების ახალი წესები, რითაც მ. ა-ემ იკისრა დამატებითი ვალდებულებები.

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლი ითვალისწინებს მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების ახალ ფორმასა და

შინაარსს. ამასთანავე, კანონის ნორმათა ერთობლივი ანალიზის შედეგად დადგინდა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, რომ მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებისას უნდა მიუთითონ იმ კონკრეტულ საარბიტრაჟო დაწესებულებაზე, სადაც მათ სურთ, რომ განხილულ იქნას მათ შორის წამოჭრილი სახელშეკრულებო დავა. შესაბამისად, ამავე კანონის თანახმად, მხარეებს შორის 2009 წლის 11 ივნისის საარბიტრაჟო შეთანხმება ძალადაკარგულია. ხსენებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავებს არბიტრაჟი ველარ განიხილავს საარბიტრაჟო შეთანხმების ახალ ნორმატიულ მოთხოვნებთან შეუსაბამობისა და ძალადაკარგულობის გამო. ამიტომ, მოცემული ვალდებულებით-სამართლებრივ დავა განხილულ უნდა იქნას საარჩევლო წესით საერთო სასამართლოს მიერ.

თუკი მ. ა-ის მიერ გადახდილი ბე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით ფაქტობრივად დარჩა ნ. კ-ას საკუთრებაში, ამასთანავე, დაუბრუნდა უძრავი ქონებაც, ამ პირობებში გასარკვევია, თუ რამდენად მართებულია ბეს ორმაგად დაბრუნების მოთხოვნის სასამართლოში დაყენება. მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის დანაწესი. მ. ა-ეს მიაჩნია, რომ მან სამართლებრივად შეასრულა სახელშეკრულებო პირობები, ხოლო ამის საპირისპიროდ ნ. კ-ა თვლის, რომ მ. ა-ემ კონკრეტულ დღესა და ადგილას არ განახორციელა შესრულება, დაგვიანებით შესრულება კი შესრულებად ვერ ჩაითვლება. ამ ასპექტში მხარეთა შორის სადავო საკითხი არც ერთ უწყებას არ გადაუწყვეტია. კერძო არბიტრაჟის მიერ სააღსრულებო წარწერის გაკეთება და ამის ირგვლივ გადაწყვეტილების გამოტანა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მან მხარეებს შორის დასახელებული დავა ხელშეკრულების შესრულების ირგვლივ გადაწყვიტა. მით უმეტეს, რომ სააღსრულებო წარწერის გაკეთებისათვის გამოტანილ გადაწყვეტილებებში არბიტრაჟს ამ საკითხზე არსებითად არ უმსჯელია და საკუთარი გადაწყვეტილება ერთერთი მხარის მოთხოვნის გამართლებაზე არ დაუფუძნებია. მან მხოლოდ ფორმალურად დააკმაყოფილა ნ. კ-ას განცხადება სააღსრულებო წარწერის გამოწერის თაობაზე ისე, რომ არ უმსჯელია, მ. ა-ემ იურიდიულად შეასრულა თუ არა მოგების აქტით განსაზღვრული პირობები.

განსახილველ შემთხვევაში, მ. ა-ე დავობს მისი მხრიდან ბეს ხელშეკრულების (მორიგების) პირობების შესრულების ფაქტზე, მაგრამ ნ. კ-ამ განზრახ არ მიიღო შესრულება, რის გამოც მან დაკარგა უფლება ბეს სახით გადახდილ ფულად თანხაზე, შესა-

ბამისად, მასვე ენიჭება უფლება დააყენოს მოთხოვნა ბეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობებზე. ანუ მას უფლება აქვს, მოითხოვოს მორიგების აქტის შესრულებულად აღიარება, რადგან ასეთ აღიარებაზე არბიტრაჟს არ უმსჯელია, ხოლო, მეორე მხრივ, მოითხოვოს ბეს ორმაგად დაბრუნება, ვინაიდან ამ ეტაპზე უძრავი ქონება გასულია მ. ა-ის საკუთრებიდან.

ბუნდოვანი რჩება საალსრულებო ორგანოს უწყებრივი კომპეტენცია, ემსჯელა მ. ა-ის პრეტენზიებზე მორიგების აქტის შესრულების ირგვლივ.

ბეს ორმაგად დაბრუნება წარმოშობს ნ. კ-ას წინააღმდეგ ფულად ვალდებულებას, რაც, თავის მხრივ, სადავოდ ხდის ბეს ხელშეკრულების შესრულებას ნ. კ-ას მხრიდან. ამავდროულად, სადავო ხდება მორიგების პირობების შესრულებაც. მ. ა-ეს ამ მხრივ შედავების უფლების რეალიზაციის იურიდიული საშუალება მორიგების აქტის მოქმედების პერიოდში არ მისცემია. არბიტრაჟმა ცალმხრივად, არსებითი განხილვის გარეშე აღიარა მ. ა-ის მხრიდან შეუსრულებლობა, მაშასადამე, მ. ა-ის მხრიდან დარჩენილია იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, რომლითაც გამოინერა საალსრულებო ფურცელი.

ამასთანავე, მ. ა-ეს დარჩენილი აქვს უფლება, შეწყვეტილად აღიაროს ბეს ხელშეკრულება ნ. კ-ას მხრიდან მისი ბრალეულად შეუსრულებლობის გამო და მოითხოვოს ბეს ორმაგად დაბრუნება. ანდა ბეს ორმაგად დაბრუნების სარჩელით სასამართლომ აღიაროს ნ. კ-ას მხრიდან ბეს ხელშეკრულების ბრალეულად შეუსრულებლობა.

სარჩელი სასამართლოს ქვემდებარეა, გარდა ზემოთ დასახელებული მიზეზებისა, რადგან ბეს ხელშეკრულების ირგვლივ მხარეები არბიტრაჟში ველარ იდავებენ და ბეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მორიგების აქტის შესრულების ირგვლივ მ. ა-ეს სასარჩელო შედავება არ განუხორციელებია და მას ასეთი უფლება არ უნდა მოესპოს.

სასამართლო სასარჩელო წესით უფლებამოსილია, განიხილოს არა მარტო მოცემული დავა, არამედ სხვა დავებიც, რაც გამომდინარეობს მხარეთა შორის 2009 წლის 11 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების საკითხებიდან, ვინაიდან ამ ხელშეკრულების შესრულების ირგვლივ წარმოშობილი დავა, ამავე ხელშეკრულებაში გაკეთებული საარბიტრაჟო დათქმის ძალადაკარგულობის გამო, ახალი საარბიტრაჟო შეთანხმების გარეშე, კერძო არბიტრაჟმა აღარ შეიძლება განიხილოს. ასევე მოცემული დავის გადაწყვეტის საკითხი შეუძლებელია და-

ექვემდებაროს აღსრულების სახელმწიფო ორგანოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ მ. ა-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ საქმე არ უნდა იქნეს განხილული სასამართლოში იმის გამო, რომ კანონის თანახმად მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო არ განიხილავს ისეთ სადავო ურთიერთობას, რომელიც მისი რეგულირების სფეროს სცდება და გარკვეული უწყების კომპეტენციას განეკუთვნება. ასეთ საკითხზე აღძრულ სარჩელზე სასამართლო წარმოებას შეწყვეტს.

მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი სარჩელით მ. ა-ე ითხოვდა ნ. კ-ასათვის უძრავი ნივთის შესაძენად გადახდილი ბეს სახით მიცემული თანხის ორმაგად დაბრუნებას.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ხსენებული ბეს დაბრუნების მოთხოვნა ეფუძნება და გამომდინარეობს სხვა სამოქალაქო დავიდან, კერძოდ, 2009 წლის 11 ივნისს მ. ა-ესა და ნ. კ-ას შორის გაფორმდა ბეს ხელშეკრულება ნასყიდობის საგნის საზღაურის გადახდის შესახებ განვადების გრაფიკის მიხედვით. ხელშეკრულების თანახმად, მხარეთა შორის წარმოშობილი დავა განიხილება კერძო არბიტრაჟის მიერ ბეს მიმღების არჩევით.

ნ. კ-ამ საარბიტრაჟო პრეტენზია წარადგინა 2009 წლის 11 ივნისის ხელშეკრულებიდან გასვლისა და მ. ა-ის მიერ გადახდილი 253 000 აშშ დოლარის ზიანის ანაზღაურების ანგარიშში ჩათვლის შესახებ, ხოლო მ. ა-ემ შეიტანა შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია აღნიშნული ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ.

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი – კ-ოს“ 2009 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-ასა და მ. ა-ეს შორის დამტკიცდა მორიგება. მხარეებმა სხვა საკითხებთან ერთად შეთანხმებას მიაღწიეს სადავო ბეს სახით გადახდილ თანხასთან დაკავ-

შირებითაც – იმ შემთხვევაში, თუ მ. ა-ე არ შეასრულებდა მორიგების აქტით ნაკისრ ვალდებულებას და 2009 წლის 24 ოქტომბრამდე არ წარმოადგენდა 74 000 აშშ დოლარის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებას, მის მიერ ბეს სახით გადახდილი 253 000 აშშ დოლარი დარჩებოდა ნ. კ-ას, 2009 წლის 11 ივნისის ხელშეკრულება გაუქმდებოდა და მ. ა-ე გაათავისუფლებდა ... №70-ში მდებარე №11 ბინასა და ამავე მისამართზე არსებულ მანსარდის სართულს.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ზემოაღნიშნულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე ამოწერილია სააღსრულებო ფურცელი.

წარმოდგენილი სარჩელით მ. ა-ე ფაქტობრივად მოითხოვს მორიგების პირობის მის მიერ შესრულების ფაქტის შეფასებას. მხარის განმარტებით, 2009 წლის 24 სექტემბერს მას განზრახული ჰქონდა, შეთანხმებისამებრ, გადაეხადა ნ. კ-სათვის 74 000 აშშ დოლარი, თუმცა კრედიტორს მისთვის ცნობილ ვერც საცხოვრებელ ადგილას და ვერც ტელეფონის ნომერზე ვერ დაუკავშირდა. 2009 წლის 27 სექტემბერს კი, მ. ა-ემ ხსენებული თანხა შეიტანა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. ამდენად, მოსარჩელე თვლის, რომ მან მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულება ჯეროვნად შეასრულა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად მიუთითა „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილებზე, რომლებითაც, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც ნებაყოფლობით არ იქნა შესრულებული, აღსრულდება იძულებით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შესახებ არბიტრაჟის თავმჯდომარის მიერ გაცემული სააღსრულებლო წარწერის საფუძველზე. სააღსრულებო წარწერის გაცემის შემდეგ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულდება სააღსრულებო წარმოებისათვის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხსენებული კანონის დანაწესი გულისხმობს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იძულებით აღსასრულებლად არბიტრაჟის თავმჯდომარის მიერ სააღსრულებლო ფურცლის გაცემის შემდეგ ამ გადაწყვეტილების აღსრულებისას წამოჭრილი ყველა საკითხი დარეგულირდება სააღსრულებო წარმოებით და აღმასრულებლის ხელმძღვანელობით. აღსასრულებლად წარდგენილი გადაწყვეტილების შინაარსიდან სააღსრულებო ორგანო შეაფასებს, არსებობს თუ არა იძულებითი აღსრულების დაწყების საფუძველი და დაირღვა თუ არა მორიგების აქტით

გათვალისწინებული მხარეთა შეთანხმება.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება გასაჩივრებულ განჩინებას იმასთან დაკავშირებით, რომ კანონმდებელი აწესებს სააღსრულებო პროცესის კანონიერების შემოწმების ბერკეტსაც, რადგან აღმასრულებლის მოქმედებების არასწორად მიჩნევის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული სარჩელით სააღსრულებო ორგანოს მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ მ. ა-ის სარჩელით წარმოდგენილი მოთხოვნა მართებულად შეაფასა და ჩათვალა, რომ მისი გადაწყვეტა არა სასამართლოს, არამედ სააღსრულებო ორგანოს კომპეტენციაში შედის. ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიას გასაჩივრებულ განჩინების გაუქმების შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

მ. ა-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკიეპელი

დამატებითი გადაწყვეტილება	3; 6
სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების საფუძვლები	9
სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა; საპროცესო ვადის გამოთვლა	12
სასამართლო უწყების გაგზავნა	20
სარჩელის გამოხმობა	24
არასათანადო მოპასუხის შეცვლა	28
მტკიცების ტვირთი; მტკიცებულებათა შეფასება	66; 87; 97
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება	110
სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევა	115; 119; 122; 126
შეგებებული სააპელაციო საჩივარი	131
საქმის წარმოების შეწყვეტა	140
კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლები	144
საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება	152

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 2982103
www.supremecourt.ge